დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 29 მაისი - 4 ივნისი

N25 1489

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ჩატარდეს რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით: აფხაზეთი და სამაჩაბლო თუ ევროკავშირი და ნატო?

5




### რემი ვაშაკიძე:

ველი იმ ბედნიერ დღეს, როცა სოხუმის მატარებელი თბილისში შემოვა!

15

### თამაზ გაიაშვილი:

სალომე ზურაბიშვილი არის უცხოელების პრეზიდენტი და კეთილი ინებოს და უცხოური ავიაკომპანიით ისარგებლოს, ჩვენ მაგას არ მოვემსახურებით!

12-13

„აფხაზეთის რკინიგზის გახსნით საქართველოში დაიწყება ეკონომიკური ბუმი!“

15

## ერთი და იგივე

2



20

### გვარამიას რიცხვი

# 0.25!

## მალე ჩაურიცხავენ!

14

### სერგეი გავრილოვი:

ახლო მომავალში რუსეთი საკმაოდ პრაგმატულ და მომგებიან წინადადებებს შესთავაზებს საქართველოს!

7-9



ძაღლის კუდი არ გასწორდება!

# ერთი და

***ალექსანდრე ჭავჭავაძეს რომ დავესესხოთ, „ამა სოფლისა დიდი და მცირე არს ცვალებისა მზირე“, მაგრამ ქვეყნად უცვლელი რაღაცები და უცვლელი ვიღაცებიც არსებობენ. მაგალითად,***

***გივი თარგამაძე საერთოდ არ შეცვლილა და დღესაც ქართველებისათვის სულის ამოხდაზე ფიქრობს ისევე, როგორც 2007 წლის 7 ნოემბერს, როცა ქართულ ოპოზიციასა და სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ქუჩაში გამოსულ ათიათასობით ადამიანს ემუქრებოდა — „სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებო!“***

მოკლედ, გივი სულ ერთი და იგივეა!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ერთი და იგივი!**

**ერთი და იგივი!**

**ერთი და იგივი!**

იმდენად **ერთი და იგივი,** რომ, თუ არ დაგეზარებათ, შეგიძლიათ, გივი თარგამაძის მაგივრად **ერთი და იგივი თარგამაძე** დაუძახოთ!

მართალია, **ერთი და იგივი თარგამაძე** უკანასკნელი წლების განმავლობაში პოლიტიკაში ნაკლებად აქტიურობს და სატელევიზიო გადაცემებშიც იშვიათად ჩნდება, მაგრამ როცა ტელეკამერების წინ აღმოჩნდება, პირის გაუღებლად ისეთი რაღაცების ლაპარაკს იწყებს, საზოგადოებას მაშინვე თვალწინ უცოცხლდება ნაცრეჟიმის 9-წლიანი მმართველობა მისი ყველაზე სასტიკი, ყველაზე სისხლიანი და ყველაზე ანტიადამიანური გამოვლინებებით.

ხომ ამდენს წვალობენ ნაცმოძრაობა და მისი გამონაყოფები, რომ ხალხს როგორმე დაავიწყონ თავიანთი უბოროტესი მმართველობა? ხომ ამდენს ჯახირობენ ნაცსექტისადმი დაქვემდებარებული თუ მასთან დაახლოებული ტელევიზიები, რომ მოსახლეობაში როგორმე შექმნან წარმოდგენა, თითქოს სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენები შეიცვალნენ, გაკეთილშობილდნენ, თავიანთი ძველი დანაშაულები თუ შეცდომები გააანალიზეს და აწი აღარ იზამენ იმას, რასაც ადრე სჩადიოდნენ? კი, მრავალი მილიონი დოლარი და მრავალი ადამიანის ძალისხმევა იხარჯება ამგვარ პროპაგანდაში, მაგრამ **ერთი და იგივი თარგამაძის** მიერ ტელეეთერში ან სოციალურ ქსელში გაკეთებული ერთი განცხადება ყველაფერს წყალში ყრის და საზოგადოებას თვალნათლივ აჩვენებს, რომ ნაცის გამოწვალმართება არ იქნება ისევე, როგორც ძაღლის კუდის გამართვა და კირჩხიბის სწორად სიარული.

ამის მორიგი დასტურია რამდენიმე დღის წინათ ერთი და იგივი თარგამაძის გამოსვლა **„ჭუტავიზიად“ წოდებული „ტვ პირველის“** ეთერში, სადაც მან რადიკალურ ოპოზიციას რადიკალიზმის დოზა დაუწუნა და განაცხადა, რომ ხელისუფლების დასამხობად **მეტი „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლა, მეტი ავტომობილის დაწვა, მეტი პოლიციელის დასახიჩრება და მეტი შენობების დარბევაა საჭირო.** კერძოდ, აი, რა თქვა ერთი და იგივიმ *(სტილი დაცულია. რედ.)*:

*„ვფიქრობ, იმაზე ლაპარაკი, ვაიმე, ის ფორმა და ეს ფორმა, პოლიციის მანქანა არ დავწვათ...* ***თუ გვინდა ქვეყნის გადარჩენა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ აბსოლუტურად. ვგულისხმობ ისეთ პროტესტს, რომელიც ამათ მოარტყამს ცხვირში, შეაშინებს, როგორც მარტში ეშინოდათ, როგორც გავრილოვის დროს გამოვარდა ის არარაობა სამკუთხედთავიანი და უცახცახებდა ხმა, ანუ ვიცით რომ ეშინიათ და თუ ვიცით, რატომ არ ვაკეთებთ იმას, რომ ისე შეეშინდეს, რომ მორჩეს ამ ყველაფერს?*** *საზოგადოებას პროტესტის მოცულობის ზრდის ულევი რესურსი აქვს და იმათ არა აქვთ არანაირი ზრდის რესურსი, რაც არის ეგ არის. არ ვიძახი რაღაც უშველებელი გავაკეთოთ, უბრალოდ, იმ პროტესტის დროს იყო ბევრი ფი და ფუ, ვაი, პოლიციის მანქანა როგორ დაწვეს, მილიონჯერ მეტ მანქანას და შენობებს წვავენ მთელ ევროპაში, ვინ მოიგონა ეს საერთოდ, რომ ევროპული პროტესტი მშვიდი და რაფინირებულია?* ***იმ დღეებში ნახევარი პარიზი გადაწვეს პენსიების გამო. აუცილებლად გადაწვას კი არ ვამბობ, მაგრამ თუ მოხდა, ამაში არაფერია საშინელი. მატრაკვეცული მიტინგები და პროტესტი არაფერ შედეგს არ მოიტანს“.***

**ერთი და იგივი თარგამაძე** გულღრძო და ბოროტი კაცია, თორემ სულელი ნამდვილად არ არის. მან ძალიან კარგად იცის, რასაც ლაპარაკობს. მშვენივრად ესმის, რომ ნაცსექტასა და მის მოკავშირეებს ნულოვანი შანსიც კი არა აქვთ, ხელისუფლება არჩევნების გზით შეცვალონ. უფრო მეტიც, ნაცსექტასა და მის შენაერთებს არც იმის რესურსი გააჩნიათ, ხელისუფლების დამხობას გამოხატვის თავისუფ-







## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

გახსოვთ ვინმე, ვინც ჩვენი ომის დროს სანქციები დააწესა? არავინ! **ჩვენი ომი არ არის ომი და უკრაინაში არსებული ომი ომია?** ევროპელო და ამერიკელო მეგობრებო, სანქციები რატომ არ გქონდათ დაწესებული? **კიდევ რა შეუძლია საქართველოს გააკეთოს უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად?** უკრაინელი მეგობრები შეიძლება სხვა მოლოდინის მქონენი არიან, მათ განაცხადეს, რომ **უნდათ მეორე ფრონტის ნახვა საქართველოში,** მაგრამ ჩვენ საკმარისად გვქონდა ომი.

საქართველოს ეკონომიკა დაინგრევა, თუ რუსეთს ორმხრივ ეკონომიკურ სანქციებს დავუწესებთ. **ევროკავშირი რუსეთთან მხოლოდ 4 დღეში იმდენს ვაჭრობს, რასაც ჩვენ მთელი წლის განმავლობაში.**

„ინტერპრესნიუსი“



**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*

რეიკიავიკში **ღარიბაშვილი მაკრონსა და შოლცს შორის იჯდა,** რაც შემთხვევით არ ხდება. ყველა ადგილი, თუ ვინ სად უნდა მჯდარიყო, წინასწარ გაწერილი იყო. **ხომ შეიძლებოდა ღარიბაშვილის ადგილზე, მაგალითად, შვედეთის ან ესპანეთის ხელმძღვანელი მჯდარიყო, მაგრამ არა — იქ ღარიბაშვილი იჯდა.** ე.ი. ხომ უნდა მივხვდეთ, რომ, მიუხედავად ზედმეტი ტლიკინისა, რის უფლებასაც ზოგიერთი ევროპელი დეპუტატი საკუთარ თავს აძლევს, **ღარიბაშვილი მაინც შოლცსა და მაკრონს შორის ზის.**

„საერთო გაზეთი“



**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*

ჩვენს ქვეყანაში **ომიანობის საფრთხე დაშვებული არ იქნება,** არ უნდა მივაქციოთ ყურადღება განცხადებებს, რომელსაც **გივი თარგამაძის** მსგავსი **უსამშობლო და ომის მომხრე** ადამიანები გააკეთებენ.

„პირველი არხი“



**ირაკლი ბერაია**
*პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე*

ჩვენ **თარგამაძის და მისი თანამოაზრეების ასარევი ქვეყანა არ გვაქვს,** ნებისმიერი სახის საქმიანობაზე, რომელიც **კონსტიტუციის ჩარჩოებს გასცდება,** სახელმწიფოს მკაცრი რეაგირება ექნება.

„იმედინიუსი“

# იგივი




**2007 წელი,**
**გივი თარგამაძე:**

## სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებო!

# გივი თარგამაძე კვლავ ქართველებისათვის სულის ამოხდაზე ოცნებობს!

ლების ფარგლებში ჩატეული ხალხმრავალი აქციებით მიაღწიონ, რადგან მრავალი ხალხის ქუჩაში გამოყვანას ვერაფრით ახერხებენ. აქედან გამომდინარე, რჩებათ ერთადერთი გზა — იმ მცირე რაოდენობის ხალხით, რომელსაც რუსთაველის გამზირზე უყრიან თავს, გადალახონ კანონისა და კონსტიტუციის ზღვარი, ფიზიკურად დაუპირისპირდნენ პოლიციასა და სპეცრაზმს, სცადონ სამთავრობო შენობების შტურმით აღება, „მოლოტოვის კოქტეილებით“ გადაბუგონ ავტომობილები და ურბანული ინფრასტრუქტურა და ცოცხლად დაწვან ყველა, ვინც ძალადობრივი აქციის დაშლას შეეცდება.

უფრო უკეთ თუ ვიტყვით, ხელისუფლების დამხობის თარგამაძისეული გეგმის კოდური სახელწოდებაა **„მეტი ლაზარე „მოლოტოვის კოქტეილით!“** ანუ საპროტესტო აქციებზე პოლიციელების ავტომობილები უნდა დაწვას არამხოლოდ **ერთმა ლაზარე გრიგორიადისმა,** არამედ **ყველა მომიტინგე კოლექტიურ ლაზარე გრიგორიადისად გადაიქცეს!**

**ერთი და იგივი თარგამაძეს** კოლექტიური ლაზარე გრიგორიადისის შესაგულიანებლად საფრანგეთის მაგალითი მოჰყავს — **ხომ ნახეთ, საპროტესტოდ გამოსულმა ფრანგებმა ნახევარი პარიზი გადაწვეს, სწორედ ეს არის ნამდვილი ევროპული პროტესტი!**

კი, მართლა გადაწვა ნახევარი პარიზი იმ ხალხმა, რომელიც ქუჩაში მაკრონის ხელისუფლების საპენსიო პოლიტიკის გასაპროტესტებლად გამოვიდა, მაგრამ **ერთი და იგივი თარგამაძე** იმას რატომ არ ამბობს, როგორ სასტიკად უსწორდება სახელმწიფო საფრანგეთში და, ზოგადად, ევროპაში მომიტინგეებს, რომლებიც ოდნავ მაინც გასცდებიან კანონის ფარგლებს? ქართულმა პოლიციამ და სპეცრაზმმა თბილისში ძალადობრივი აქციის მონაწილეებს, ქვებისა და **„მოლოტოვის კოქტეილის“** მსროლელებს იმის მეათედი მაინც რომ გაუკეთოს, რასაც ფრანგული, გერმანული თუ იტალიური პოლიცია **იქაურ „ლაზარე გრიგორიადისებს“** უშვრება, საქართველოს ხელისუფლებას ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ტყავის გაძრობა არ ასცდება.

ჰმ, ამერიკის შეერთებული შტატები...

### აბა, ის ამბავი გაახსენოს ერთი და იგივი თარგამაძემ კოლექტიურ ლაზარე გრიგორიადისს, რა ბედი ეწიათ 2021 წლის 6 იანვარს ვაშინგტონში კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრილ მომიტინგეებს? პოლიციამ მათ რეზინის ან პლასტმასის კი არა, ნამდვილი ტყვიები ესროლა და 5 კაცი ადგილზევე მოკლა!

თუმცა, **ერთი და იგივი თარგამაძეს** რაში ანაღვლებს, რა დღე დაადგება კრებსით ლაზარე გრიგორიადისს, რომელსაც იგი აქეზებს და არცთუ ირიბად მოუწოდებს თბილისის გადაწვისაკენ?

**ერთი და იგივი** ხომ თავად არ აპირებს აქციაზე **„მოლოტოვის კოქტეილებისა“** და ქვების სროლას, ქალაქის გადაბუგვას და პოლიციელების ცოცხლად დაწვას?

## ხელისუფლების დამხობის თარგამაძისეული გეგმის კოდური სახელწოდებაა ,,მეტი ლაზარე ,,მოლოტოვის კოქტეილით!“



**ერთი და იგივი** ამისაკენ მხოლოდ სხვებს მოუწოდებს!

ერთი და იგივი რაღაცით ჰგავს „დათა თუთაშხიას“ ერთ პერსონაჟს — **რევოლუციონერ ნიკიფორე ბუბუტეიშვილს,** რომელიც ამბობს — **მე თუ ციხეში ჩავჯექი და კატორღაში ბორკილები ვათრიე, იდეისთვის ობივატელი ვერ იბრძოლებსო!**

რევოლუციის მოწყობისა და ხელისუფლების დამხობის მოსურნე **ერთი და იგივი თარგამაძესაც** სხვათა ხელებით უნდა ნარის დაგლეჯა, აბა, თვითონ ხომ არ ჩაიგდებს თავს საფრთხეში?

### ხელისუფლებაში ყოფნისას ერთი და იგივი თარგამაძეს პოლიციის, სპეცრაზმისა და ზონდერების ეიმედებოდა და იმათი ხელით აპირებდა ქართველებისათვის სულის ამოხდას, ახლა კი,

### როცა ძალაუფლება აღარ აქვს, ქართველებისათვის სულის ამოსახდელად კოლექტიურ ლაზარე გრიგორიადისს უხმობს!

**ირაკლი ბათიაშვილს ემზარ კვიციანისათვის** ტელეფონით ნათქვამი ერთადერთი სიტყვა — „გამაგრდით!“ — საკაშვილის რეჟიმმა ამბოხებულთა ინტელექტუალურ დახმარებად ჩაუთვალა და 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, დღეს კი **ერთი და იგივი თარგამაძე** ტელევიზიის პირდაპირი ეთერიდან აკეთებს მოწოდებებს ხელისუფლების დასამხობად ძალადობრივი და ანტიკონსტიტუციური მეთოდების გამოყენების შესახებ, მაგრამ სახელმწიფოს ამაზე რეაქცია არა აქვს!

**რა ჰქვია ამას, დემოკრატია თუ განუკითხაობა?**

**თუმცა, კარგა ხანია, საქართველოში დემოკრატია და განუკითხაობა ერთი და იგივი რამეს ნიშნავს!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ძალადობის „გაპრავებაზე“ რომ არიან გადასულები, **ისიც მოიკითხონ, დაწვებსა და ძალადობებს ევროპაში რა შედეგები მოჰყვება ხოლმე** და ხომ არ არის ჩვენი კანონმდებლობა და მიდგომები უფრო ჰუმანური.

ყველამ დაიმახსოვროს, **საქართველო თავის ტერიტორიებზე არაფრის ფასად არ იტყვის უარს,** ოკუპირებული ტერიტორიები დაუბრუნდება საქართველოს.

„იმედინიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**ქორწილის ჩაშლა,** მითუმეტეს, იმ ადამიანის **ქორწილის ჩაშლა,** რომელსაც არც დანაშაული აქვს კონკრეტულად რაიმე ჩადენილი და არც არაფერი, საქართველოში არის, უბრალოდ, **ჩვენს კულტურასთან შეუთავსებელი მოვლენა.**

„ახალი თაობა“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**ევროკავშირი დღესაც, ყოველდღე 20 მილიონ ევროს უხდის რუსეთს მარტო ერთი მილით გატარებულ გაზში,** გადაანგარიშების მოყვარულებმა ნახონ, ეს რამდენ ტანკს ნიშნავს და **აფინანსებს თუ არა ამით ომს.**

„პირველი არხი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



ნაცმოძრაობაში ისეთი ამბებია, **ეშმაკი პირჯვარს იწერს.** დასავლეთი უნდა მიხვდეს, რომ დღეს **საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი ძალიან მნიშვნელოვანია** და პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს.

„კვირის პალიტრა“



## „ემ-ემ-ტე ჰოსპიტალში“ მოკლული პაციენტის ზურაბ მელიქიშვილის მეუღლის

# ღია წერილი

*საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ ზურაბ აზარაშვილს*

*ექიმებს:*

*ქალბატონებს: თამარ გოგიჩაიშვილსა და თამილა მათიაშვილს; ბატონებს: სანდრო ცისკარიძეს, დავით კაზეიშვილს, ვახტანგ კალოიანს, ირაკლი გოგოხიას, ლაშა გელაშვილს, კახა ნურალიძეს, გიორგი პაპიაშვილს, ზვიად მათოშვილს*




## *ეთერ ბერიძე-მელიქიშვილი:*

# უროლოგი გურამ ქარაზანაშვილი მკვლელია!

ულრმესი მადლობა ცნობილ ადამიანებს, დიდ ექიმებს: რეანიმატოლოგს, ქალბატონ **თამარ გოგიჩაიშვილს;** ბატონებს: ნევროლოგ **სანდრო ცისკარიძეს,** ნეირორეანიმატოლოგ **დავით კაზეიშვილს,** რეანიმატოლოგ **ვახტანგ კალოიანს,** ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგ **ირაკლი გოგოხიას,** ნევროლოგ-ეპილეფტოლოგ **ლაშა გელაშვილს,** ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგ **კახა ნურალიძეს,** არითმოლოგებს, ბატონ **გიორგი პაპიაშვილსა** და **ზვიად მათოშვილს** ჩემს მეუღლეზე — პაციენტ **ზურაბ მელიქიშვილზე** უანგარო ზრუნვისათვის, თანაგრძნობისათვის, გულწრფელობისათვის, იმედის მომცემი, მაგრამ თავშეკავებული, მოზომილი განმარტებებისათვის, მხარდაჭერისათვის!

განსაკუთრებული მადლობა **ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციის** ექიმს, ქალბატონ **თამილა მათიაშვილს** და **რეანიმაციის მთელ პერსონალს** ავადმყოფებზე, მათ შორის, ჩემს მეუღლეზე უშურველი, თავდაუზოგავი ზრუნვისათვის.

**ქალბატონებო და ბატონებო!** თითოეულმა თქვენგანმა მეტ-ნაკლებად იცის **პაციენტ ზურაბ მელიქიშვილის** ისტორია, რა მოხდა **„ემ-ემ-ტე ჰოსპიტალში“** მისთვის პროსტატის ოპერაციის კეთების პროცესში, მაგრამ არ იცით ოპერაციის წინა და შემდგომი დეტალები.

**ბატონო მინისტრო!** თქვენს რეგულირებაში, თქვენს ზედამხედველობაში არსებული **„ემ-ემ-ტე ჰოსპიტლის“** კარდიოლოგი **მაია ლავთაძე** და ანესთეზიოლოგი **ნათია კეშელავა** არაკვალიფიციურები და მკვლელები არიან. **უროლოგი გურამ ქარაზანაშვილი მკვლელია!**

პაციენტმა **ზურაბ მელიქიშვილმა** სრულად გააცნო **გურამ ქარაზანაშვილს** თავისი ჯანმრთელობის ისტორია და იმჟამინდელი მდგომარეობა, ხოლო შემდეგ იგივე სრულად მოახსენა შვილმა **ბესიკ მელიქიშვილმა.** კონკრეტულად: ის, რომ პაციენტს 1997 წელს მოსკოვში, კლიფასოვსკის ინსტიტუტში, ჩატარებული ჰქონდა ანევრიზმის ურთულესი ოპერაცია და ჩადგმული ჰქონდა თავში კლიპსი, ხოლო საძილე არტერიებში — სტენტი; რომ 2022 წლის იანვარში ჩაუტარდა გულის სისხლძარღვების სტენტირება, აგრეთვე ის, რომ ჰქონდა შაქრიანი დიაბეტი და გონების წამიერი კარგვის ეპიზოდები ზევით ან განზე გახედვისას.

პაციენტის ოჯახის მიერ სრულყოფილი ანამნეზის მიწოდების მიუხედავად, **ექიმმა გურამ ქარაზანაშვილმა** არ მოითხოვა სამედიცინო დოკუმენტაცია, არც კვლევებისა და ანალიზების შედეგები შეუსწავლია გულდასმით. **მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, თუ რამდენად აჭარბებდა მოსალოდნელი რისკები დადებით შედეგებს. დამატებით მოითხოვა 2000 ლარი** (რაც პაციენტმა, რა თქმა უნდა, გადაიხადა) **და მიმდინარე წლის 8 თებერვალს დანიშნა ოპერაცია.**

უროლოგიური კუთხით პაციენტი არ იყო მძიმე მდგომარეობაში, არ ჰქონდა შარდის ისეთი შეუკავებლობა, რომ ოპერაცია სასწრაფო ყოფილიყო. იქიდან გამომდინარე, რომ სტამბოლში, „მემორიალის“ კლინიკაში, სადაც ჩაიტარა უროლოგიური კვლევა, უთხრეს, ადრე თუ გვიან ოპერაცია მაინც დაგჭირდებაო და 2-3 თვეში შარდის შეუკავებლობაც დაეწყო, გადაწყვიტა, ოპერაცია გაეკეთებინა, სანამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა.

**გეკითხებით ყველას:**

**1.** უნდა ეზრუნა თუ არა **გურამ ქარაზანაშვილს** პაციენტის წინასაოპერაციო მდგომარეობაში მოყვანასა და სხვა სამედიცინო ღონისძიებების გატარებაზე?

**2.** როცა პაციენტს უფიქსირდება გონების კარგვის ეპიზოდები **(უანგბადის მიუწოდებლობის ანდა არითმიის გამო),** არსებობს თუ არა გულის გაჩერების გაზრდილი რისკი?

**3.** რატომ არ შეიკავეს თავი საერთო ნარკოზის გაკეთებაზე და რატომ არ ჩატარდა ოპერაცია სპინალური გაუტკივარებით, როცა პაციენტს თურქეთში პროსტატის ადენომის ბიოფსიის ჩატარებისას სწორედ ნარკოზის გამო დასჭირდა რეანიმაციული ღონისძიებები?

**4.** იქნებ სულაც ნარკოზის არასწორი დოზირების ან არასწორი შერჩევის ბრალი იყო ყოველივე?

**5.** სჭირდებოდათ თუ არა სათანადო აპარატურით აღჭურვილ კვალიფიციურ სპეციალისტებს 35 წუთი გულის ასამუშავებლად?

ვსვამთ კითხვას: ხომ შეიძლებოდა პაციენტისათვის, მისი შვილისა თუ მეუღლისათვის განემარტათ არსებული რისკები ან, უბრალოდ, მოესმინათ მათი მონათხრობი? უფრო მეტიც, უარი გვითხრეს კომპიუტერული ტომოგრაფიისა და მკურნალობის პროცესის დოკუმენტაციის გადმოცემაზე, რომელიც უნდა გადაგვეგზავნა სტამბოლში, „მემორიალის“ კლინიკაში, სადაც პაციენტს, როგორც მოგახსენეთ, ჩატარებული ჰქონდა კარდიოლოგიური, ნევროლოგიური და უროლოგიური კვლევები. ჩვენი სურვილი იყო, თურქი სპეციალისტები გასცნობოდნენ ოპერაციის პროცესს **„ემ-ემ-ტე ჰოსპიტალში“,** ხოლო მომდევნო დღეს ჩატარებულიყო კონსილიუმი იმავე „ემ-ემ-ტე ჰოსპიტლის“ უროლოგიის განყოფილების შესაბამის სპეციალისტებთან ერთად.

აღნიშნულ მოთხოვნაზე **ექიმმა გურამ ქარაზანაშვილმა** პაციენტის შვილებს აკადრა სიტყვა, რომელსაც აქ ვერ გავიმეორებთ (აღნიშნული ფაქტის შესახებ „ასავალ-დასავალი“ წერდა 2023 წლის 20-26 თებერვლის მე-9 ნომერში. რედ.).

სამწუხაროდ, იმხანად ჩვენ არ ვიცოდით ვითარების სირთულე და ისევ მათ შევყურებდით იმედიანი მოლოდინით. არადა, **გურამ ქარაზანაშვილმა** მოინდომა ჩვენი დაშინება და მოხდა ის, რაც მოხდა — მას ეს დაშინება არ გამოუვიდა.

ამის შემდეგ მივმართეთ ჯანმრთელობის სამინისტროს და რეგულირების სააგენტოს. აღმოჩნდა, რომ უნდა მიგვემართა უფრო ადრე, რადგან ავადმყოფი უკვე ჰყოლიათ ჩაყენებული უკიდურეს მდგომარეობაში.



**ეს ბრწყინვალე ქართველი – ზურაბ მელიქიშვილი არ უნდა მომკვდარიყო!**

## თვენახევრიანი უიმედო ტანჯვის შემდეგ ზურაბ მელიქიშვილი სახლში გარდაცვლილი წამოვიყვანეთ. დაგვიკარგეს ოჯახის წევრი: შვილებს – მამა, მე – მეუღლე!

... დაბოლოს, როცა **ქარაზანაშვილის კლინიკაში** მდგომარეობის გამოსწორების ყველა იმედი ამოიწურა, პაციენტი გადაყვანილ იქნა **ცენტრალურ საავადმყოფოში** 3-ქულიანი კომატოზური მდგომარეობით. დიახ, ფაქტია: **„ემ-ემ-ტე ჰოსპიტალში“, ამხელა დანაშაულის მიუხედავად, ჩემს მეუღლეს სათანადოდ არ მოუარეს,** ხოლო მათი უყურადღებობით გაჩენილი გრანდიოზული ნაწოლი, ფაქტობრივად, ცენტრალური საავადმყოფოს მედპერსონალის სამკურნალო გახდა. არადა, მინიმალური ყურადღების შემთხვევაშიც კი, ხომ შეიძლებოდა, პაციენტი ამ მდგომარეობამდე არ მიეყვანათ?

საბოლოოდ სახეზეა უმკაცრესი განაჩენი — სიკვდილი. სიცოცხლე წაართვეს გამოჯანმრთელებულ ადამიანს, რომელიც საკუთარი ფეხით მივიდა საავადმყოფოში, რათა შარდვასთან დაკავშირებული მცირეოდენი პრობლემაც მოეშორებინა.

თვენახევრიანი უიმედო ტანჯვის შემდეგ ზურაბ მელიქიშვილი სახლში გარდაცვლილი წამოვიყვანეთ. დაგვიკარგეს ოჯახის წევრი: შვილებს — მამა, მე — მეუღლე.

**ბატონო მინისტრო,** ჩვენთვის ცნობილია, რომ გადადგით გარკვეული ნაბიჯი მდგომარეობის დასასტაბილურებლად, მაგრამ სიკვდილის საფასურად ეს ნაბიჯი მცირეა... ფაქტს შესაბამისი შეფასება და რეაგირება სჭირდება!

**გთხოვთ, დააკისროთ პასუხისმგებლობა „ემ-ემ-ტე ჰოსპიტლის“ სამ ექიმს:**

**გურამ ქარაზანაშვილს** — დაუდევრობის, ზერელობის, გულგრილობის, სრული უპასუხისმგებლობის გამო; **მაია ლავთაძესა და ნათია კეშელავას** ასევე დაუდევრობის, ზერელობის, გულგრილობის, სრული უპასუხისმგებლობისა და არაკვალიფიციურობის გამო. **სამივეს უნდა ჩამოართვათ ექიმის ლიცენზიები!**

**თუ ეს საკითხი სათანადო რეაგირების გარეშე დარჩება, მე გავაგრძელებ დავას სამართალდამცავი და უფლებადამცველი ორგანოების მეშვეობით.**

ძვირფასო ექიმებო, იქნებ მისაყვედუროთ, რატომ გავაერთიანე თქვენი სამადლობელი ამ მიმართვაში. ზოგიერთი თქვენგანი მეუბნებოდა, რომ ასეთი რამ ხდება და ა.შ. მე მაშინ პასუხს არ გცემდით, იმდენად პატივსაცემი ადამიანები ბრძანდებით. დიახ, ხდება, მაგრამ გააჩნია, როდის, რა შემთხვევაში და ვისი მიზეზით.

## გურამ ქარაზანაშვილმა სასწრაფოდ უნდა შეწყვიტოს საქმიანობა, და, მათ შორის, ბათუმში, რათა სხვებიც არ მოტყუვდნენ! ახლა მაინც გადაიდგას გონივრული ნაბიჯი!!!

### კვირგვინოსნები

**თენგიზ ცერცვაძე**
*ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი*



ბოლო პერიოდში საქართველოში **ყირიმ-კონგოს 8 შემთხვევა დაფიქსირდა,** 6 მათგანი გაეწერა, 2 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

„ახალი თაობა“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



ოპოზიციამ **პატიმარ სააკაშვილს მოუწყოს კლინიკასთან აქცია,** რატომ და როგორ მოხდა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ **ოკუპანტის ხელში გადავიდა ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი.**

„პირველი არხი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



ოპოზიციას არაფერი ეტყობა, რომ **იარაღის გარეშე** უნდათ ხელისუფლების გადაგდება, **იარაღის გარეშე** ხელისუფლების გადაგდება ხდება იდეით, იდეაზე კი ჩემი კოლეგები არაფერს ამბობენ.

„პირველი არხი“

# ჩაატარდეს რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით: აფხაზეთი და სამაჩაბლო თუ ევროკავშირი და ნატო?

*იმისათვის, რომ მარტივად და ზედმეტი ტვინის ჭყლეტის გარეშე დავასკვნათ, ესა თუ ის ფაქტი, მოვლენა ან პოლიტიკური პროცესი საქართველოსათვის სასიკეთოა თუ საზიანო, ერთი ძალიან ეფექტიანი და დროში გამოცდილი ტესტი არსებობს, რომელიც არასოდეს იტყუება.*

როგორ უნდა ჩავატაროთ ეს უტყუარი ტესტი? ძალიან მარტივად! მხოლოდ ერთ რამეს უნდა დავაკვირდეთ:

**როცა ნაციონალური მოძრაობა, მისი მონათესავე პოლიტიკური პარტიები, უცხოეთიდან დაფინანსებული ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი მოკავშირე ტელევიზიები აყვირდებიან — ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება, ქართული დემოკრატია იღუპება და ქართველ ხალხს შველა სჭირდებაო — ესე იგი საქართველოსა და ქართველი ხალხის თავს რაღაც სასიკეთო ამბავი ხდება!**

როცა ნაციონალური მოძრაობა, მისი მონათესავე პოლიტიკური პარტიები, უცხოეთიდან დაფინანსებული ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი მოკავშირე ტელევიზიები სიამოვნებისაგან აკრუტუნდებიან და კმაყოფილებით ხელების ფშვნეტას მოჰყვებიან — **როგორც იქნა, საშველი გამოჩნდა, სულ ცოტაც და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს სჭირდებაო** — ესე იგი, საქართველოსა და ქართველი ხალხის თავზე ცა საავდროდ იღრუბლება და რაღაც ფარსაგი დაგვემართება!

ლაკონიურად რომ მოვჭრათ,

**როცა ნაცი და ლიბერალი კმაყოფილები არიან, საქართველოს საქმე ცუდად მიდის, ხოლო, როცა ნაცი და ლიბერალი უკმაყოფილებას გამოთქვამენ, საქართველოს საქმე კარგად მიდის!**

ეს უტყუარი ტესტი პირდაპირ გვეუბნება, რომ **ამ ბოლო დროს გეოპოლიტიკური პროცესები საქართველოსათვის ხელსაყრელად ვითარდება და ქართულ სახელმწიფოს შანსი უჩნდება, საკუთარი მრავალწლოვანი ეროვნული პრობლემები უმტკივნეულოდ გადაწყვიტოს.**

დავაკვირდეთ, როგორი გავეშებულები არიან ნაცები და ლიბერალები იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან ცალმხრივად არსებული სავიზო რეჟიმი გააუქმა და 2019 წელს თავის მიერვე შეწყვეტილი პირდაპირი ფრენები აღადგინა.

**მოვუსმინოთ, როგორ იწევენ თმებს და როგორ ისტერიულად გაჰკივიან ნაცები და ლიბერალები, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თითქოს პროდასავლური კურსიდან გადაუხვია და ქვეყანას რუსეთის ორბიტაზე აბრუნებს.**

სინამდვილეში, ნაცებისა და ლიბერალების ასეთი სასოწარკვეთილი პოლიტიკური მოთქმა ერთადერთ რამეზე მეტყველებს: **ისინი გრძნობენ საფრთხეს, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში ბოლო ხანს მომხდარი მცირე, მაგრამ მაინც პოზიტიური ძვრები შესაძლოა, უფრო მასშტაბურ პროცესებში გადაიზარდოს და ქართულ სახელმწიფოს დაკარგული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნების პერსპექტივა გამოუჩნდეს!**

მაინც რატომ არის ეს ნაცებისა და ლიბერალებისათვის საფრთხე?

**თუ საქართველომ თავის ყველაზე დიდ, ყველაზე ძლიერ და ყველაზე სახიფათო მეზობელთან — რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას მიაღწია, თუ ქართულ ეკონომიკას რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავებით ხეირი დაადგა და ამით ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონე გაუმჯობესდა, თუ რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ქართულ იურისდიქციაში მშვიდობიანად დაბრუნების კუთხით იმედის მომცემი პროცესები დაიძრა, თუ საქართველოში რუსეთის მტრის ხატმა აღარ იარსება და ჩრდილოელი მეზობელი აგრესორისა და ოკუპანტის მაგივრად, მოკავშირედ და პარტნიორად გადაგვექცა,** ეს ნიშნავს, რომ ნაცები და ლიბერალები საქართველოში პოლიტიკურ ცხოვრებას შეწყვეტენ. ისინი დაკარგავენ თავიანთ მთავარ და, პრაქტიკულად, ერთადერთ ფუნქციას, რაც საქართველოში **ანტირუსული პოლიტიკური** დღის წესრიგის შექმნაში გამოიხატება. მათ **რუსოფობიულ პოლიტიკას** არანაირი გასავალი აღარ ექნება და, შესაბამისად, როგორც უფუნქციო და გავლენადაკარგული ძალები, სრულიად გამოუსადეგარი გახდებიან ამჟამინდელი პატრონებისათვის ამერიკასა და დასავლეთში, ვისი ხელიდანაც იკვებებიან და ცხოვრების სახსარს შოულობენ.

სწორედ ამის შიშით ხტებიან დღეს ფეხსაცმლებიდან **კოლექტიური ელენეხოშტარიები, კოლექტიური ხატიადეკანოიძეები და კოლექტიური ნინოლომჯარიები!**

სწორედ ამ საფრთხის შეგრძნებით არის გამოწვეული მათი გამკივანობა — **რუსი მოდის, რუსი მოდისო!**

Fady Asly
21 მაისი, 06:28-ზე ·

თეორიულად დავუშვათ, რომ რუსეთი ივანიშვილს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას დაჰპირდა, კითხვა რომელიც თითოეულმა ქართველმა პატიოსნად უნდა დაუსვას საკუთარ თავს:
მინდა გავერთიანდე ორ სეპარატისტულ რეგიონთან და ვიცხოვრო მათთან, როგორც რუსეთის მონამ,თუ მინდა ვიცხოვრო დამოუკიდებლად და თავისუფლად, როგორც ევროკავშირის წევრმა ამ ორი რეგიონის გარეშე?



ნაცებისა და ლიბერალების მთავარი შიში რუსეთსა და საქართველოს შორის ტერიტორიული პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებების შესაძლო დაწყებასა და ოკუპაციის უსისხლოდ დასრულების პერსპექტივას რომ უკავშირდება, ისინი ამას ვეღარც მალავენ. მაგალითად, ნაცმოძრაობიდან ცოტა ხნის წინათ წასულმა, მაგრამ ტვინითა და სულით მარადიულმა ნაცმა **ხატია დეკანოიძემ** ასეთი რამ განაცხადა:

*„მე მაქვს ლოგიკური კითხვა — **რა საიდუმლო შეთანხმების გარშემო არის მოლაპარაკებები რუსეთსა და საქართველოს შორის? შემდეგი შეიძლება იყოს რკინიგზის აღდგენა, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა...** 2024 წლის არჩევნებისთვის დაიწყება ყალბი პროპაგანდა, რომ ჩვენ არ გვინდა ევროკავშირი, არ გვინდა ნატო, მაგრამ შეიძლება მოლაპარაკებები დავიწყოთ ოკუპანტ რუსეთთან, რომ მიტაცებული ტერიტორიები დაგვიბრუნოს. **შეიძლება, საერთოდ რეფერენდუმზეც გამოიტანონ!“***

კიდევ ერთი განცხადება, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს ნაცებისა და ლიბერალების შიშს — ვაითუ, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება შეძლოს და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანად აღდგენას მიაღწიოსო, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელს, სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მხარდამჭერ **ფადი ასლის** ეკუთვნის:

***„თეორიულად დავუშვათ, რომ რუსეთი ივანიშვილს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას დაჰპირდა, კითხვა, რომელიც თითოეულმა ქართველმა პატიოსნად უნდა დაუსვას საკუთარ თავს:*** *მინდა, გავერთიანდე ორ სე-*

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

## კვირგვინოსნები



**ზაალ ბოტკოველი**
*მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, ლიტერატორი*

ქართულ მწერლობას დღეს **ილიას მკვლელების შთამომავლები** კლავენ. სინჯარაში გამოზრდილმა **ლიბერასტმა მწერლებმა ნამდვილი მწერლობაც მოკლეს** და საკუთარი სულიც! **„საბას“ პრემიების** გაცემისას ასეთი სისტემა მოიფიქრეს: **ჟიურის გადაწყვეტილებით ნომინანტებს აჯილდოებენ, მომდევნო წელს ეს ნომინანტები თავად ხდებიან ჟიურის წევრები და ახლა ისინი აჯილდოებენ მათ, ვინც წინა წელს ჟიურის წევრი იყო.** კარუსელი ტრიალებს ისე, როგორც ციყვი ბორბალში.

„საერთო გაზეთი“



**გიორგი ცუცქირიძე**
*ანალიტიკოსი*

**თემურ ჭყონიას** საქმიანობა ამტკიცებს, რომ **სიტყვით არის პროდასავლელი, მაგრამ ამ დროს ფულს რუსეთში შოულობს,** რაც ორმაგი სტანდარტია. ჭყონიას შემთხვევაში **არათუ რუსული ბაზრიდან გასვლაზეა საუბარი, არამედ — სარეკორდო მოგებაზე,** რითიც შემდეგში აფინანსებს ე.წ. პროდასავლურ ოპოზიციას, აკრიტიკებს ხელისუფლებას, რუსეთის ინტერესების გამტარს უწოდებს ყოველგვარი არგუმენტის გარეშე.

„რეზონანსი“



**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*

გახარია ყველაზე **კვალიფიციურად** იქცევა, **არაკვალიფიციურად — „ლელო“.** „ლელოს“ გარშემო რომ არ მოხდება ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება და **მამუკა ხაზარაძეს** რომ საერთო ოპოზიციურ ლიდერად არავინ არ აკურთხებს, ეს მოცემულობაა და ეს უნდა მიიღონ!

„ახალი თაობა“



**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*

დღეს საქართველო არის **უკეთესი სახელმწიფო,** ვიდრე იყო ათი წლის წინ და ჩვენ პირობას ვაძლევთ საზოგადოებას, რომ **შემდეგ წლებში კიდევ უფრო მეტი პროგრესი ექნება ჩვენს ქვეყანას.**

„იმედინიუსი“

დასაწყისი
მე-5 გვერდზე

*პარტიტულ რეგიონთან და ვიცხოვრო მათთან, როგორც რუსეთის მონამ, თუ მინდა, ვიცხოვრო დამოუკიდებლად და თავისუფლად, როგორც ევროკავშირის წევრმა ამ ორი რეგიონის გარეშე?“*

საქართველოში **„სადიას“** გაყინული ბარკლების რეალიზაციით ფეხმოკიდებული **ლიბანელი ვაჭარი ფადი ასლი** რისი ასლიც არის, ეს ქართველმა საზოგადოებამ დიდი ხანია, იცის და აღარც მისი საჯარო წამოროშვები უკვირს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის უკიდურესად შეურაცხმყოფელ ტონსა და პასაჟებს შეიცავს. თუმცა, ამ შემთხვევაში საყურადღებო და მნიშვნელოვანი სხვა რამეა: **მიხეილ სააკაშვილის ყოფილი რძალი ხატია დეკანოიძე და ია ფარულავას ყოფილი ქმარი ფადი ასლი, ნებსით თუ უნებლიეთ, აღიარებენ, რომ საქართველოსათვის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია ტერიტორიული მთლიანობის საპირწონეა!** სხვანაირად თუ ვიტყვით, ისინი მიანიშნებენ, რომ, თუ საქართველო უარს იტყვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისედაც ფანტასმაგორიულ და ირეალურ პერსპექტივაზე, შესაძლოა, ამის სანაცვლოდ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანად დაბრუნებას მიაღწიოს!

**ხატია დეკანოიძე შფოთავს — შეიძლება, ხელისუფლებამ რეფერენდუმი ჩაატაროს და ქართველ ხალხს ჰკითხოს, ნატო და ევროკავშირი ურჩევნია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე თუ — სამაჩაბლო და აფხაზეთი ნატოსა და ევროკავშირის გარეშეო? ფადი ასლი კი ფიქრობს, რომ ამ საკითხზე ქართველებმა თვითრეფერენდუმი უნდა ჩაიტარონ და იგივე კითხვა თავად დაუსვან თავიანთ თავს.**

სულაც არ არის ცუდი იდეა!

ვფიქრობთ, მოვიდა დრო, საქართველოს ხელისუფლებამ მართლაც ჩაატაროს რეფერენდუმი და ქართველ ერს ჰკითხოს, რა ურჩევნია — **ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე თუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მშვიდობიანი დაბრუნება ნატოსა და ევროკავშირზე უარის თქმის სანაცვლოდ?**

რა პრობლემაა, ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს და აირჩიოს!

**რასაც ქართველი ხალხი გადაწყვეტს და აირჩევს, იმის მიხედვით წარმართოს ქართულმა სახელმწიფომ**

## ხატია დეკანოიძე:

მე მაქვს ლოგიკური კითხვა — **რა საიდუმლო შეთანხმების გარშემო არის მოლაპარაკებები რუსეთსა და საქართველოს შორის? შემდეგი შეიძლება იყოს რკინიგზის აღდგენა, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა...** 2024 წლის არჩევნებისთვის დაიწყება ყალბი პროპაგანდა, რომ ჩვენ არ გვინდა ევროკავშირი, არ გვინდა ნატო, მაგრამ შეიძლება მოლაპარაკებები დავიწყოთ ოკუპანტ რუსეთთან, რომ მიტაცებული ტერიტორიები დაგვიბრუნოს. **შეიძლება, საერთოდ რეფერენდუმზეც გამოიტანონ!**



# ჩაატარდეს რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით: აფხაზეთი და სამაჩაბლო თუ ევროკავშირი და ნატო?

### ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა!

სხვათაშორის, ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, 2021 წლის 27 აპრილს, გამოქვეყნდა სოციოლოგიური კვლევა, რომელიც ორგანიზაცია „CRRC საქართველომ“ კარნეგის ევროპის ფონდის ეგიდითა და შვედეთის სამეფოს ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა. კვლევის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს ასეთი კითხვა დაუსვეს — **„არჩევანის გაკეთება რომ მოგიწიოთ, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებასა და, მეორე მხრივ, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით?“** გამოკითხულთა უმრავლესობამ — **78 პროცენტმა** — ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება არჩია, **13 პროცენტმა** ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებას ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია ამჯობინა, ხოლო **7 პროცენტს** შეკითხვაზე პასუხი არ ჰქონდა.

თუნდაც ამ კვლევის შედეგიდან გამომდინარე, ცხადია, რატომ ეშინიათ **ხატია დეკანოიძისა და ფადი ასლისნაირ ნაცელემენტებს,** რომ მართლაც ქართველი ხალხის გადაწყვეტი არ გახდეს, რა ჯობია — **ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე თუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მშვიდობიანი დაბრუნება ნატოსა და ევროკავშირზე უარის თქმის სანაცვლოდ?**

და რადგან ნაცელემენტებს ამის ეშინიათ, ამის გამო შფოთავენ და ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ეს ნიშნავს, რომ მსგავსი რეფერენდუმი მართლაც ჩასატარებელია!

გაიხსენეთ უტყუარი ტესტი:

**რაც ნაცსა და ლიბერალს არ მოსწონთ,**

**სწორედ ის არის კარგი საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის, ხოლო ის, რაც ნაცისა და ლიბერალისათვის მოსაწონია, საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის უბედურებას მოასწავებს!**

ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ახლა უნდა იმოქმედოს გონივრულად და გაბედულად!

**საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანების თუნდაც უმცირესი შანსიც კი ხელისუფლებამ ხელიდან არ უნდა გაუშვას, ნაცებსა და ლიბერალებს კი შეუძლიათ, ხელიდან არ გაუშვან ის, რისი ასლიც ფადი ასლი გახლავთ! კარგად ჩაბღუჯონ და სიამოვნებაში მოიხმარონ!**

*ჯაბა ხუბუა*

**მიხეილ სააკაშვილის ყოფილი რძალი ხატია დეკანოიძე და ია ფარულავას ყოფილი ქმარი ფადი ასლი, ნებსით თუ უნებლიეთ, აღიარებენ, რომ საქართველოსათვის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია ტერიტორიული მთლიანობის საპირწონეა!**

## კვირგვინოსნები

**დათო ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



იმედს ვიტოვებ, რომ **ქართულ-ამერიკულ 30-წლიან ურთიერთობებს** არავითარი საშიშროება არ ემუქრება. „ახალი თაობა“

**გიორგი გაჩეჩილაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



უკრაინაში **ომის წაგების შემდეგ** რუსეთი მთლიანად იზოლაციაში აღმოჩნდება. „ახალი თაობა“

**კორნელი კაკაჩია**
*„საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი*



ოპოზიციის ლიდერებიდან **არცერთი არ არის ისეთი,** რომელსაც საზოგადოება გაჰყვება. „კვირის პალიტრა“

**ანჯეი დუდა**
*პოლონეთის პრეზიდენტი*



ევროკავშირის კარი ღია უნდა იყოს ახალი წევრებისთვის, კანდიდატებისთვის და, **მათ შორის, ერთ-ერთი საქართველოა,** იმედი მაქვს, **რამდენიმე წელიწადში ევროკავშირის წევრი იქნებით.** „პირველი არხი“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



ევროკავშირს თუ არ შეუძლია, შეასრულოს თავისი ორი მისია — **მშვიდობა და კეთილდღეობა,** მაშინ რა აზრი აქვს მის არსებობას? „რეზონანსი“

**გიტანას ნაუსედა**
*ლიტვის პრეზიდენტი*



მე დავუჭერ მხარს **საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას,** თუ დაკმაყოფილდება წინაპირობები. „იმედინიუსი“

# სერგეი გავრილოვი: ქმანო ქართველნო, ნუ აჰყვებით პროვოკატორებს!



**„შევინარჩუნოთ მშვიდობა და ღვთისმშობელს მივენდოთ, რომელიც თავის წილხვედრ ერს გადარჩენის გზას უჩვენებს!“**

*— მოხარული ვარ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებითა და პირდაპირი ავიარეისების აღდგენით. ვთვლი, რომ ეს მოვლენა საქართველოსა და რუსეთისათვის ორმხრივად მნიშვნელოვან პერსპექტივებს დაუდებს საფუძველს. ეს, უპირველესად, ქართველი ხალხის, უბრალო ადამიანების წარმატებაა!*

***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ლიბერასტული ოპოზიციის მხრიდან მტრად შერაცხილმა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა, სახელმწიფო სათათბიროს საკუთრების, მიწისა და ქონებრივი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ სერგეი გავრილოვმა:***

— ნუ აღვიქვამთ ამ მოვლენას, როგორც რუსეთისგან საქართველოს დაჯილდოებას. მიმაჩნია, რომ გაიმარჯვა სახალხო დიპლომატიამ. ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში იმატა იმ მოქალაქეთა რიცხვმა, რომლებიც არ უფრთხიან ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესების გამოხატვას. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ევროპის ქვეყნებში, ფაქტობრივად, მოაშთეს ის პოლიტიკური ელიტა, რომელიც საკუთარი ერის ინტერესთა სადარაჯოზე იდგა. **ფაქტია, როგორც კი ქვეყანაში ქრება ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებულ ხელმძღვანელთა და პოლიტიკოსთა კლასი, ის ჩანაცვლდება ფსევდოთავისუფლების პროპაგანდისტებით, რასაც მოსდევს ოჯახის ტრადიციული ინსტიტუტისა და სარწმუნოებით ნაკარნახევი ზნეობრივი ცხოვრების წესის, ეროვნული კულტურის მოშლა!** ეს კი ავტომატურად იწვევს ეკონომიკის ნგრევას და ქვეყანა ხდება უცხოელ კოლონიზატორთა თარეშის ასპარეზი.

ვფიქრობ, არ არის შემთხვევითი, რომ საქართველომ თამამად დაიწყო საკუთარი ინტერესების გამოხატვა. საქართველოს ხელისუფლების წიაღში სერიოზული რევოლუცია მოხდა, ის დღითი დღე რწმუნდება, რომ, უპირველესად, საკუთარი ხალხის მომავალზე ზრუნვა მართებს და არა ამერიკაზე, ნატოზე ან ევროკავშირზე! პირდაპირ გეუბნებით:

## თანამედროვე მსოფლიოში გადარჩება მხოლოდ ეროვნულ საწყისებზე და ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოება!

**— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია დასავლეთის მიმართ საქართველოს ხელისუფლების შეხედულებების ცვლილება?**

— საქართველოს ხელისუფლებაში, როგორც ჩანს, ამჯერად სწორად შეაფასეს სააკაშვილისა და მისი პარტნიორის **პეტრო პოროშენკოს** მიერ გატარებული მავნე პოლიტიკის მოდელი, რამაც ორივე ქვეყანა ტერიტორიული მთლიანობის რღვევამდე მიიყვანა. ობიექტურად შეფასდა ფაშისტური პროპაგანდით განპირობებული საფრთხეები, გაცნობიერებულ იქნა, რომ დასავლეთი საქართველოს იყენებდა, როგორც რუსეთთან დასაპირისპირებელ ინსტრუმენტს.

**დარწმუნებული ვარ, გარკვეული დროის შემდეგ ის ადამიანები, ვინც რუსეთთან უვიზო მიმოსვლას და პირდაპირი ავიარეისების დანიშვნას თავგამოდებით აპროტესტებენ, მალე თავადვე შეიძენენ ბილეთებს და სხვადასხვა მიზნით იმოგზაურებენ რუსეთში.** ვფიქრობ, მომავალში ქართველი ახალგაზრდების სულ უფრო მზარდი რაოდენობა შეეცდება მაღალი დონის განათლების მიღებას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, რაც საბჭოთა პერიოდში ექიმებისთვის, ინჟინრებისთვის, იურისტებისთვის და სხვა პროფესიების წარმომადგენლებისთვის უაღრესად პრესტიჟულად ითვლებოდა. მჯერა, რუსეთში კურსდამთავრებულ თანამედროვე ქართველ პროფესიონალებზე დაყრდნობით, საქართველოში მეცნიერების აღორძინების ახალი ეტაპი დაიწყება!

მოკლედ, თუ საქართველო შეძლებს, თავიდან აირიდოს მოვლენების განვითარების უკრაინული სცენარი, ნახევარი წლის შემდეგ იგი რეალურად დაუბრუნდება სულიერი და ეკონომიკური განვითარების, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების ბუნებრივ გზას! **რუსეთთან მეგობრობის აღდგენით ქართველი ხალხის წინაშე გადაიშლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივები!**

**— ანტირუსული ისტერიის კვალად, როგორი დამოკიდებულებაა რუსეთში ქართველების მიმართ?**

— დაბეჯითებით გეუბნებით — ყველაფრის მიუხედავად, რუსეთში არ არსებობენ ანტიქართული ძალები! არც პოლიტიკაში, არც ეკონომიკურ წრეებში, არც ახალგაზრდობაში — არავინ არ არის ანტიქართულად განწყობილი! უფრო მეტიც — საშუალოსტატიკურ რუს მოქალაქეს, თუნდაც საქართველოში ნამყოფი არ იყოს, ქართველები უყვარს იმ ინერციით, რაც ქართველმა ხალხმა თავისი უზადო კულტურითა და ხელოვნებით აჩვენა ათწლეულების განმავლობაში!

## რუს და ქართველ ხალხებს შორის კეთილი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ბუნებრივ პროცესს შეგნებულად აფერხებენ დასავლეთის აგრესიული წრეები, რომლებიც უკვეთენ და აორგანიზებენ

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*



**პირველად 2019 წლის შემდეგ, 2023 წლის 19 მაისს მოსკოვიდან თბილისში პირდაპირი რეისი ჩამოფრინდა!**



## კვირგვინოსნები



**ვლადიმერ პუტინი**
*რუსეთის პრეზიდენტი*

Для меня была полной неожиданностью реакция, которая за этим последовала. Я думал, что все скажут, ну вот, спасибо, хорошо. Нет, там вот какая-то поднялась совершенно непонятная буча по этому вопросу. Очень странно. **И просто, честно говоря, неожиданно. Я когда смотрю со стороны, думаю: совсем спятили, что ли? Что там у них происходит, непонятно.** Мы готовы пройти свою часть пути, как я уже сказал, делаем шаги навстречу и будем делать дальше, в зависимости от того, как на это будут реагировать наши партнеры.

**„РИА НОВОСТИ“**

დასაწყისი მე-7 გვერდზე

**ანტირუსულ აქციებს და გამოხდომებს საქართველოში, თესენ ანტირუსულ ისტერიას.**

სამწუხაროა, რომ საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** ღიად უჭერს მხარს ასეთ გამოხდომებს და ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის თავად იზრუნოს და ჰორიზონტზე გამოჩენილ ახალ პერსპექტივებს მიესალმოს, სწყინს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მოხსნა მის მიერვე დაწესებული სანქცია, ბოიკოტს უცხადებს ქართულ ეროვნულ ავიაკომპანია „აირზენას", რაც გამაოგნებელი სვლა და ქვეყნის მეთაურისთვის შეუფერებელი საქციელია! უფრო მეტიც — **დასავლეთის აგრესიული წრეების ნებასურვილის შესაბამისად, პრეზიდენტი მოქალაქეებს სიმშვიდისკენ კი არა, რადიკალური გამოსვლებისკენ მოუწოდებს, რომლიც ბოლო დროს, როგორც წესი, ხელისუფლების გადატრიალების მცდელობაში და „მოლოტოვის კოქტეილების" სროლაში გადაიზრდება ხოლმე.**

**— ამის პასუხად „აირზენას" დამფუძნებელმა თამაზ გაიაშვილმა პრეზიდენტი „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადა...**

— ალბათ, **სალომე ზურაბიშვილი** ამიერიდან ფრანგული კომპანიის მომსახურებით ისარგებლებს, რომელმაც ვოლოდიმირ ზელენსკი იაპონიაში გადააფრინა, მაგრამ ეს კატასტროფაა ქალბატონი პრეზიდენტისთვის, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე წინ დასავლეთის აგრესიულ ზრახვებს აყენებს. ეს, ზოგადად, ევროპული დიპლომატიის კატასტროფაც გახლავთ და **მე სრულიად ვეთანხმები „აირზენას" ხელმძღვანელის თამაზ გაიაშვილის განცხადებას, რომ უბრალო ქართველ მოქალაქეს — ფერმერს, ბიზნესმენს, პოლიტიკოსს — გაცილებით მეტი სარგებელი მოუტანია თავისი სამშობლო საქართველოსთვის, ვიდრე საქართველოს ამჟამინდელ ქალბატონ პრეზიდენტს!** და, საერთოდ, სამარცხვინოა, პრეზიდენტმა გამარჯვებად მიიჩნიოს საქართველოში ქორწილის აღსანიშნავად ჩამოსული წყვილის ან მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო დელეგაციის ქვეყნიდან გაძევება!

**— რუსული ავიაკომპანია „აზიმუტის" საიტზე ქვეყნების ჩამონათვალიდან „აფხაზეთისა" და „სამხრეთ ოსეთის" გაქრობა ხომ არ მიანიშნებს იმაზე, რომ მიმდინარე პროცესების წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხიც მოგვარდება?**

— საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილმა კონკრეტულმა დასავლურმა ძალებმა დიდი ძალისხმევა დახარჯეს ისეთი პოლიტიკური ელიტის შესაქმნელად, როგორიც, მაგალითად, **სააკაშვილის რეჟიმი** იყო, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოდან ჩამოცილებაში. ამ ფაქტორის გათვალისწინებით დიდი დელიკატურობა გვმართებს, რათა ეს მიზანი აღსრულდეს. საჭიროა, სწორი პოლიტიკით მივაღწიოთ ქართველების მიმართ ოსებისა და აფხაზების მტრული დამოკიდებულების შეცვლას, თანმიმდევრულად წამოვწიოთ ის პოზიტივები, რაც მათ ქართველებთან აკავშირებდათ; ხელი შევუწყოთ სავაჭრო, სამეცნიერო და კულტურის სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას, სახმელეთო სატრანსპორტო კორიდორის განახლებას და ნდობის იმნაირი დამოკიდებულების აღდგენას, რომელიც გამორიცხავს ეროვნული ნიშნით შეურაცხყოფასა და ბინძურ პროვოკაციებს. ერთიან სახელმწიფოზე დიალოგის დაწყება მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც მოსახლეობა თავს დაცულად იგრძნობს. სხვაგვარად, ნებისმიერი ფორმატის იძულებით თავს მოხვევა დაახლოების ნაცვლად, ერებს შორის სიძულვილისა და ქიშპის გაღრმავებას გამოიწვევს. მოსალოდნელია ისეთი პოლიტიკური კომბინაციების განვითარებაც, რომელიც ამჟამად არსებულზე ბევრად უარეს მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. მაგალითად, გიფიქრიათ აჭარის მომავალზე და საქართველოს სამხრეთელი მეზობლის მზარდ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ექსპანსიაზე? **გიფიქრიათ იმაზე, რომ შესაძლოა, მოვლენები ისე განვითარდეს, ახლო აღმოსავლეთში სამხედრო კონფლიქტების კასკადი ყარაბაღში არ დასრულდეს და საქართველოშიც გაინვრცოს?** ამიტომ ზედმიწევნით ფრთხილად, პრაგმატულად, ძალმომრეობის გამორიცხვით უნდა მივუდგეთ მსგავს საკითხებს და კეთილი ნების შემთხვევაში შედეგი აუცილებლად დადგება! ისევ ევროპის მაგალითზე მოგახსენებთ: საფრანგეთმა და გერმანიამ ერთმანეთთან ომში იმ რაოდენობის სისხლი დაღვარეს, საქართველოს არ დასიზმრებია! მაგრამ საფრანგეთი და გერმანია დღეს მოკავშირე სახელმწიფოები არიან!

**— რუსეთის მხრიდან უკვე გაჟღერდა მოსაზრებები, აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს გავლით სამხრეთისკენ სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებასთან დაკავშირებით...**

— ნახეთ, როგორ არის: თუ საქართველო დაიბრუნებს „აბრეშუმის გზის" ოდინდელ ფუნქციას, უზრუნველყოფს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ტვირთების გატარების საიმედო კორიდორს, მაშინ ყველა ის ქვეყანა, რომელიც ამ კორიდორით ისარგებლებს, მათ შორის, ჩინეთი და შუა აზიის რესპუბლიკები, დაინტერესებულნი იქნებიან საქართველოში სტაბილიზაციით, რათა აღიკვეთოს ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობისა და ომში ჩართვის მცდელობები! ასეთი მდგომარეობა იქნება გარანტი ტურიზმისა და პილიგრიმული მოღვაწეობის განვითარებისათვის, რადგან **საქართველოში არის სულიერების ისეთი ცენტრები, რომლითაც სრულიად მართლმადიდებელი სამყარო**



# „დაბეჯითებით გეუბნებით — ყველაფრის მიუხედავად, რუსეთში არ არსებობენ ანტიქართული ძალები! არც პოლიტიკაში, არც ეკონომიკურ წრეებში, არც ახალგაზრდობაში — არავინ არ არის ანტიქართულად განწყობილი!"

## სერგეი გავრილოვი:

# ახლო მომავალში რუსეთი საკმაოდ პრაგმატულ და მომგებიან წინადადებებს შესთავაზებს საქართველოს!


„არ ვაჭარბებ – საქართველოს მიმართ ნოსტალგია მაქვს და სადაც ნოსტალგიაა, ის ქვეყანა საკუთარ სამშობლოდ მიგაჩნია!"

სერგეი გავრილოვი:

ჩემი გვარით მანიპულირებას და ქართველი ხალხის მოტყუებას თავი დაანებონ!

„ნიკა მელიას დაპატიმრებას არ ვუსურვებ!"

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ASAVALI.GE ASDAS.GE

ასავალ დასავალი

2021 წლის 22-28 თებერვალი № 9 1369

ამას ამბობს „ქართვლის დედაზე" რუსი პოლიტიკოსი სერგეი გავრილოვი:

„ჩემთვის განსაკუთრებული სიმბოლოა „ქართვლის დედა", რომელშიც ქართული ხასიათია გადმოცემული: მოყვარესთან — მოყვრული, ხოლო მტერთან — მტრული დამოკიდებულებით!"

ამას ამბობს „ქართვლის დედაზე" ქართველი პოლიტიკოსი ზურაბ ჭიაბერაშვილი:

„ქართველ მამრებში კასტრაციის შიშს აღძრავს არა იმავე სქესის ძლევამოსილი გმირი, არამედ ხმლით შეიარაღებული დედა. „ქართვლის დედის" ხელში მამაკაცის დომინანტი იარაღი ხმალი (ფალოსი) კნინდება და წინა პლანზე ფიალა (საშო) გამოდის..."

## კვირგვინოსნები

**რეჯეპ ტაიპ ერდოღანი**
*თურქეთის პრეზიდენტი*



**არ ვართ იმ ეტაპზე, როდესაც რუსეთს დავუწესებთ სანქციებს.**

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ფადი ასლი**
*ბიზნესმენი*



გვინდა გაერთიანება ორ სეპარატისტულ რეგიონთან, **როგორც რუსეთის მონა,** თუ ვიცხოვროთ დამოუკიდებელ საქართველოში, **როგორც ევროკავშირის წევრმა,** ამ ორი რეგიონის გარეშე. „იმედინიუსი"

**სეიმონ მასხარაშვილი**
*ისტორიკოსი*



ვინც საკითხს აყენებს ასე, რომ **„ან აფხაზეთი, ან ევროკავშირი",** ის ნიჰილიზმსა და შუღლს თესავს ქართველ საზოგადოებაში და, შესაბამისად, **პუტინური რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს!** „იმედინიუსი"

**გიგლა ბარამიძე**
*პროფესორი, დიპლომატი*



**რა კავშირია მანქურთსა და ფადი ასლის სისინს შორის?** ერთი უმთავრესი — ორივესთვის მტკივნეულია ერთიანი და ძლიერი საქართველო. იმ წუნკლების ადგილი, რომელთაც **საქართველო აფხაზეთ-სამაჩაბლოს გარეშე დაუსახავთ,** ჩვენს ქვეყანაში არ არის.

„იმედინიუსი"

**სპარტაკ ქობულია**
*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორი*



უკრაინის გაჭიანურებულმა ომმა და **პუტინ-მედვედევის ატომურმა მუქარამ** ისე დააბნია მთელი მსოფლიო, რომ დღეს არავინ იცის, **ვისი ვიოლინო ვის როიალშია... ბაიდენი, სტოლტენბერგი,** დამფრთხალი ევროპა და ჩვენი სუპერსტრატეგოსი ფრანგი **სალომია ზურაბიშვილი** ყოველივე ამას საქართველოს ხელისუფლების **„დინების წინააღმდეგ სვლას"** აბრალებენ! **ყოჩაღ, დავითის, ილიას, ზვიადის გზით ნავალო საქართველოვ! „გაუმარჯოს სიკვდილშიაც არდანებებას"!** „საქართველოს რესპუბლიკა"

**„გულით მინდა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ საქართველოს სიყვარულიდან გამომდინარე ვფრთხილობ, ჩემი ჩამოსვლით ისევ პროვოკაციის საფუძველი არ მიეცეთ საქართველოს მტრებს, რომლებიც რეალურად უცხოეთის ნომრიან აგენტურას წარმოადგენენ! დადგება ჟამი და მე საქართველოში მაინც ჩამოვალ, მარტო იმ მიზნით, რომ ქართველი ხალხი ჩემს გულწრფელ სიყვარულში დავარწმუნო!“**

**არის მოხიბლული.** შესაბამისად, ეს გამოიწვევს ეკონომიკასთან და მოსახლეობის ცხოვრების დონესთან ერთად ქვეყნის სულიერ აღორძინებას და ქრისტიანულ ზნეობაზე ორიენტაციას.

სატრანსპორტო მაგისტრალი უზრუნველყოფს ისეთი შეიარაღებული კონფლიქტების დაცხრობასაც, როგორიც, ვთქვათ, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებობს! ეს მნიშვნელოვანია ირანისთვისაც, რადგან შეძლებს ტვირთების კავკასიისა და რუსეთის მიმართულებით მარტივად ტრანსპორტირებას; **კორიდორი დიდ მნიშვნელობას შეიძენს თვით ევროპისთვისაც, რადგან კავკასიის გავლით გაცილებით სწრაფად და მოსახერხებლად განახორციელებს ტვირთბრუნვას, ვიდრე ინდოეთის ოკეანის გადასერვით და სუეცის არხით.** ასე რომ, ახლო მომავალში რუსეთი საკმაოდ პრაგმატულ და მომგებიან წინადადებებს შესთავაზებს საქართველოს!

**— მაგრამ, როგორ დავივიწყოთ, რომ რუსეთის იმპერია 2008 წელს შემოიჭრა საქართველოში და ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა?**

— მოაზროვნე ადამიანები შესანიშნავად ხვდებიან, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის პროვოცირება სააკაშვილის რეჟიმზე დაყრდნობით ამერიკელებმა მოახდინეს. მათ იგივე მოიმოქმედეს უკრაინაშიც! **დასავლეთს სურდა, რუსეთისგან საქართველოს იზოლირება და სისხლისმღვრელ, ხანგრძლივ ომში ჩათრევა, სურდა, საქართველოში შეექმნა სამხედრო პლაცდარმი, რათა ომის მუდმივი საფრთხის წინაშე ემყოფებინა არამხოლოდ რუსეთი, არამედ თურქეთი და ირანიც!** საქართველოში ეს არ გაუვიდათ, სამაგიეროდ, გაუვიდათ უკრაინაში.

## დასავლეთის პოლიტიკა – „დაყავი და იბატონე“ – უცვლელი რჩება. ისინი ცდილობენ, კავკასია დაამდურონ რუსეთს, თურქეთს, ირანს; რუსეთი დაამდურონ ჩინეთს, შუა აზიას და თავად „მღვრიე წყალში ითევზაონ“.

ასე მოექცა ნატო ევროპასაც — თავის დროზე სამოქალაქო ომებით დასუსტებული სამხრეთ ევროპა ჯერ დაანაწევრა, მერე კი ნაწილ-ნაწილ მოინელა. აი, თქვენ კითხვაში ახსენეთ **„რუსეთის იმპერია...“** მე გეტყვით — რუსეთი მართლაც რომ იყოს იმპერია, საქართველო მის შემადგენლობაში გაცილებით დაცული იქნებოდა, ვიდრე ამჟამად!

## რუსეთი საქართველოს ახლა სთავაზობს პარტნიორულ ურთიერთობებს, საქართველოდან კეთილი ნების შემთხვევაში – მოკავშირეობასაც კი! და ეს შეთავაზება გაცილებით გულწრფელია, ვიდრე დასავლეთიდან ყალბი და ფარისევლური განცხადებები,

**რაც, რეალურად, ვასალურ დამოკიდებულებაშია გადაზრდილი.** თუმცა, აქვე მინდა, დავამშვიდოთ — **„ფერადი რევოლუციების“ მძიმე ეპოქა, რომელიც საქართველომ უკრაინის მსგავსად საკუთარ კისერზე გამოსცადა — დასრულდა!**

**— საქმე იქამდე მივიდა, ლიბერასტული ბანდები უკვე მართლმადიდებლობასაც დაუპირისპირდნენ იმ მიზნით, რომ რუსეთთან დამაკავშირებელი ფაქტორი მოაშთონ...**

— კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მართლმადიდებლობის დაცვის ფუნქცია რუსეთმა იტვირთა. შეიძლება, ქართველმა ხალხმა ჯერ არც იცის, რომ **რუსეთში ამჟამად იქმნება და უახლოეს მომავალში უნდა ამოქმედდეს კანონები სქესის შეცვლისა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელთაც მორწმუნეებთან ერთად რუსი ათეისტი საზოგადოებაც უჭერს მხარს, რადგან ყველას ესმის, რომ სახელმწიფოს, ქვეყნის, საზოგადოების, ზნეობისა და სულიერების გადარჩენა სხვაგვარად ვერ მოხდება.**

**— საქართველოში ჩამოსვლას აღარ აპირებთ?**

— საქართველო უზომოდ მიყვარს. ადრე ინტერვიუში ისიც გითხარით, რომ ბავშვობაში ხშირად ჩამოვდიოდი თბილისში, პავლოვის ქუჩაზე მცხოვრებ ბაბუასთან. დღემდე მახსოვს თონის პურის სუნი და გემო, რომელიც მე-6 პურის ქარხნიდან მიმქონდა სახლში. მახსოვს, როგორ დავყავდი ბაბუას დეზერტირების ბაზარში პროდუქტის შესაძენად, ვაკის პარკში, ლისისა და კუს ტბებზე. ძალიან მიყვარს ჩემი ძველი და ახალშეძენილი ქართველი მეგობრები. საქართველო ჩემთვის ასოცირდება ჯვრის მონასტრიდან დანახულ ულამაზეს ხედთან, სადაც მტკვარი და არაგვი ერთვიან ერთმანეთს, მათ მიღმა კი საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა ბრწყინავს!

**„საქართველო ჩემთვის ასოცირდება ჯვრის მონასტრიდან დანახულ ულამაზეს ხედთან, სადაც მტკვარი და არაგვი ერთვიან ერთმანეთს, მათ მიღმა კი საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა ბრწყინავს!“**



2019 წელს მე საქართველოში ჩამოვედი, როგორც საპარლამენტთაშორისო მართლმადიდებლური ასამბლეის პრეზიდენტი. ჩამოვედი ამ ქვეყნის მიმართ სიყვარულით სავსე გულით, რომელიც უზომოდ მატკინეს, რადგან გამიზნული პროვოკაცია მომიწყვეს და საქართველოს მტრის ხატად მაქციეს. **მე ვიყავი სტუმარი და დავჯექი იქ, სადაც მასპინძლებმა მიმითითეს, ამის გამო კი საქართველოში შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა განახორციელეს, რასაც მტრის ხატის გასამძაფრებლად „გავრილოვის ღამე“ უწოდეს.**

## პირდაპირ გეტყვით – იმათზე მეტად მიყვარს საქართველო, ვინც ეს პროვოკაცია მომიწყო. იმასაც გეტყვით, რომ ბინძური ცილისწამებაა, თითქოს აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ომში ვმონაწილეობდი. ცხოვრებაში არცერთ ომში მონაწილეობა არ მიმიღია!

გულით მინდა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ საქართველოს სიყვარულიდან გამომდინარე ვფრთხილობ, ჩემი ჩამოსვლით ისევ პროვოკაციის საფუძველი არ მიეცეთ საქართველოს მტრებს, რომლებიც რეალურად უცხოეთის ნომრიან აგენტურას წარმოადგენენ! დადგება ჟამი და მე საქართველოში მაინც ჩამოვალ, მარტო იმ მიზნით, რომ ქართველი ხალხი ჩემს გულწრფელ სიყვარულში დავარწმუნო. მანამდე კი მინდა, ვისარგებლო მომენტით და მივმართო: **ძმანო, ქართველნო, საქართველოში მოქმედებს პროვოკატორთა ერთი და იგივე ჯგუფი, რომელსაც ამ ლამაზი ქვეყნის ომში ჩათრევა და ნაცარტუტად ქცევა სურს. ნუ აჰყვებით პროვოკატორებს! შევინარჩუნოთ მშვიდობა და ღვთისმშობელს მივენდოთ, რომელიც წილხვედრი ქვეყნის იავარქმნას არ დაუშვებს და ქართველ ერს გადარჩენისა და გაბრწყინების გზას სწორად უჩვენებს!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**სვიმონ ჯანგულაშვილი**
*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი*



რუსეთი ჰონორარებს **ალა პუგაჩოვასა და კირილ სერებრენნიკოვს** არ აძლევს და მაინცდამაინც **ბოზი და ჰელენა ხოშტარიების** ოჯახზე იცავს **პუტინი** საავტორო უფლებების კანონმდებლობას? **კეზერა** ქართველი ჯარისკაცების ფულითაა გამდიდრებული, ევროპელ პენსიონერებს ძარცვავს და **„გალფში“ ლავროვთან ერთადაა მეწილე,** თქვენ კი მაგათი დაფინანსებული **უნიჭოების მრევლი ხართ და ვითომ რუსეთს ებრძვით რუსთაველის გამზირზე,** ეს ნორმალურია? აფერისტები ხართ.

„იმედინიუსი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*„ჯიპას“ პროფესორი*



ჩვენი ხელისუფლება ფრთხილობს და დარწმუნებული ვარ, **სანქცირებულ კომპანიებს არ გაეკარება.** ჩვენ **ბეწვის ხიდზე გავდივართ,** მოყოლებული 2008 წლიდან და მითუმეტეს ახლა, რაც ომი დაიწყო უკრაინაში.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ვოლსკი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა არის პოლიტიკური ძალა, რომელმაც **ქვეყნის 20 პროცენტი მტერს ჩააბარა.** აქედან გამომდინარე, **ნებისმიერი მათი ინიციატივა სიყალბედ უნდა იქნეს განხილული.**

„რეზონანსი“

**ოლაფ შოლცი**
*გერმანიის კანცლერი*



ჩვენი კონტინენტის ისტორიაში მწარე პერიოდი, რომელიც **ვლადიმერ პუტინმა შექმნა თავის იმპერიალისტურ სიგიჟეში,** თავისუფალი უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებით დამთავრდება.

„ინტერპრესნიუსი“

*აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან უკვე პირდაპირ კეთდება მინიშნებები იმის თაობაზე, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენის გამო სანქციები ემუქრებათ არამხოლოდ ქართულ კერძო ავიაკომპანიებს, არამედ თბილისის საერთაშორისო აეროპორტსაც. ამ და სხვა აქტუალურ თემებზე საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, პარტია „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას ვესაუბრებით:*



სალომე ზურაბიშვილის სიტყვით გამოსვლა 2023 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე

# «ჯერ უკრაინელებმა შეწყვიტონ რუსეთთან სანქცირებული გაზითა და ნავთობით ვაჭრობა და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვიშალონ ქართველებს რუსულ ბაზარზე ღვინისა და მანდარინის გაყიდვა!»



## *ჯონდი ბაღათურია:*

## რასაც სალომე ზურაბიშვილი ლაპარაკობს და აკეთებს, ეს არამხოლოდ პოლიტიკური სპეკულაცია, არამედ სრულიად უთავმოყვარეო და ნამუსგარეცხილი საქციელია!

— სანქციებით მუქარა და ყველა პრეტენზია, რომელსაც რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენის გამო ქართულ ხელისუფლებას კოლექტიური დასავლეთი და ოპოზიციად თვითწოდებული „მეხუთე კოლონა“ უყენებენ, აბსოლუტურად უსაფუძვლო, უსამართლო და უსინდისოა. **ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ევროკავშირი და ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია პოლიტიკური ხრწნილების ისეთ ფაზაში შევიდნენ, როგორშიც საბჭოთა კავშირი ბრეჟნევის მმართველობის ბოლო წლებში იმყოფებოდა.**

რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენა და აქამდე ცალმხრივად არსებული სავიზო რეჟიმის გაუქმება მხოლოდ მისასალმებელი ფაქტია. რუსეთის ხელისუფლებამ, როგორც იქნა, გამოასწორა მის მიერ 2019 წელს დაშვებული სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური შეცდომა, რომელიც ამერიკისა და კოლექტიური დასავლეთის წისქვილზე ასხამდა წყალს.

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— ის მძიმე და შეიძლება ითქვას, ისტერიული რეაქცია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი ადმინისტრაცია და კოლექტიური დასავლეთის სხვა წარმომადგენლები რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით ამჟღავნებენ, ავტომატურად მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთის მიერ თავის დროზე პირდაპირი ავიარეისების აკრძალვა სწორედ მათი ინტერესებისათვის იყო სასარგებლო.

**— რატომ არ შედის ამერიკისა და ევროკავშირის ინტერესებში, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები და უვიზო მიმოსვლა არსებობდეს?**

— რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოსთან პირდაპირი ფრენების აკრძალვით, უპირველეს ყოვლისა, რუს და ქართველ ხალხებს შორის სიახლოვისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავებას შეუშალა ხელი, არადა, ხალხების ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. **ეს ძალიან კარგად ესმის ამერიკასაც, რომელიც ახლა სწორედ იმაზე შფოთავს, რომ**

**პირდაპირი ფრენების აღდგენისა და სავიზო რეჟიმის გაუქმების კვალდაკვალ, რუს და ქართველ ხალხებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დათბება, ეს კი, როგორც მინიმუმ, იმ ყინულის გალღობასაც მოასწავებს, რომელიც რუსულ და ქართულ სახელმწიფოებს შორის არსებობს.**

**— ე.ი. ამერიკასა და ევროკავშირს იმისი ეშინიათ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი პოლიტიკური დიალოგი არ დაიწყოს?**

— რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენა პირდაპირ შედის ქართული სახელმწიფოს ინტერესებში, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამერიკის ხელისუფლების ინტერესებს, რადგან დღეს ამერიკასა და რუსეთს შორის სამხედრო კონფლიქტია გაჩაღებული. ისინი ერთმანეთთან ცხელ ომს ჯერჯერობით მხოლოდ უკრაინის ტერიტორიაზე აწარმოებენ, მაგრამ, **დიდი ეჭვი მაქვს, მალე ეს ომი უკრაინის საზღვრებსაც გასცდება და უფრო გლობალურ მასშტაბს მიიღებს.** როგორც ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჯეფრი** საქსმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, ამერიკის მმართველი ელიტა ძალიან სახიფათო მარგინალიზმით არის შეპყრობილი და ვერ აცნობიერებს, რომ აღარ გააჩნია რესურსი, შეინარჩუნოს მსოფლიო ჰეგემონობა, მით უფრო, ისეთი სახიფათო გზით, როგორიც რუსეთისნაირ ბირთვულ სახელმწიფოსთან ომის გაჩაღებაა.

**— თუმცა, გამუდმებით გვესმის განცხადებები იმის შესახებ, რომ რუსეთი ომში მარცხდება და ძალიან ახლოს არის უკრაინის, შესაბამისად კი, ამერიკისა და დასავლეთის გამარჯვება!**

— ეს მხოლოდ კოლექტიური დასავლეთის პროპაგანდაა, სიმართლე და რეალობა კი სულ სხვაგვარია. თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ ამერიკა და კოლექტიური დასავლეთი რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენაზე ასე ძალიან შფოთავენ, უკრაინის ომში მათ სერიოზულ პრობლემებზე მეტყველებს.

**გარწმუნებთ, უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე ომში ამერიკას წარმატება რომ ჰქონდეს, მოსკოვსა და თბილისს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენაზე ყურადღებას არც გაამახვილებდა, მაგრამ ამ უმნიშვნელო საკითხმაც კი ამერიკელები შეაშინა, რადგან რუსეთთან ომში ძალიან უჭირთ.**

იმდენად რთულად მიდის კოლექტიური დასავლეთის საქ-

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



**ვინ უფრო ემსახურება რუსეთის ინტერესებს,** ხელისუფლება, რომელიც ამ ურთულეს ვითარებაში ავად თუ კარგად მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებას ახერხებს, თუ **ოპოზიცია, რომელიც ორიენტირებულია კოლიზიებისა და ქაოსის შექმნაზე?**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



გასაგები ხდება **კოლექტიური დასავლეთის ყველა ფობია** საქართველოს საგარეო და შიდა პოლიტიკურ კურსთან მიმართებით, რაც მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს: **ქვეყანა სწორი მიმართულებით მიდის — კიდევ ერთი ბრავო ქვეყნის პრემიერ-მინისტრს.**

„იმედინიუსი“

**გიორგი კობერიძე**
*„ჩიპას“ პროფესორი*



რუსეთის პოლიტიკა აგებულია კონცეფციაზე: **იქ, სადაც რუსია, არის რუსეთიც.** საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს სტატუსი, რაც იქნება ნიშანი, რომ **ევროკავშირს არ მიუტოვებია ქართველი ხალხი.** სტატუსის არმიცემით არაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ. მეტიც, ეს გაზრდის ხალხის ნიჰილიზმს.

„კვირის პალიტრა“

**სოსო ცისკაძე**
*პოლიტოლოგი*



ქართულ პოლიტიკაში გადახალისების, **ახალი ძალებისა და ახალი მოთამაშეების გამოჩენის დრო დადგა.** ასეთი სუსტი ოპოზიცია, სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მახსენდება. თუ ახალი არავინ არ გამოჩნდება, საერთოდ, აუღელვებლად, ყოველგვარი დიდი სამზადისის გარეშე, **არჩევნებს ისევ „ქართული ოცნება“ მოიგებს.**

„ახალი თაობა“

# „ნაცოპოზიციად წოდებული „მეხუთე კოლონა“ ემსახურება ამერიკის ინტერესს, რაც საქართველოს მიერ რუსეთთან ომის გაჩაღებასა და მის საზღვართან კიდევ ერთი ფრონტის ხაზის გახსნას გულისხმობს!“

მე, რომ უკრაინაში ე.წ. კონვენციური, ანუ არაბირთვული იარაღით ომსაც კი აგებს მაშინ, როცა თავიდან ყველა მიიჩნევდა, რომ ამ ასპექტში ნატოს რუსეთთან აშკარა უპირატესობა ჰქონდა.

**— ნაცოპოზიცია და ქართული ლიბერალური კლასტერი განგაშის ზარებს არისხებენ — საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო კურსი შეცვალა და ქვეყანას რუსეთის ორბიტაზე აბრუნებსო! იმავეს ამბობს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც, რომელმაც 2023 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა — რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, ეს გიორგი ანწუხელიძის, გიგა ოთხოზორიასა და რუსულ ოკუპაციას შეწირული სხვა ქართველების შეურაცხყოფა არისო! რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— რასაც სალომე ზურაბიშვილი ლაპარაკობს და აკეთებს, ეს არამხოლოდ პოლიტიკური სპეკულაცია, არამედ სრულიად უთავმოყვარეო და ნამუსგარეცხილი საქციელია!

## აშკარაა, რომ საქართველოს პრეზიდენტს, მორალურ პრობლემებთან ერთად, სერიოზული ინტელექტუალური პრობლემაც აწუხებს!

რაც შეეხება **„მეხუთე კოლონას“**, რომელიც საკუთარ თავს ოპოზიციას ეძახის, ესენი არიან კლასიკური მაგალითი, თუ რას ნიშნავს უცხო ქვეყნის გავლენის აგენტობა. პირდაპირ ატარებენ იმ უცხო ქვეყნების ინტერესებს, საიდანაც დაფინანსებას იღებენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაცოპოზიციად წოდებული **„მეხუთე კოლონა“** ემსახურება ამერიკის ინტერესს, რაც საქართველოს მიერ რუსეთთან ომის გაჩაღებასა და მის საზღვართან კიდევ ერთი ფრონტის ხაზის გახსნას გულისხმობს! სწორედ ამ მიზნით, ამერიკა კოლოსალურ ზეწოლას ახორციელებს ნატოს არაწევრ თითქმის ყველა ქვეყანაზე, რომელიც რუსეთის საზღვრებთან მდებარეობს — საქართველოზე, აზერბაიჯანზე, სომხეთზე, შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე.

**— მიუხედავად უდიდესი ზეწოლისა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ამერიკისა და დასავლეთისაგან განიცდის, შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა რუსეთთან დიალოგის დაწყება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბარი?**

## „როგორც ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეფრი საქსმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, ამერიკის მმართველი ელიტა ძალიან სახიფათო მარგინალიზმით არის შეპყრობილი და ვერ აცნობიერებს, რომ აღარ გააჩნია რესურსი, შეინარჩუნოს მსოფლიო ჰეგემონობა!“



ბაიდენი



ბრეჟნევი

**„ევროკავშირი და ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაცია პოლიტიკური ხრწნილების ისეთ ფაზაში შევიდნენ, როგორშიც საბჭოთა კავშირი ბრეჟნევის მმართველობის ბოლო წლებში იმყოფებოდა!“**

— რა თქმა უნდა! რუსეთის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის ერთი ნაწილი ყოველთვის ემხრობოდა საქართველოსთან დიალოგს, მაგრამ იმარჯვებდა იმ მაღალჩინოსნების აზრი, რომლებიც თვლიდნენ, რომ საქართველოსთან დიალოგს აზრი არა აქვს და მის მიმართ მკაცრი პოლიტიკა უნდა გატარდეს, რასაც რუსეთი აქამდე აკეთებდა კიდეც. თუმცა,

## საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა აბსოლუტურად განაიარაღა ის რუსი მაღალჩინოსნები, რომლებიც საქართველოსთან მიმართებაში მკაცრი პოლიტიკის მომხრენი იყვნენ და, პირიქით, კარგად შეაიარაღა დიალოგისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე რუსული ძალები.

სწორედ ამიტომ მოხდა რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის გაუქმებაც და პირდაპირი ფრენების აღდგენაც, რაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებას შეუწყობს ხელს და

## წლევანდელ ტურისტულ სეზონზე მხოლოდ რუსი ტურისტებისაგან, მინიმუმ, მილიარდი დოლარი შემოვა ქართულ ეკონომიკაში.

ცალკე თემაა სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის — ქართული ღვინის, ხილისა და სოფლის მეურნეობის ნაწარმის რუსეთში ექსპორტი, რაც პირდაპირი ფრენებისა და უვიზო მიმოსვლის პირობებში გაცილებით უფრო გამარტივდება.

**— ჰოდა, საქართველოს „დაუძინებელი მეგობრებიც“ სწორედ ამაზე შფოთავენ — ქართული ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების მასშტაბი კიდევ უფრო გაიზრდებაო!**

— ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ უკრაინა დღემდე ვაჭრობს რუსეთთან სანქცირებული გაზითა და ნავთობით. დიახ, უკრაინის ტერიტორიაზე გადის მილსადენი, საიდანაც რუსული სანქცირებული გაზი და ნავთობი ევროპაში შეედინება, უკრაინა კი ამაში რუსეთისაგან ფულს იღებს. **მოდით, ჯერ უკრაინელებმა შეწყვიტონ რუსეთთან სანქცირებული გაზითა და ნავთობით ვაჭრობა და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვიშალონ ქართველებს რუსულ ბაზარზე ღვინისა და მანდარინის გაყიდვა.**

ამერიკის ხელისუფლება ასეთი ორმაგი სტანდარტებით, უსამართლო მიდგომებითა და უსინდისო ზეწოლებით მხოლოდ საქართველოს როდი ახრჩობს. ისეთი დიდი და ძლიერი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა, როგორიც ნატოს წევრი თურქეთია, ორიოდე კვირის წინათ განაცხადა — ამერიკამ მთელ მსოფლიოს და, მათ შორის, თურქეთს თავი შეაზიზღაო!



ჯეფრი საქსი

## იქნებ ბაიდენის ადმინისტრაცია სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვას შეეშვას და იმაზე დაფიქრდეს, რატომ ეზიზღება მთელ მსოფლიოს?!

*ესაუბრა*

***გიორგი ძაძამია***

## კვირგვინოსნები



**გია ჭანტურია**
*საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორი*

**აფხაზეთის დაბრუნების** შანსი კი არა, **საქართველოს აფხაზეთზე მიერთების** შანსი ჩნდება.

„TV პირველი“



**ბესიკ ალადაშვილი**
*უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი*

რუსულ სპეცსამსახურებს შესწავლილი აქვთ ქართული ტრადიციები, გენეტიკა. **რომელი პარტიაც დღეს საქართველოში გამოვა და იტყვის, მე მხარს ვუჭერ ერთნაირსქესიანთა ქორწინებასო, ის პარტია განულდება არჩევნებში,** ეს ხომ ყველამ კარგად იცის?! გამოქვეყნდა დასავლელი ელჩების განცხადება და თემა ისევ „ელგებეტეა“. **როგორ შეიძლება, ქართველი კაცი თუ ქალი არ დაეთანხმოს იმას, რაც ღარიბაშვილმა ბუდაპეშტში თქვა?!** ქალი რომ ქალია და მამაკაცი მამაკაცია და საქართველო ტრადიციების ქვეყანაა, ეს ხომ ელემენტარულია.

„თბილისელები“



**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

მას შემდეგ **აღარ ვცემ ქალბატონ პრეზიდენტს პატივს,** რაც ნაციონალური მოძრაობა — **ძალა, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ დაკვეთებს ასრულებს** და „ქართული ოცნება“, რომელმაც ეს სამარცხვინო ძალა შეცვალა, ერთ სიბრტყეზე დააყენა.

„POSTTV“



**ირაკლი მენაღარიშვილი**
*საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი*

ქართველ ხალხს გადაწყვეტილი აქვს, **იაროს დასავლური გზით** და არავის მისცემს უფლებას, ამ გზიდან გადაუხვიოს! **ნეიტრალიტეტი სადღეისოდ საქართველოსთვის მიუღებელია.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

***საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის, რომ ქვეყნის „პრეზიდენტად" წოდებულმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც სინამდვილეში უცხო ქვეყნის რეზიდენტი, ანუ ჯაშუშია, 2023 წლის 20 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების აღდგენის გამო გამართულ ბრიფინგზე ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისს" ბოიკოტი გამოუცხადა და საქართველოს მოქალაქეებს მიმართა —*** *„მოგიწოდებთ, თქვენც გაიზიაროთ ბოიკოტი „აირზენაზე", რომელიც არის კომპანია, რომელიც სულ სარგებლობს ამ სახელმწიფოთი, რომ გამდიდრდეს. ეს ასე იყო ყველა ხელისუფლების დროს, გაგრძელდა კოვიდის დროს და ახლა უნდა ისარგებლოს ამ ახალი რეალობით, რომელიც მიუღებელია ჩვენი მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის. მე თავს შევიკავებ ამ კომპანიის ბორტის გამოყენებისგან, სანამ ეს იქნება „აირზენას" ხელში, რომ კიდევ არ გავამდიდროთ ის კომპანია, რომელიც ყველაფრისთვის მზად არის!"*



# თამაზ გაიაშვილი:

# საქართველო ასეთ მოღალატე და სამარცხვინო პრეზიდენტს არ იმსახურებს!

***ამ ყველაფრის შემდეგ ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის" გენერალურმა დირექტორმა თამაზ გაიაშვილმა სალომე ჯაშუშის მიერ გამოცხადებულ ბოიკოტსა და უსინდისო ბრალდებებს მწვავედ უპასუხა, ზურაბიშვილი „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადა და „ქართველი ხალხის წინაშე" ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიაშვილმა მადამ „პლეზიდენტს" „აირზენას" ბორტზე ფეხის დადგმა აუკრძალა!***

*ვფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლებამ და, საერთოდ, ქართველმა ხალხმა* ***თამაზ გაიაშვილს*** *უნდა მიჰბაძონ და ეს მართლაცდა მოღალატე „პრეზიდენტ"-რეზიდენტი არა მარტო „აირზენას" ბორტიდან, არამედ სამთავრობო ლოჟიდანაც მოისროლონ! სწორედ ამ გზით თუ შეიძლება იმ პროვოკაციული და ძირგამომთხრელი რიტორიკის აღკვეთა, რომელიც 26 მაისს ტრიბუნაზე შემომდგარი მოღალატე* ***სალომე ზურაბიშვილის*** *ბაგეთაგან ისმოდა:*

— 26 მაისს სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა იყო სამარცხვინო და ამ ქალისგან მაგას ველოდი... კაცმა რომ თქვას, რა გასაკვირია, რასაც აკეთებს? **თუ მაგ ქალის წარსულს გადავხედავთ, მივხვდებით, რომ ევროპასა და ამერიკას სწორედ ასეთი პრეზიდენტი უნდათ, რადგან ეს ქალი ყველაფერზე ხელს აწერს.** საერთოდ, ეს ქალი საქართველოს პრეზიდენტი არ არის და სამარცხვინო არსებაა. ჩვენი სირცხვილია, რომ სალომე ზურაბიშვილისნაირი პრეზიდენტი გვყავს. საქართველო ასეთ მოღალატე და სამარცხვინო პრეზიდენტს არ იმსახურებს!

**— ბატონო თამაზ, მაინც რა იყო მიზეზი, რის გამოც სალომე ზურაბიშვილი კომპანია „აირზენას" დაებდღვნა და მთელ საქართველოს თქვენი ბოიკოტირებისკენ მოუწოდა?**

— არავითარი მიზეზი მაგ ქალისთვის არ მიგვიცია... ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არაფერი დაგვიშავებია, მაგრამ პირიქით კი იყო, რადგან **სალომე ზურაბიშვილმა** ჩვენი მფრინავები მოატყუა და „გადააგდო"!

**— რას ნიშნავს „გადააგდო"?**

— ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ სალომე ზურაბიშვილი, თურმე, ჩვენს მფრინავებს დაჰპირდა — 2022 წლის ბოლოს, დეკემბერში, ღირსების ორდენებით დაგაჯილდოებთო! დეკემბერი რომ გავიდა და არავინ დააჯილდოვეს, 2023 წლის იანვარში მფრინავებმა მითხრეს — პრეზიდენტი ასე და ასე დაგვპირდა, მაგრამ, ეტყობა, „გადაგვაგდო". ამიტომ მაგ ქალის მიმართ ისედაც არ ვიყავით დიდი სიმპათიებით განწყობილი და სალომე ზურაბიშვილთან ერთად ფრენას ნუ დაგვაძალებთო!

**რაკი სალომე ზურაბიშვილმა ჩვენს კომპანიას ბოიკოტი გამოუცხადა, ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ ამ სამარცხვინო ქალს, რომელიც ქართულ ავიაკომპანიას ებრძვის, ბოიკოტი გამოვუცხადოთ და არ მოვემსახუროთ!**

## სალომე ზურაბიშვილი არის უცხოელების პრეზიდენტი და კეთილი ინებოს და უცხოური ავიაკომპანიით ისარგებლოს, ჩვენ მაგას არ მოვემსახურებით!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: იმ დროს, როდესაც ქალბატონი სალომე პარიზის ქუჩებში დასეირნობდა, ქართველი მფრინავები ხანძარმოდებულ აფხაზეთში დაფრინავდნენ და სამშობლოს ერთიანობის იდეას ეწირებოდნენ. 2008 წლის ტრაგედიის შემდეგ, როცა მსოფლიოს ყველა ავიაკომპანიამ უარი თქვა ორად გახლეჩილ საქართველოში ფრენების განხორციელებაზე, ქართველი ავიატორები, მიუხედავად სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების კატეგორიული წინააღმდეგობისა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაფრინავდნენ და პოლიტიკოსები, დიპლომატები და ჟურნალისტები ჩამოჰყავდათ, რამაც ჩვენი ქვეყანა, პრაქტიკულად, იხსნა იზოლაციისგან. ამდენ უბედურებას სასწაულებრივად გადარჩენილი ავიაკომპანიის წინააღმდეგ განხორციელებული ეს შტურმი უსინდისობაა და სხვა არაფერი, მითუმეტეს, იმ პრეზიდენტისგან, რომელსაც ერთპროცენტიანი რეიტინგიც კი არ გააჩნია. მართლაცდა გასაკვირია, თუ რატომ იხარჯება მილიონები საქართველოს ბიუჯეტიდან იმ ქალბატონის ყოვლად უმიზნო ვოიაჟებისთვის საზღვარგარეთის ქვეყნებში, ვისაც ცხოვრების არცერთ მონაკვეთში საქართველოსთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია. იგი დღესაც ავადსახსენებელი გახარიას სიტყვებს იმეორებს, რომ ავიაკომპანია პანდემიის დროს ვითომ მდიდრდებოდა. საქართველოს პრეზიდენტმა ისიც კი არ იცის, რომ პანდემიის დროს კომპანია გაჩერებული იყო და გაკოტრების რეჟიმში იმყოფებოდა, დღეს კი რეაბილიტაციის რეჟიმშია. რა უნდა ელაპარაკო ადამიანს, რომელიც ორი წლის წინათ ფრანგულ ავიაკომპანია „ეარ ფრანსის" კუთვნილ თვითმფრინავს ტაშ-ფანდურით დახვდა, შემდეგ კი პიარის გასაკეთებლად პარიზში გაჰყვა. მას არასოდეს გასჩენია სურვილი, რომ ქართულ ავიაკომპანიას დახმარებოდა. თუმცა, რა არის გასაკვირი, იგი არ არის საქართველოს პრეზიდენტი...

**— თქვენ სალომე ზურაბიშვილს „მოღალატე" უწოდეთ!**

— დიახ ვუწოდე და მიმაჩნია, რომ მოღალატედ დაბადებული ადამიანი, როგორც ჩანს, ვერც გრძნობს, თუ როგორ ღალატობს ადამიანებს, საქვეყნო ინტერესებსა და სამშობლოს!

**— საქართველოს რა დაუჯდება უცხოელი ავიაკომპანიების მიერ სალომე ზურაბიშვილის მომსახურება?**

— არ ვიცი! როგორც ვიცი, ეს ქალი ფულს ფანტავს და დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაშიც არ დაიხევს უკან... **ისე, ძალიან მაინტერესებს, რა სიკეთე მოაქვს ამ ქალბატონს ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ამდენ ფულს ვახარჯავთ?**

**— ახლა ბრიუსელში რომ აპირებს წასვლას, თქვენ არ წაიყვანთ?**

— არა, ჩვენ მაგას არ მოვემსახურებით!



## „ვინმემ ამიხსნას, რა აზრი აქვს თბილისსა და მოსკოვს შორის ფრენების შეწყვეტას, როცა ორ ქვეყანას შორის რკინიგზის გარდა თითქმის ყველანაირი ტრანსპორტი მოძრაობს?"

## კვირგვინოსნები

**ელენე ხოშტარია**
*„დროის" ლიდერი*



13 წლის განმავლობაში შეიცვალა ის, რომ **რუსეთიდან მაშინ ტურისტები ჩამოდიოდნენ, ახლა კი მოღალატეები და აგენტები ჩამოდიან.**

„პირველი არხი"

**დავით უსუფაშვილი**
*პარტია „ლელოს" წევრი*



**ფრენების აღდგენაში პრობლემა არ არის, პრობლემა ხელისუფლების დამოკიდებულებაშია.** იმაზე ლაპარაკი, სად იყო დასავლეთი 2008 წლის აგვისტოში, **ანტიდასავლური რიტორიკაა** და სხვა არაფერი.

„კვირის პალიტრა"

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



ვინ ლაპარაკობს საქართველოს ხელისუფლების პრორუსულობაზე? — **ელენე ხოშტარია,** რომელიც რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსდება; **კობა ნაყოფია,** რომელსაც აქვს რუსული პასპორტი; **გიორგი ვაშაძე,** რომელსაც რუსი მდგმურები ჰყავს სახლში და კიდევ ბევრი ადამიანია ნაციონალურ მოძრაობაში, ვისაც **რუსული პასპორტი და ბიზნესი აქვს ოკუპანტ ქვეყანაში.**

„საერთო გაზეთი"

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



ჩვენ გვესვრიან ტალახს, **პრორუსებს გვეძახიან,** მაგრამ არცერთ ადამიანს ჩვენი ორგანიზაციიდან და „ქართული ოცნებიდან" არანაირი კავშირი რუსეთთან არა აქვს. **პირადად მე ნამყოფიც არ ვარ რუსეთში.** თვითონ კი ღიად, დეკლარირებულად, **ზოგს რუსეთის პასპორტი უდევს ჯიბეში და ზოგს უზარმაზარი ბიზნესი აქვს ოკუპანტ ქვეყანაში.**

„საერთო გაზეთი"

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*

**აფხაზეთი საქართველოა და საქართველო აფხაზეთისაა,** ამ ერთობას არაფერზე ვცვლით.

„პირველი არხი"

# საქართველოს ხელისუფლებამ და, საერთოდ, ქართველმა ხალხმა თამაზ გაიაშვილს უნდა მიჰბაძონ და ეს მართლაცდა მოღალატე „პრეზიდენტ“–რეზიდენტი არა მარტო „აირზენას“ ბორტიდან, არამედ სამთავრობო ლოჟიდანაც მოისროლონ!

## სანამ სალომე ზურაბიშვილი ქართველ ხალხსა და ჩვენს მფრინავებს ბოდიშს არ მოუხდის, მანამ ჩვენი თვითმფრინავების ბორტზე მაგის ფეხი არ იქნება!

**— რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების აღდგენა ჩვენი ქვეყნისთვის რა პერსპექტივას შლის?**

— იმ შემთხვევაში, როცა რუსეთ-საქართველოს შორის არსებობს საავტომობილო მიმოსვლა, როცა ხალხი ველოსიპედით გადმოდის ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, როცა სომხეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის გავლით ფრენები მაინც არსებობს, რატომ არ შეიძლება თბილისსა და მოსკოვს შორის პირდაპირი ფრენები იყოს? **თბილისიდან აფრენილ თვითმფრინავს მაინცდამაინც ბაქოს, სტამბოლისა და ერევნის აეროპორტში უნდა დაედო ბორბლები და მერე გაფრენილიყო მოსკოვში?**

რა არის ამის აზრი, თავს ვიტყუებთ? ვის ვაწვალებთ ამით, მხოლოდ ჩვენს საწყალ ხალხს? რუსეთსა და საქართველოს შორის ყველა სახის ტრანსპორტი დადის და თვითმფრინავმა რამე დააშავა? თუ ვინმე ამას ლოგიკურად ამიხსნის, კი ბატონო, ხმას არ ამოვიღებ და დავემორჩილები!

ამდენს რომ კივიან და წივიან სანქციებზე, კი მაგრამ, თურქეთს, ისრაელს, ტაჯიკეთს, თურქმენეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, სადაც რუსული თვითმფრინავები დაფრინავენ, სანქციები რატომ არ უწესდებათ, ჩვენ ვართ ქვეყნის დამაქცევრები? თუ ჩვენ იმიტომ გვექცევიან ასე, რომ დაბალი ღობე ვართ და ყველა უნდა გადაგვახტეს? რუსეთს დიქტატურის გამო ვაკრიტიკებდით და ეს არ არის დიქტატურა?

**— მოსკოვისკენ რა გზით მიფრინავთ, აფხაზეთის თავზე გადაიფრენთ-ხოლმე?**

— **არა, ჩვენ თბილისიდან ჯერ მივფრინავთ მახაჩყალისკენ, შემდეგ ასტრახანისკენ და შემდეგ ავიღებთ კურსს მოსკოვისკენ. აფხაზეთის ცა ჩვენთვის ჯერჯერობით დაკეტილია! ღმერთმა ქნას, აფხაზეთის ცა გაიხსნას...** რასაც ვაკვირდები, არსებობს იმის პერსპექტივა, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი საქართველოს სასიკეთოდ შეიცვალოს, რადგან დღეს თავად რუსეთია დაინტერესებული აფხაზეთისა და ცხინვალის დანარჩენ საქართველოსთან კონსოლიდაციით!



„ისე, ძალიან მაინტერესებს, რა სიკეთე მოაქვს ამ ქალბატონს ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ამდენ ფულს ვახარჯავთ?“

**— თქვენ საკმაოდ გავლენიანი პიროვნება ხართ, რუსეთში ბევრს იცნობთ და გეუბნებიან, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით რამე შეიძლება შეიცვალოს?**

— ამას ვგრძნობ და პირად საუბრებშიც მეუბნებიან, რომ არსებული სიტუაცია უნდა შეიცვალოს! რუსეთში ცხოვრობს უამრავი ქართველი, ძალიან წარმატებული ხალხი, რომლებიც გახარებული არიან ფრენების აღდგენით, მაგრამ აი, ეს პროვოკატორები რომ დარბიან, რუს ტურისტებს დასდევენ და ერთ ამბავში არიან, ეს უნდა აღიკვეთოს! თუ ეს არ შეწყდება, მაშინ საქართველოს ხელისუფლება მოახდენს თავისი სისუსტის დემონსტრირებას, რასაც გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება, რადგან ეს თავგასული და ხელიდან წასული პროვოკატორები მერე უკვე ხელისუფლებაზე მიიტანენ გადამწყვეტ იერიშს.

## „დღეს თავად რუსეთია დაინტერესებული აფხაზეთისა და ცხინვალის დანარჩენ საქართველოსთან კონსოლიდაციით!“




## ვიცი, რომ რუსეთში მოღვაწე ქართველ ექიმთა ასოციაცია აპირებს საგანგებო განცხადების გავრცელებას! ეს ხალხი, რომლის ზოგიერთი წარმომადგენლის მამა-პაპა 250 წელიწადია, რუსეთში ცხოვრობს, თავს აბსოლუტურ ქართველად გრძნობს, უნდა საქართველოსთან ახლო კავშირი ჰქონდეს და ეს პროვოკატორები ხელს უშლიან, რაც დაუშვებელია!

**— როგორ ფიქრობთ, რაც სალომე ზურაბიშვილმა თქვენი ავიაკომპანიის მისამართით თქვა, მისი აზრია თუ სხვები „დაეხმარნენ“?**

— საქართველოში 6 ათასი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც უცხოეთი აფინანსებს. ამ პატარა ქვეყნისთვის ეს ძალიან დიდი რიცხვია. ამ 6 ათასი ორგანიზაციიდან ერთი კაციც რომ მოისყიდონ, უკვე 6-ათასკაციანი „მეხუთე კოლონა“ მზად ჰყავთ. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, დარწმუნებული ვარ, რაც დაავალეს, ის თქვა!

**— რა ინტენსივობით ასრულებთ მოსკოვში ფრენებს?**

— დღეში ერთ რეისს ვასრულებთ!

**— შესაძლოა, თუ არა, ეს ფრენები შეწყდეს?**

— კიდევ ერთხელ ვკითხულობ — **ვინმემ ამიხსნას, რა აზრი აქვს თბილისსა და მოსკოვს შორის ფრენების შეწყვეტას, როცა ორ ქვეყანას შორის რკინიგზის გარდა თითქმის ყველანაირი ტრანსპორტი მოძრაობს?** რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, მგონი, ეს არ მოხდება, მაგრამ, თუ რუსეთსა და საქართველოს შორის ფრენები შეწყდა, ეს საქართველოსთვის ძალიან ცუდი იქნება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



მინდა, ყველამ იცოდეს, **„ვარდების რევოლუციამდე“ სააკაშვილი რეგულარულად დადიოდა მოსკოვში** და დადიოდა კიევით. ჩაფრინდებოდა კიევში, იქ მას მისი ქართველი მეგობრები ხვდებოდნენ. როგორც წესი, **იქვე აეროპორტში ისადილებდა და იქიდან მიფრინავდა მოსკოვში.** სააკაშვილს ჰქონდა კარტბლანში. **მას რუსეთში ენდობოდნენ.**

„იმედინიუსი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ოპოზიცია **ქვეყნის ინტერესების დასაზიანებლად ყველაფერს** აკეთებს, თავის დროზე სტრატეგიული ობიექტები გადასცეს რუსულ კომპანიებს, **დღეს რუსი ტურისტი რომ შემოვა, თურმე, აგენტად უნდა მოვნათლოთ.**

„პირველი არხი“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



ფრენები საგანგაშო არ არის. **ფრენების გარეშეც შემოდიოდნენ რუსეთის მოქალაქეები საქართველოში.** რომელი ნორმალური ადამიანი დაიჯერებს, რომ აშშ საქართველოში ამზადებს რევოლუციას **ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის** მეშვეობით?

„ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



2008 წლის ომის შემდეგ **სააკაშვილის მხრიდან ცალმხრივად რუსებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმება, ცხადია, დიდი შეცდომა იყო,** მაგრამ **კობახიძეს** რომ მთლიანად ატროფირებული აქვს ეროვნული ღირსება, კაცობა, ზნეობა, ეს გასაგებია. **ბოლო ეტაპს გადიან,** ყველას მოუწევს პასუხის გაცემა. **დაამთავრებენ ისე, როგორც მიშას მთავრობამ დაამთავრა.**

„ახალი თაობა“

## მგიმოელმა ხოშტარიამ უკრაინაში მიმდინარე ომის მგმობელ ებრაელ მუსიკოსს კახეთში ქორწილი ჩაუშალა, რისთვისაც მოსკოვიდან აუცილებლად მიიღებს მორიგ სოლიდურ ჰონორარს!

# მალე ჩაურიცხავენ!

***შესაძლოა, ბევრს აღარც ახსოვდეს, რომ ელენე ხოშტარია, რომელიც დღეს ხან პატრულის ავტომანქანის „კაპოტზე“ ხტუნაობს, ხან პირში „სვისტოკი“ უდევს და მაგრად უსტვენს, ხან ლაყე კვერცხებს ისვრის და ხანაც პარლამენტის სხდომათა დარბაზში საბჭოთა კავშირის ჰიმნს აჟღერებს, ერთ დროს სახელმწიფო თანამდებობის პირი იყო: 2007-2012 წლებში ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა.***



არადა, **ლიაკად** წოდებული **ხოშტარია,** რომელსაც **მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი,** იგივე **„მგიმო“** აქვს დამთავრებული, პოლონეთის მოქალაქე რომ ყოფილიყო, სახელმწიფო სამსახურში, მეტადრე საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ სტრუქტურაში, ვერ იმუშავებდა. **საქმე ის არის, რომ პოლონეთის ხელისუფლებამ საგარეო საქმეთა სამინისტროდან ერთბაშად დაითხოვა „მგიმოს“ ყველა კურსდამთავრებული, როგორც პოტენციური საფრთხე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის, რადგან „მგიმო“ საბჭოთა უშიშროების საკადრო ლაბორატორიას წარმოადგენდა და მისი სტუდენტები, ამა თუ იმ ფორმითა და ამა თუ იმ დოზით, რუსეთის სპეცსამსახურებთან იყვნენ დაკავშირებული.** პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ზბიგნევ რაშმ** განაცხადა, რომ **„მგიმოს“ კურსდამთავრებულები** იძულებული იყვნენ, რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ ემუშავათ.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **„კაგებეს“ საკადრო ლაბორატორიის — „მგიმოს“ კურსდამთავრებულ ელენე ხოშტარიას** რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან დღემდე ერიცხება ასიათასობით დოლარის ეკვივალენტური რუბლი, პოლონეთში მას არათუ სახელმწიფო თანამდებობაზე მუშაობის უფლება, არამედ, საერთოდ, პოლიტიკაში ყოფნის საშუალებაც არ ექნებოდა.

ცხადია, **ნატოსა და ევროკავშირის წევრ პოლონეთში, რომელიც მკვეთრად ანტირუსული სახელმწიფოა, არც იმ ზღაპარს დაიჯერებდნენ, რომ ხოშტარიას ოჯახს რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის ბალანსზე მყოფი თეატრებიდან დიდძალი თანხები ჰონორარის სახით ერიცხება, რადგან მხატვარ სოლიკო ვირსალაძის საავტორო უფლებების მემკვიდრეს წარმოადგენს.**

თუმცა, პოლონეთის საბედნიეროდ, **ელენე ხოშტარია** პოლონეთის მოქალაქე არ არის!

საქართველოს საუბედუროდ, **ელენე ხოშტარია** საქართველოს მოქალაქეა!

ეს ნიშნავს, რომ პოლონეთის ეროვნულ უსაფრთხოებას, **მგიმოელი ხოშტარიას სახით,** ერთით ნაკლები მტერი ჰყავს, ხოლო საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას — ერთით მეტი!

ისიც, რაც **ხოშტარიამ და მისმა ამფსონებმა** რამდენიმე დღის წინათ კახეთში, სასტუმრო „ყვარლის ტბასთან“ გააკეთეს, სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ეროვნული ინტერესების აშკარა მტრობა — **ქორწილი ჩაუშალეს ისრაელის მოქალაქეს, მომღერალ მოშე ვინოკუროვს, რომელიც მუსიკალურ წრეებში მიკა ვინოს სახელით არის ცნობილი და ღიად გმობს რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპაციას.** მას საკუთარი ფეისბუქ-გვერდის მთავარ ფოტოდ — ე.წ. ქავერად განთავსებული აქვს ინგლისურენოვანი წარწერა „STOP THE WAR IN UKRAINE“ **(„შეაჩერე ომი უკრაინაში“)** და გაზიარებული აქვს მსოფლიოში პოპულარული თანამედროვე რუსი მწერლის, პუტინის მოწინააღმდეგისა და რუსეთის ხელისუფლების მიერ ძებნილად გამოცხადებული **დიმიტრი გლუხოვსკის** წერილი **„მე არ მსურს ამის დაჯერება“,** რომელშიც კრემლი მწვავედ არის გაკრიტიკებული უკრაინაში ომის გაჩაღების გამო.

მოკლედ, რომ ვთქვათ, **ისრაელის მოქალაქე მოშე ვინოკუროვი,** იგივე **მიკა ვინო** არათუ რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპაციას არ ემხრობა, არამედ უკრაინაში მიმდინარე ომს ხმამაღლა გმობს და მის შეწყვეტას ითხოვს. **აღსანიშნავია ისიც, რომ ვინოკუროვი უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს სწორედ ომს უწოდებს და არ იმეორებს რუსული პროპაგანდის გზავნილს, თითქოს ეს „სპეციალური სამხედრო ოპერაციაა“.**

აი, ასეთ კაცს, უკრაინაში მიმდინარე ომის მგმობელ ებრაელ მომღერალს, **მგიმოელმა ხოშტარიამ და სხვა ნაცსექტანტებმა** საქართველოში ქორწილი არ გადაახდევინეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ძმამ ოდესღაც ცოლად შეირთო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **სერგეი ლავროვის ქალიშვილი.**

და რადგან **ლავროვის ქალიშვილი** მაზლის ქორწილზე დასასწრებად კახეთში ჩამოვიდა, **მგიმოელმა ხოშტარიამ და ნაცსექტანტებმა** ისრაელის მოქალაქეს, უკრაინაში მიმდინარე ომის მგმობელ ხელოვანს მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დღე ჩაუმწარეს!

ვისი საქმე გააკეთეს ამით **მგიმოელმა ხოშტარიამ და ნაცსექტანტებმა?**

ვის არგეს და ასიამოვნეს იმით, რომ უკრაინაში მიმდინარე ომის მგმობელ ებრაელ მომღერალს კახეთში ქორწილი ჩაუშალეს?

### რა მოხდა, საქართველო რუსული ოკუპაციისაგან გათავისუფლდა? ხოშტარიასა და ნაცების შიშით პუტინმა და ლავროვმა საქართველოდან რუსული ჯარი გაიყვანეს? სოხუმი და ცხინვალი დაგვიბრუნეს? ომში დახოცილი ქართველი გმირები გაგვიცოცხლეს? არა!

აბა, უკრაინაში მიმდინარე ომის მგმობელი ებრაელი მუსიკოსის ქორწილის ჩაშლით ლავროვს გადაუხადეს სამაგიერო და სიმწრისაგან თითები აკვნეტინეს?

**არა!**

ხოშტარიასა და ნაცსექტას კახეთში ლავროვის შვილის ქორწილი არ ჩაუშლიათ! იმ დღეს კახეთში ლავროვის შვილი ან მისი ოჯახის სხვა რომელიმე წევრი არ იხდიდა ქორწილს! ის კაცი, ვინც კახეთში ქორწილის გადახდას გეგმავდა, ლავროვს ნათესავადაც კი არ ერგება და რუსეთის მოქალაქეც კი არ არის!

**სამაგიეროდ, კრემლისა და რუსული სპეცსამსახურების ის ფრთა, რომელიც განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევა და მეზობელ ქვეყნებთან მხოლოდ ძალის დემონსტრირების მომხრეა, დიდად ნასიამოვნები დარჩებოდა იმით, რომ მგიმოელმა ხოშტარიამ და ნაცებმა უკრაინაში მიმდინარე ომის მგმობელ და კრემლისადმი კრიტიკულად განწყობილ ებრაელ მომღერალს საქართველოში ქორწილი ჩაუშალეს!**

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზებას, რამაც შესაძლოა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის პერსპექტივა გააჩინოს, რუსეთშიც ისევე ჰყავს ბევრი მოწინააღმდეგე და ხელშემშლელი, როგორც საქართველოში. სწორედ ასეთი ძალების წისქვილზე დაასხა წყალი მგიმოელმა ხოშტარიამ კახეთში მოწყობილი პროვოკაციით, რისთვისაც, ვინ იცის, უკვე გადმოურიცხეს ასიათასობით დოლარის ეკვივალენტური რუსული რუბლი!

**თუ ჯერ არ ჩაურიცხავთ, მალე ჩაურიცხავენ! ეკუთვნის და იმიტომ! კიდევ ერთხელ გამოიმუშავა!**

***ჯაბა ხუბუა***







მოშე (მიკა) ვინოკუროვის ფეისბუქ-გვერდი

**უკრაინაში მიმდინარე ომის მგმობელ ებრაელ მომღერალს მგიმოელმა ხოშტარიამ და სხვა ნაცსექტანტებმა საქართველოში ქორწილი არ გადაახდევინეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ძმამ ოდესღაც ცოლად შეირთო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ქალიშვილი!**

# გენერალისიმუსი

**№28 (196) ★ 2023 წლის 29 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან**


რკინიგზელის სიტყვა

## რემი ვაშაკიძე:

# ველი იმ ბედნიერ დღეს, როცა სოხუმის მატარებელი თბილისის ვაგზალზე შემოვა!






***რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებამ და ფრენების აღდგენამ ელისტრაკო კილაძის ქოლცენტრივით არეული ქართული პოლიტიკის ავანსცენაზე ბუნებრივად შემოაგდო კითხვა — „გაიხსნება თუ არა აფხაზეთის რკინიგზა?“***

*ბევრისთვის აფხაზეთის რკინიგზის გახსნა დაახლოებით იმ მნიშვნელობის მოვლენა იქნება, რაზეც **გიორგი წერეთელი** თავის **„პირველ ნაბიჯში“** ასე წერს — **„იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა, მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულ საქართველოს ერს!“***
*მოგეხსენებათ, აფხაზეთის რკინიგზა სოხუმისა და აფხაზეთის ჩაბარების შემდეგ დანარჩენი საქართველოსთვის, რუსეთისთვის და მთელი ამიერკავკასიისთვის სამუდამოდ ჩაიკეტა. ალბათ, სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ საქართველოში, რომლის რკინიგზის ისტორიაც **1872 წლიდან** იწყება, აფხაზეთის რკინიგზა დაასამარა კაცმა, რომელიც ხელისუფლებაში ამ ისტორიული მოვლენიდან ზუსტად ასი წლის შემდეგ, **1972 წელს** მოვიდა კომპარტიის სათავეში. სწორედ შევარდნაძემ დააპატიმრა და მთელი ოთხი წლის განმავლობაში ე.წ. „კაპეზეში“ ტანჯა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე **რემი ვაშაკიძე,** რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გულდასმით აკვირდება და აცხადებს, რომ საქართველო აფხაზეთის რკინიგზის ჩაკეტვით მილიარდებს კარგავს:*

— ჩემი საუბარი მინდა დავიწყო დიდი აკაკის ცნობილი ლექსის სიტყვებით — **„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!“** დიახ, სწორედ ამ დღეს ველოდი და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმიც გაუქმდებოდა, ფრენებიც აღდგებოდა და აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზეც დაიწყებოდა ლაპარაკი! **მერწმუნეთ, თუ საქართველოს გადარჩენა და აღორძინება უწერია, აფხაზეთის რკინიგზის გახსნის გარეშე ეს არ მოხდება...**

თითო კინკილა ტურისტს რომ დავდევთ, აფხაზეთის რკინიგზის ჩაკეტვით საქართველო მილიარდებს კარგავს!

### საკმარისია, აფხაზეთის რკინიგზა გაიხსნას, საქართველოში დაიწყება ეკონომიკური ბუმი, ქვეყანა აყვავდება და ფეხზე დადგება...

**— ბატონო რემი, მერედა, დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები აფხაზეთის რკინიგზის გახსნას მიესალმებიან?**

— ამერიკა აფხაზეთის რკინიგზის გახსნას როგორ მიესალმება, როცა შევარდნაძეს აფხაზეთის ომი სწორედ ამერიკამ გააჩაღებინა, რათა აფხაზეთის რკინიგზის ჩაკეტვით მთელი ამიერკავკასია რუსეთისთვის მოეწყვიტა?!

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ომი აფხაზეთში შევარდნაძეს სწორედ ამერიკელებმა გააჩაღებინეს?**

— დარწმუნებული ვარ და გეტყვით საიდან! საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, რუსეთში ჩამოყალიბდა 32 სარკინიგზო ხაზი. შევარდნაძესთან შევედი და ვუთხარი — **33-ე სარკინიგზო ხაზად რუსეთის რკინიგზას შევუერთდეთ და მარაგნაწილებიც გვექნება და რკინიგზაც ამოისუნთქავს-მეთქი!** შევარდნაძემ მითხრა — **ვინც მაგას დათანხმდება, იმას ამერიკელები თანამდებობაზე არ დატოვებენო,** ანუ ამერიკელებთან ათანხმებდა ყველაფერს, რადგან მათ მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში.

საწყალმა **ზვიად გამსახურდიამ** შევარდნაძეს რამდენჯერ მიმართა და უთხრა — **კარგი, მე არ გიყვარვარ და გეზიზღები, მაგრამ ქვეყანამ რა დაგიშავაო?** — მაგრამ იმდენი სდია სამეგრელოს ტყეებში, სანამ არ მოკლა, რადგან ზვიადის ლიკვიდაციის დავალება სწორედ ამერიკელებისგან ჰქონდა მიღებული.

აფხაზეთში აფეთქებული ხიდების აღდგენას რომ ვხელმძღვანელობდი, დილის 3 საათზე შევარდნაძეს რამდენჯერ დაურეკავს ჩემთვის და უკითხავს — ხიდი რამდენ ხანში აღდგებაო? რომ ვეტყოდი დროს — **ბატონო ედუარდ, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე ხიდი აღდგენილი იქნება-მეთქი, ზუსტად იმ დროს მოხდებოდა აფეთქება და თავიდან იწყებოდა ჩვენი ტანჯვა-წამება.** რამდენჯერმე განმეორდა ასეთი შემთხვევა და

### ბოლოს მივხვდი, რომ შევარდნაძე აფხაზეთის ომის დროს რკინიგზის ხიდებს თავის ბანდას თვითონ აფეთქებინებდა!

**— თუ საქართველო აფხაზეთის რკინიგზის გახსნას დათანხმდება, რა შეიძლება მოხდეს?**

— ასე უცბად ეგ ვერ მოხდება, რადგან რკინიგზა ამორტიზებულია. არ ვარგა ჩვენი ხე-ტყე რკინიგზის შპალებისთვის, მაგისთვის ღმერთს გაუჩენია „ლისტვინიცა“, რომელიც რუსეთში ხარობს. **ძალიან კარგად ვხედავ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და ვიცი, რომ დიდი გამბედაობისა და ქრისტიანული მორალის გარეშე რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის დაწყება ნებისმიერ ქართველ პოლიტიკოსს გაუჭირდება!**

ჩვენს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, **ირაკლი ღარიბაშვილს** არც გამბედაობა აკლია და არც ქრისტიანული მორალი. ამდენად, ამ კაცს შესწევს ძალა, რუსეთის ხელისუფლებასთან პოლიტიკური დიალოგი წარმატებით დაიწყოს! შეთანხმებისა და დიალოგის გარეშე აფხაზეთის რკინიგზა ვერ გაიხსნება, მაგრამ თუ რუსეთ-საქართველოს შორის შეთანხმება მოხდა, ვიმეორებ, საქართველო ამოისუნთქავს და ქვეყანაში ტურისტული ბუმი დაიწყება.

**— მავანი შევარდნაძეს ამართლებს — ომი აფხაზეთში კიტოვანმა დაიწყო, შევარდნაძეს არ დაუჯერაო!**

— (იცინის) იმ სხდომაზე მე ვიყავი და მაგას ვინ ამტკიცებს?! 25 ავტომატს ვთხოვდი — **ბატონო ედუარდ, 25 ავტომატი მომეცით და რკინიგზაზე ძარცვა-გლეჯას ჩემივე ძალებით აღვკვეთ-მეთქი!** — მაგრამ შეისმინა? ეს ბანდიტები შერეკა აფხაზეთში ვითომდა „რკინიგზის დასაცავად“ და დააქცია ქვეყანა. **ეგეთი ვერაგი პიროვნება საქართველოს ისტორიაში მეორე არ მოიძებნება...** ტამიშის აფეთქებული ხიდის აღდგენაზე ვმუშაობდით, დილის 4 საათზე დამირეკა და მითხრა — **თქვენ საუკეთესო ქართველი ხართ, ყველანაირი ჯილდო გეკუთვნით, ხვალ თბილისში გამოცხადდით უნდა დაგაჯილდოოთო!** საპარადო ფორმით ჩამოვედი და დაჯილდოების ნაცვლად რკინიგზელების ლანძღვა-გინების მეტი არაფერი გაუკეთებია!

შევარდნაძეს სწორედ ამერიკელების ნებართვით დანიშნული ჰყავდა ნებადართული მლანძღველები, ე.წ. „ოპოზიციონერები“. იმათ არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ 1995 წლის 14 ოქტომბერს მთავრობის სხდომაზე რომ ვუთხარი — **თქვენ და თქვენი გუნდი საქართველოს დააქცევთ-მეთქი!** — ნახევარ საათში დამიჭირა და ოთხი წელი „კაპეზეში“ მტანჯა. მოგეხსენებათ, საკანში „ნასედკა“ შემომიგდო, რადგან **იგორ გიორგაძე, ჯაბა იოსელიანი და ჯუმბერ პატიაშვილი** არ „ჩავუშვი“ და ცილი არ დავწამე! ჩემს საქმეში დანაშაულს ვერ პოულობდნენ, მაგრამ სასამართლო პროცესსაც არ ნიშნავდნენ და მაწამებდნენ. ბოლოს მაინც **კოტე მახარაძის** წყალობით გამომიშვეს...

**— რას ელით — აფხაზეთის რკინიგზა გაიხსნება?**

— დღეს შეიქმნა ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, რომ რუსეთი ძალიან არის დაინტერესებული აფხაზეთის რკინიგზის გახსნით, რასაც ამერიკა ეწინააღმდეგება. ამ დაპირისპირებაში საქართველო არ უნდა მოჰყვეს და მაქსიმალური მოგება ნახოს! **ველი იმ ბედნიერ დღეს, როცა სოხუმის მატარებელი თბილისის ვაგზალზე შემოვა... ისეთი დრო დგება და, მგონი, ამასაც მოვესწრები!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



შევარდნაძე სოხუმში, 1993 წელი

# «შევარდნაძეს აფხაზეთის ომი ამერიკამ გააჩაღებინა!»

# სვიმონ მასხარაშვილი:

# ბერია სწორედ თავის ქართველობას, კერძოდ, მეგრელობას გადაჰყვა!



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი ლავრენტი ბერიას „ასდღიანი მმართველობის“ უკანასკნელ პერიოდს იხსენებს და საგანგებო ყურადღებას ე.წ. „მეგრელთა საქმის“ იმ დამანგრეველ შედეგებზე ამახვილებს, რომელმაც მისი კარიერა შეიწირა:***

— **ლავრენტი ბერიას** რამდენიმე აქილევსის ქუსლი ჰქონდა, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშიში „მეგრელთა საქმე“ გახდა. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვაფასებ, ბერია საბოლოოდ სწორედ „მეგრელთა საქმეს“ ემსხვერპლა! ეს პიარული თვალსაზრისით უაღრესად კარგად დადგმული და შეფუთული სპეცოპერაცია გახლდათ, რომლის ავტორებიც და, პირველ რიგში, **გიორგი მალენკოვი,** ანგარიშში არ შემცდარან და რეალურად ბერია სწორედ თავის ქართველობას, კერძოდ, მეგრელობას გადააყოლეს.

**— ბატონო სვიმონ, „მეგრელთა საქმე“, რომელიც 1951 წლის ნოემბერში აგორდა, 1952 წლის ზაფხულში, ფაქტობრივად, შეწყდა. აქედან გამომდინარე, 1953 წლის 26 ივნისს ლავრენტი ბერია უკვე დამთავრებულ და მონელებულ „მეგრელთა საქმეს“ როგორ გადაჰყვა?**

— გეთანხმებით, ეს საქმე მალევე შეწყდა, მაგრამ მისი შედეგები ბერიასთვის დამანგრეველი აღმოჩნდა, რასაც ყურადღება დღემდე არ ექცევა! მოგეხსენებათ, „მეგრელთა საქმის“ გამოძიება მაშინდელმა უშიშროების მინისტრმა **ნიკოლოზ რუხაძემ** დაიწყო, რომელიც **ვიქტორ აბაკუმოვის** კადრი იყო და პირადად სტალინის წინაშე გახლდათ პასუხისმგებელი, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის სამხედრო კონტრდაზვერვის, ანუ „სმერშის“ შეფი. თავის მხრივ **რუხაძე,** მეორე მსოფლიო ომის დროს, კავკასიის მასშტაბით გახლდათ „სმერშის“ უფროსი. აქედან გამომდინარე, მას ვიქტორ აბაკუმოვის მსგავსად, სტალინთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა, ანგარიშსაც მხოლოდ მას აბარებდა, ხოლო ბერია ამ ამბავში ვერ ერეოდა. თქვენს შეკითხვაზე პასუხს დავიწყებ იმით, რომ 1949 წლის ე.წ. „ლენინგრადის საქმის“ მსგავსად, როცა ნაძირალა **პიოტრ პოპკოვმა, ალექსეი კუზნეცოვმა და ნიკოლაი ვოზნესენსკიმ** პარტიაში განხეთქილების ჩამოგდება და ლენინგრადის მოსკოვთან დაპირისპირება სცადეს, „მეგრელთა საქმესაც“ თავისი რეალური საფუძველი ჰქონდა. შესაძლოა, ეს ზოგიერთისთვის ცუდი მოსასმენი იყოს, მაგრამ **ლავრენტი ბერიას პირადმა მტრებმა ხელზე დაიხვიეს ის სტატისტიკა, რომელიც თვალსა და ყურს აშკარად ჭრიდა...**

**— რომელ სტატისტიკაზე საუბრობთ?**

— მოგეხსენებათ, 1951 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ შეფი, ულამაზესი და უნიჭიერესი **ვიქტორ აბაკუმოვი** ლიდია ტიმაშუკის „ექიმთა საქმეს“ გადააყოლეს, ცეკას შემადგენლობიდან გაიყვანეს და დააპატიმრეს. 1951 წლის 9 აგვისტოს მისი ადგილი დაიკავა **სემიონ იგნატიევმა** — გიორგი მალენკოვის პირადმა მონამ. ერთ-ერთი პირველი, ვისაც **აბაკუმოვის** შემდეგ შესაძლოა, მისდგომოდნენ, იყო საბჭოთა საქართველოს უშიშროების მინისტრი **ნიკოლოზ რუხაძე,** რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იგი სწორედ **აბაკუმოვის** უერთგულესი კადრი გახლდათ. იმ უმძიმეს სიტუაციაში, როცა დაუცველი **ნიკოლოზ რუხაძის** მოშორების საფრთხე დიდი იყო, როგორც ჩანს, **რუხაძემ** მალენკოვსა და მის ხროვას, რომლებიც საბჭოთა „კაგებეს“ სათავეში აღმოჩნდნენ, კოჭი გაუგორა და რეაგირება მოახდინა ერთ-ერთ საჩივარზე, რომელიც შემდეგ ე.წ. „მეგრელთა საქმედ“ მოინათლა. შესაბამისად, მოხდა ისე, რომ 1951 წლის 9 ნოემბერს საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა დადგენილება **„საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“,** რომელშიც ეწერა —

*„უკანასკნელ ხანს სკპ (ბ)ცკ-ში შემოვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში ძალიან არის გავრცელებული მექრთამეობა... საქართველოს კომპარტიის ცკ-ში ისევე, როგორც ცკ-ის აპარატსა და მთავრობაში, არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მფარველობს მექრთამეებს და ცდილობს, ყოველგვარი საშუალებით დაიხსნას ისინი. ფაქტები მეტყველებს, რომ ამ ჯგუფის სათავეში დგას საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანი* ***მიხეილ ბარამია.*** *ეს ჯგუფი მეგრელი ნაციონალისტებისაგან შედგება“...*





***ვიქტორ აბაკუმოვი***

ამ პროვოკაციულ წერილში, რომელიც შესაძლოა, სულაც **ნიკოლოზ რუხაძემ** დააწერინა რომელიმე თავის თანამშრომელს, სიმართლეც იყო და ტყუილიც.

**— მაინც რა იყო ტყუილი და რა — სიმართლე?**

— ტყუილი ის გახლდათ, რომ ზემოხსენებულ დადგენილებაში საგანგებოდ მოხსენიებული საქართველის ცეკას მეორე მდივანი **მიხეილ ბარამია,** რომლის მოღვაწეობის დროსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა აყვავდა და კაცი ატომურ პროექტში გახლდათ ჩართული, არავითარი „მექრთამე“ და „მეგრელი ნაციონალისტი“ არ ყოფილა, მაგრამ დიდი ორგანიზატორი და მშენებელი ნამდვილად იყო... მოგეხსენებათ, გასაიდუმლოებულ და დახურულ ქალაქებთან — არზამასთან და დუბნასთან ერთად სოხუმიც და ეშერაც იყო ის ადგილები, სადაც ბერიას მიერ გერმანიიდან ჩამოყვანილი და დატყვევებული გერმანელი ფიზიკოსები თავიანთ ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ და საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობდნენ. ამ ხალხის ყოველმხრივ უზრუნველყოფას და აფხაზეთში საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობას სწორედ **მიხეილ ბარამიას** გონიერი თავი და გამრჯე ხელი უზრუნველყოფდა. აღარაფერს ვამბობთ ასევე დაპატიმრებულ **პეტრე შარიაზე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცეკას პროპაგანდის საქმეთა მდივანი იყო და **ექვთიმე თაყაიშვილთან და შალვა ამირანაშვილთან** ერთად უდიდესი წვლილი შეიტანა საფრანგეთიდან ქართულიეროვნული საგანძურის დაბრუნებაში. სხვათაშორის, „მეგრელთა საქმის“ გამო შერისხული და უნივერსიტეტიდანაც გაგდებული **პეტრე შარია** სტალინის სიკვდილის შემდეგ ლავრენტი ბერიას თანაშემწე გახდა.

**— ახლა ის მითხარით, მთელ ამ ისტორიაში სიმართლე რა იყო?**

**– „მეგრელთა საქმეში“ სიმართლე ის გახლდათ, რომ პატარა საქართველოში, სადაც 80-მდე რაიონი არსებობდა, 427 რაიკომის მდივანი და პროკურორი მხოლოდ საქართველოს ერთი კუთხის –**

**„ექიმთა საქმეც“, ვიქტორ აბაკუმოვის მოშორებაც და „მეგრელთა საქმეც“ ქრონოლოგიურად ძალიან საეჭვოდ ემთხვევა 1951 წლის ზაფხულსა და შემოდგომას, როცა სტალინმა მორიგი ინსულტი გადაიტანა და, ფაქტობრივად, უგონოდ იყო!“**

# „ბერიას რომ ვლადიმერ დეკანოზიშვილი საქართველოში არ გამოეშვა და გვერდით ჰყოლოდა, კაცმა არ იცის, 1953 წელს მოვლენები რა სცენარით განვითარდებოდა!“



საბჭოთა კავშირის ელჩი ფაშისტურ გერმანიაში ვლადიმერ დეკანოზიშვილი (დეკანოზოვი)

## ისტორიკოსის თვალით

### სამეგრელოს წარმომადგენელი გახლდათ!

ეს იმას ნიშნავდა, რომ ლამის მთელი ქვეყნის პროკურატურასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობდა მხოლოდ სამეგრელოს ქართველობა. ამ 427 კაციდან თითოეულ მათგანს დაუფიქსირდა გარკვეული კავშირები ან — **მიხეილ ბარამიასთან,** ან — **პეტრე შარიასთან,** ანდა მათ წრესთან.

**— მაინც რა ხალხზეა ლაპარაკი?**

— ამ 427 რაიკომის მდივნისა და პროკურორის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ დავასახელებთ რამდენიმე დაპატიმრებულს. საქართველოს მაშინდელი უშიშროების მინისტრის **ნიკოლოზ რუხაძის** განკარგულებით დააპატიმრეს შემდეგი ხელმძღვანელი პირები: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი **კოტე ბზიავა,** რესპუბლიკის პროკურორი **ვლადიმერ შონია,** იუსტიციის მინისტრი **ჭიჭიკო რაფავა,** კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანი **მიხეილ ბარამია,** თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი **ნინა ჟვანია,** უშიშროების თანამშრომელი **გრიგოლ კარანაძე,** ცკ-ის მდივანი **პეტრე შარია,** ცხაკაიას (ახლანდელი სენაკი) ყოფილი რაიკომის მდივანი **ალექსანდრე კვარაცხელია,** წალენჯიხის რაიკომის ყოფილი მდივანი **მიხეილ კვარაცხელია,** ხობის რაიკომის მდივანი **მიხეილ სორდია,** ცკ-ის ყოფილი ინსტრუქტორი **მარიამ ჭკადუა,** ცკ-ის ყოფილი ინსტრუქტორი **ალიოშა მირცხულავა,** ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი **გრიგოლ კოკაია,** უშიშროების სამინისტროს ზუგდიდის რაიგანყოფილების უფროსი **ლ. გაბისონია,** გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილი) რაიკომის ყოფილი მდივანი **პართენ კორთხონჯია,** ცხაკაიას რაიკომის მდივანი **ვალერიან გუგუნავა,** ზემო სვანეთის რაიკომის მდივანი **ვლადიმერ სიჭინავა,** აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი **კირილე ბეჭვაია,** აბაშის რაიკომის მდივანი **სევერიან ებრალიძე,** ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი **მამანტი პაჭკორია,** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგე **მამია ზოდელავა,** ფოთის პორტის უფროსი **კონსტანტინე რეკვავა,** მიხეილ ბარამიას და — **ლიდია ბარამია,** ჩხოროწყუს რაიკომის ყოფილი მდივანი **ვარლამ მზარელუა,** გალის რაიკომის მდივანი **ანტიფო ჭეჟია,** აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი განყოფილების გამგე **აკაკი კილასონია,** აფხაზეთის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **ვ. კალანდია,** ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ე. ჯიქია,** აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი **ზ. პაპასქუა,** აგარის შაქრის ქარხნის დირექტორი **რაფიელ კვირკველია** და ა.შ.

საერთო ჯამში, 500 კაცამდე დააპატიმრეს, მაგრამ საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ არცერთი მათგანი არ დაუხვრეტიათ და ამ ადამიანების სასამართლო პროცესიც არ დასრულებულა, რადგან საქმე შეწყდა! ამ ადამიანებს ყველაფერთან ერთად ბრალი ედებოდათ ნეპოტიზმში.

### გამოძიება ამტკიცებდა, რომ ესენი თანამდებობებზე დაინიშნენ არა დამსახურების, არამედ ვიწრო კუთხური ნიშნით, რადგან იყვნენ

### მხოლოდ სამეგრელოს ქართველები!

**— პირდაპირ გკითხავთ, „მეგრელთა საქმე“ სტალინმა შეუკვეთა, რათა ბერიასთვის პოლიტიკური ალიყური გაეწნა?**

— ეს ბელადის მიმართ უსინდისო ბრალდებაა!

**— ამას რით ასაბუთებთ?**

— ამას ვასაბუთებ იმით, რომ **„ექიმთა საქმეც“, ვიქტორ აბაკუმოვის** მოშორებაც და **„მეგრელთა საქმეც“** ქრონოლოგიურად ძალიან საეჭვოდ ემთხვევა 1951 წლის ზაფხულსა და შემოდგომას, როცა სტალინმა მორიგი ინსულტი გადაიტანა და, ფაქტობრივად, უგონოდ იყო! აი, სწორედ ამ მდგომარეობით ისარგებლეს **გიორგი მალენკოვმა და მისმა ხროვამ** და ბერიას — როგორც ყველაზე ძლიერი და სახიფათო კონკურენტის — გასანეიტრალებლად ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს პოლიტიკური ბომბების აფეთქება. თუ სტალინი მოკვდებოდა, ხომ კარგი, თუ არადა, ისინი ბელადს ფაქტის წინაშე დააყენებდნენ... აი, სწორედ ასე შეძლეს მათ 1951 წლის აგვისტოში საბჭოთა „კაგებეზე“ კონტროლის დამყარება, როცა **აბაკუმოვი** მოაშთეს და მის ადგილზე **სემიონ იგნატიევი** დანიშნეს, ხოლო შემდეგ უშუალოდ ბერიას მიადგნენ და „მეგრელთა საქმე“ გამოაგორეს.

ე.წ. „ხრუშჩოვისტული“ ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ „მეგრელთა საქმე“ 1953 წლის მარტში, სტალინის გარდაცვალებისთანავე შეწყდა, როცა ქვეყნის ფაქტობრივი ლიდერი **ლავრენტი ბერია** გახდა. ეს ტყუილია!

### სინამდვილეში „მეგრელთა საქმე“ შეწყდა 1952 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, როცა სტალინი გამოკეთდა, საქართველოში პროცესების მიშვების გამო 1952 წლის აპრილში კანდიდ ჩარკვიანი ცეკას პირველი მდივნობიდან გადააყენა და მის ნაცვლად აკაკი მგელაძე დანიშნა.

ცნობისათვის, **მგელაძე** ბელადს ჯერ კიდევ 30-იან წლებში **კლიმენტი ვოროშილოვმა** გააცნო. **კანდიდ ჩარკვიანი** რეალურად „მეგრელთა საქმეს“ შეეწირა. მისი მოხსნიდან სულ მოკლე ხანში, კერძოდ, 1952 წლის 11 ივლისს, საქართველოს უშიშროების მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი **ნიკოლოზ რუხაძე** დააპატიმრეს და 1955 წლის ნოემბერში დახვრიტეს. ის დღემდე არ არის რეაბილიტირებული... რუხაძის ნაცვლად საქართველოს უშიშროების მინისტრად დაინიშნა **ალექსანდრე კოჭლავაშვილი,** რომელიც 1953 წლის მარტში ამ თანამდებობიდან გაათავისუფლეს და შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს. იმავე წლის სექტემბერში კოჭლავაშვილი ორგანოდან საერთოდ დაითხოვეს... აღნიშნული პიროვნება ისტორიკოსი გახლდათ, ბერიას ერთგული კადრი იყო და მთელი ცხოვრება შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

**— ერთი სიტყვით, თქვენ ამტკიცებთ, რომ „მეგრელთა საქმეს“ რეალური საფუძველი ჰქონდა?**

— ამას მე კი არ ვამტკიცებ, ამტკიცებს რიცხვები! კერძოდ, ერთ პატარა რესპუბლიკაში 427 რაიკომის მდივანი და პროკურორი მხოლოდ სამეგრელოდან იყო! ანუ ყველა რაიონის პარტიული ბოსი და პროკურორი შერჩეული გახლდათ ნეპოტიზმის ნიშნით, მაგრამ ბრალდებები **მეგრული ნაციონალიზმის** შესახებ გახლდათ სიბინძურე და პროვოკაცია. ამიტომ, როგორც კი სტალინი გამოჯანმრთელდა, „მეგრელთა საქმის“ გამო გადასახლებულები გადასახლებაში დატოვა, თუმცა, დაერია ყველას, ვინც ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული მისცა და ნეპოტიზმი **მეგრულ ნაციონალიზმად** გაასაღა. ყველაფრიდან ჩანს, რომ **„მეგრელთა საქმე“** მალენკოვმა ბერიას ჩასაძირად ააგორა... ერთი სიტყვით, 1952 წლის ზაფხულში „მეგრელთა საქმე“ შეწყდა და დაიწყო იმათი დაპატიმრება, ვინც მეგრული წარმოშობის ქართველ მაღალი თანამდებობის პირებს იჭერდა. მაგრამ **ნიკოლოზ რუხაძის** დაპატიმრებამ ერთი ძალიან ცუდი შედეგი მოიტანა — საქართველოს უშიშროების ორგანოებში მოღვაწე ქართველი და კავკასიელი „ჩეკისტების“ უმრავლესობა ბერიას გადაამტერა!

**— რატომ?**

— **ნიკოლოზ რუხაძე** ხელწამოსაკრავი ფიგურა არ ყოფილა... 1948-1952 წლებში ის იყო საქართველოს უშიშროების მინისტრი, ხოლო ომის პერიოდში, როგორც მოგახსენეთ — ამიერკავკასიის „სმერშის“ ხელმძღვანელი და არაერთი საპასუხისმგებლო და უმნიშვნელოვანესი დავალების შემსრულებელი. რუხაძე წლების განმავლობაში სპეცმისიით ირანშიც იმყოფებოდა... მოკლედ, მთელი „ჩეკისტები“, სპეცრაზმელები, „სმერშის“ ხალხი, სუყველა **რუხაძეზე** იყო აწყობილი... აქედან გამომდინარე, ასეთი კაცის დაპატიმრება და გაწირვა იმას ნიშნავდა, რომ არავინ არაფრისგან იყო დაზღვეული და შესაძლოა, ნებისმიერ სპეცმუშაკს რუხაძის ბედი გაეზიარებინა! მოკლედ, უშიშროების მინისტრ **ნიკოლოზ რუხაძის** დაპატიმრებამ ქართველ „ჩეკისტთა“ ყველაზე კვალიფიციურ ელიტას ლავრენტი ბერიასადმი ნდობა დაუკარგა! **სერგო გოგლიძეს** რომ თავი დავანებოთ, რომელიც უშიშროების მინისტრ **სემიონ იგნატიევის** პირველი მოადგილე იყო, ლავრენტი ბერია თვით **ვლადიმერ დეკანოზიშვილს,** ანუ იმავე **დეკანოზოვსაც** კი არ ენდობოდა, რომელიც თავის დროზე ფაშისტურ გერმანიაში საბჭოთა კავშირის ელჩი და მოლოტოვის პირველი მოადგილე იყო...

**— თუმცა დეკანოზოვი ბერიას გარემოცვიდან მაინც ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან 1953 წლის აპრილში ბერიამ ის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა.**

— **დეკანოზოვი** იმოდენა მასშტაბის ფიგურა გახლდათ და ისეთი საერთაშორისო სპეცკონტაქტები ჰქონდა, ბერიას გვერდიდან არ უნდა მოეშორებინა და კრემლში უნდა ჰყოლოდა. სამწუხაროდ, ბერია აქაც შეცდა და ეს უნიკალური კადრი პერიფერიაში, საქართველოში გადმოისროლა შინაგან საქმეთა მინისტრად. **ბერიას რომ ვლადიმერ დეკანოზიშვილი საქართველოში არ გამოეშვა და გვერდით ჰყოლოდა, კაცმა არ იცის, 1953 წელს მოვლენები რა სცენარით განვითარდებოდა!**



ნიკოლოზ რუხაძე

# «ნიკოლოზ რუხაძეს ისევე, როგორც აბაკუმოვს, სტალინთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა!»

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## გულაგის დიდ იმპერიაში, რომელზეც ამდენი რამ დაწერილა, მთავარი და ყველაზე საშინელი ადგილი კოლიმა იყო. საინტერესოა, როდის გაჩნდა იქ განადგურების პირველი ბანაკები, რამდენი პატიმარი იმყოფებოდა მათში, როგორია მსხვერპლის სტატისტიკა?



მართალი ბრძანდებით, **კოლიმის** მხარე, რომელმაც სახელწოდება აქ ჩამომავალი მდინარისაგან მიიღო, თავისი **„დედაქალაქი“ მაგადანით** ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საბჭოთა საბანაკო სისტემისა, რომელმაც საცეცები ქვეყნის მთელ აზიურ და ნაწილობრივ ევროპულ ნახევარზე გაშალა. როდის აღმოცენდა იქ პირველი ბანაკები? ოქტომბრის გადატრიალებამდე **კოლიმის სიმდიდრის შესახებ,** რა თქმა უნდა, იცოდნენ — ეს იყო **კალა, სპილენძი,** სხვა **ფერადი ლითონები,** ტყის მდიდარი მასივები, უპირველესად კი — **ოქრო.** თუმცა, მათ არ იყენებდნენ. რუსი ვაჭრები ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ძირითადად, გროშებად იძენდნენ ბეწვეულს, უმნიშვნელო რაოდენობით მზადდებოდა ხე-ტყე. **კოლიმის** ფაქტობრივ **„აღმომჩენად“ სტალინის** უახლოესი თანამოსაგრე **კ. ვოროშილოვი** იქცა. **20-იანი წლების** ბოლოს მან ეს მხარე მოინახულა, **მოსკოვში** ნანახით აღფრთოვანებული დაბრუნდა და **სტალინს** მოხსენებითი ბარათი წარუდგინა **კოლიმის** სიმდიდრისა და შესაძლებლობების შესახებ. სპეციალისტებთან ჩატარებული თათბირის შემდეგ **სტალინმა ამ მხარის ათვისება გადაწყვიტა. მანვე მიიღო გადაწყვეტილება იქ პატიმართა შრომის გამოყენების შესახებ. „დალსტროის“** (ოფიციალურად ასე ეწოდებოდა კოლიმის ბანაკთა ჯგუფს) **დაარსება 1932 წლით თარიღდება.** დირექტორად დაინიშნა ცნობილი ჩეკისტი, **ფელიქს ძერჟინსკის** ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე, ეროვნებით ლატვიელი **ედუარდ ბერზინი. კოლიმაზე იგი თავისი „გუნდით“ — ჩეკისტებით, ინჟინრებით, სპეციალისტებით ჩავიდა.** საგულისხმოა, რომ სპეციალისტთა ნაწილი **ბერზინმა** სხვა ბანაკებში შეარჩია და **„დალსტროიში“** უმნიშვნელოვანეს, საკვანძო უბნებზე გაანაწილა. მაგალითად, **ბერზინის** ერთ-ერთი მოადგილე და თანაშემწე გახდა ვინმე **მაისურაძე** (სახელი უცნობია), რომელიც მანამდე ვიშერის ბანაკში **„ნაციონალიზმისთვის“** იხდიდა სასჯელს.

მაინც, რას წარმოადგენდა სავალალოდ ცნობილი **„დალსტროი“?** ამ საკითხში გასარკვევად ფრანგი **ჟაკ როსის** შესანიშნავი წიგნი **„გულაგის ცნობარი“** გამოგვადგება. იგი პარიზში გამოიცა **1955 წელს,** რუსული თარგმანი კი **90-იანი წლების დასაწყისში მიკროსკოპული ტირაჟით** (ათასი ეგზემპლარი) **გამოვიდა.** წიგნში ვკითხულობთ:

**„დალსტროი“** გულაგის იმპერიის ყველაზე მძლავრი და, ფაქტობრივად, ავტონომიური სამეფოა. იგი **1932-33 წლებში** დაარსდა **ოხოტის ზღვის ნაპირზე, მდინარე კოლიმის შესართავთან.** მთავარი ამოცანა — **ოქროს** მოპოვება. ყველა სამუშაოს, მათ შორის, დაბების, ქალაქების, ავტომაგისტრალების მშენებლობას პატიმრები აწარმოებენ. **40-იანი წლების დასაწყისისთვის „დალსტროი“ სამხრეთიდან — ჩრდილოეთით 1300, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით 1700 კმ-ზე იყო გადაჭიმული და კამჩატკის დასავლეთსა და აღმოსავლეთ იაკუტიას მოიცავდა. 30-იანი წლების ბოლოდან 50-იანის დასაწყისამდე აქ ყოველწლიურად 400-500 ათასი პატიმარი ჩამოჰყავდათ,** მაგრამ მაღალი სიკვდილიანობის გამო მათ საერთო რიცხვს **3 მილიონისთვის** არასოდეს გადაუჭარბებია.“ მსხვერპლის შესახებ მონაცემებს როსი არ გვაწვდის. სხვა ავტორთა (სოლჟენიცინი, სერებრიაკოვა, შტაინბერგი და სხვ.) გამოთვლით, ჩამოყვანილი სამუშაო ძალის ერთი მესამედი პირველივე თვის განმავლობაში იღუპებოდა. თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ **„განადგურების ბანაკებად“ კოლიმის ბანაკები მხოლოდ 1937 წლის დასასრულს, გაცხარებული ეჟოვშჩინის დროს გადაიქცა. მანამდე, თუკი ისეთ კომპეტენტურ პიროვნებას ვერწმუნებით, როგორიც მწერალი ვარლამ შალამოვია, 20 და მეტი წლის სტაჟის მქონე კოლიმელებს, ბერზინის და მისი გუნდის მცდელობით, კოლიმაზე მუშაობისა და ცხოვრების საკმაოდ რიგიანი პირობები ჰქონდათ შექმნილი,** „ბევრად უკეთესი, ვიდრე დიდ მიწაზე“, — წერს შალამოვი („კოლიმური მოთხრობები“). სიკვდილიანობა, ფაქტობრივად, ნულოვანი იყო, კვება — შესანიშნავი. **პატიმრებს იმხელა ხელფასს უხდიდნენ, რომ ისინი ფულს „მატერიკზე“ ახლობლებსაც კი უგზავნიდნენ.** იმის წყალობით, რომ **კოლიმაზე** ერთი დღე სამად ეთვლებოდათ, ბევრი თავისუფლდებოდა პატიმრობიდან, მაგრამ გამგზავრებას სულაც არ ჩქარობდნენ და ნებით დაქირავებულებად აგრძელებდნენ მუშაობას. **1937 წლის** ბოლოს შინაგან საქმეთა მაშინდელმა სახალხო კომისარმა **ეჟოვმა კოლიმაზე „სანიტარიული პირობების“** მოსპობა გადაწყვიტა. **ბერზინი** დააპატიმრეს („იაპონიის ჯაშუში“) და მთელ თავის გუნდთან ერთად დახვრიტეს. მის მიერ შემოღებული წესები გააუქმეს და **1938 წლიდან კოლიმის ბანაკები „სიკვდილის ბანაკებად“ გადაიქცა.**

**კოლიმის** ცენტრი — **ქალაქი მაგადანი — 1940 წელს დაარსდა.** იქ მკაცრი კლიმატია — ზამთარში ყინვა 40 და მეტ გრადუსს აღწევს, ზაფხული ცხელია, მაგრამ იმდენად ხანმოკლე, რომ მარადი ყინულები გადნობას ვერ ასწრებს. პატიმართა ფოლკლორის ერთი სიმღერა ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს:

**მისცა ღმერთმა კოლიმას**
**მკაცრი განაჩენი —**
**ერგო ათი თვე ზამთარს,**
**ზაფხულს — დანარჩენი.**

## დიდი სამამულო ომის მეცნიერული ისტორია, ჩემი აზრით, ჯერ არ დაწერილა. სხვადასხვა დროს გამოცემული 6 და 12-ტომეული ისტორია კი არა, ნაყალბევია. სტალინი მათში, პრაქტიკულად, არ ფიგურირებს, მის ნაცვლად „გკო“-ს ან „უმაღლეს მთავარსარდალს“ ვხვდებით და ისიც უფრო იშვიათად იხსენიება, ვიდრე ამ გამოცემების დროს ხელისუფლების სათავეში მყოფი ხრუშჩოვი ან ბრეჟნევი. გვაინტერესებს თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით.



არ შემიძლია, არ დაგეთანხმოთ. ამ ტომების ზერელე გადათვალიერებაც კი მკითხველს მხოლოდ ერთ რამეში დაარწმუნებს: პირველ შემთხვევაში ომი სამხედრო საბჭოს წევრმა **ხრუშჩოვმა** მოიგო (6-ტომეული), მეორე შემთხვევაში კი ეს პოლკოვნიკმა **ბრეჟნევმა** გააკეთა. **სტალინის** გვარი პირველ გამოცემაში იშვიათად, თანაც უარყოფით პლანში მოიხსენიება, ყველა დამსახურება და გამარჯვება კი კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს მიეწერება *(რომლებსაც უშუალოდ სტალინი ხელმძღვანელობდა — რედ.).* სამართლიანობისათვის აღვნიშნავთ, რომ **ბრეჟნევის** მმართველობის წლებში გამოცემული ომის ისტორიის **12-ტომეული** უმაღლესი მთავარსარდლის ასეთ განქიქებას აღარ შეიცავს. მაგრამ თქვენ მართალი ბრძანდებით — პოლკოვნიკი **ბრეჟნევის** გვარი აქ **გენერალისიმუსი სტალინის** გვარზე ბევრად ხშირად გვხვდება. **„მცირე მიწაზე“ კი ორჯერ უფრო მეტია მოთხრობილი, ვიდრე სტალინგრადის ბრძოლასა და კურსკის რკალზე.**

არადა, **ლ. ბრეჟნევი** ომის წლებში მხოლოდ პოლიტმუშაკი იყო (გენერალი ლესელიძის არმიაში), **ხრუშჩოვის** „დამსახურება“ კი ორი უდიდესი კატასტროფაა — **კიევის და ხარკოვის, როდესაც ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრის — ხრუშჩოვის „წყალობით“ უაზროდ დაიღუპა ასიათასობით ადამიანი.**

ხსენებული წიგნების ხარვეზები ამით არ შემოიფარგლება. მათი მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მასალა უსისტემოდ არის მოწოდებული. ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს იმას, რომ **„რიგითი ივანოვი ხელყუმბარით ხელში ტანკს ჩაუვარდა,“ „სერჟანტი პეტროვი მკერდით ამბრაზურას გადაეფარა,“ „ლეიტენანტმა სიდოროვმა თავისი ალმოდებული თვითმფრინავი მტრის ცისტერნებზე მიმართა“** და ა. შ. ხოლო წითელი არმიის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე გაკვრით და ზოგჯერ არამართებულად საუბრობენ. მეტსაც გეტყვით, **ჰიტლერული** დივიზიების, ჯავშანტექნიკის, თვითმფრინავების და ა. შ. რაოდენობის მოყვანისას „ისტორია“ (როგორც ერთი, ისე — მეორე) გვერდს უვლის შესაბამის საბჭოთა მონაცემებს. ამ უზარმაზარი ტომების დაწვრილებით წაკითხვის შემდეგაც კი წარმოდგენა არ გვექმნება, რამდენი დივიზია ჰყავდა საბჭოთა კავშირს ომის დასაწყისში და დასასრულს, რამდენი ტანკის, ჯავშანტრანსპორტიორის, ქვემეხის, თვითმფრინავის მფლობელი იყო იგი.



გარდაქმნის პერიოდში სკკპ ცკ-მ მიიღო გადაწყვეტილება ომის ისტორიის ახალი, ამჯერად **10-ტომეულის** გამოცემის შესახებ. პირველი ორი ტომი ხელმომწერებს (მათ ფული წინასწარ გადაიხადეს) **1991 წელს** უნდა მიეღოთ, მაგრამ თქვენც არ მოგიკვდეთ. ფულიც, ბუნებრივია, არავის დაუბრუნებია. ასეთი იყო პირველი „ფინანსური პირამიდა“. თუმცა, ალბათ, ასე ჯობდა, რადგანაც, უეჭველია, ამ ისტორიის ლაიტმოტივი ახალი თეზისი იქნებოდა — **ომი პიონერმა მიშა გორბაჩოვმა მოიგო, რომელიც ფრონტს სტავროპოლიდან ჯართით ამარაგებდა.**

## საბჭოთა ეპოქის გამოჩენილი მოღვაწეების ფსევდონიმთა წარმოშობის შესახებ (მაგალითად, ლენინი-ულიანოვი, სტალინი-ჯუღაშვილი, მოლოტოვი-სკრიაბინი, კიროვი-კოსტრიკოვი, ტროცკი-ბრონშტეინი და ა. შ.). რატომ ეძახდნენ მათ ასე, ვინ უწოდა ეს გვარები? თუ თვითონ დაირქვეს?




თქვენ მიერ ჩამოთვლილი საბჭოთა მოღვაწეების გარდა ფსევდონიმებით სარგებლობდნენ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე **ლენინის** მოადგილე **კამენევი** (როზენფელდი), საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელი **მიხაილ ტომსკი** (ეფრემოვი), გამოჩენილი სტალინელი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი **ემელიან იაროსლავსკი** (მინეი გუბელმანი), კომინტერნის თავმჯდომარე **გრიგორი ზინოვიევი** (ევსეი გერშ-რადომისლსკი) და სხვები.

ფსევდონიმები **„ტომსკი“, „იაროსლავსკი“** მარტივად იშიფრება. ისინი იმ ქალაქებიდან მომდინარეობს, სადაც დაიბადნენ, ცხოვრობდნენ ან სწავლობდნენ მათი პატრონები. **„ზინოვიევის“** წარმოშობა უცნობია. მან ეს გვარი რევოლუციური საქმიანობის დაწყებისას შეარჩია. **სტალინის** ფსევდონიმის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. უბრალოდ, მან მამაპაპისეული გვარი რუსულად თარგმნა. **მოლოტოვი** ასე ხსნის თავისი და ბელადის ფსევდონიმების წარმომავლობას: **„იმ დროს მოდაში იყო ინდუსტრიასთან, მუშათა კლასთან, ბოლშევიკურ სიმტკიცესთან დაკავშირებული ფსევდონიმების არჩევა. აქედან — სტალინი, მოლოტოვი და, როგორც ჩანს, კამენევი. თუმცა, ეს უკანასკნელი ქვის სიმტკიცით არ გამოირჩეოდა.“**

არსებობდა ვერსია, რომ **ლენინმა** ფსევდონიმი მდინარე ლენას საბადოებზე მუშების დახვრეტის შემდეგ (1912 წლის აპრილი) აიღო. მაგრამ ეს არასწორია. **ვლადიმერ ულიანოვმა** თავისი წიგნების და სტატიების **„ლენინით“** ხელმოწერა ბევრად უფრო ადრე დაიწყო. არსებობს ასეთი ვერსიაც: ადრეულ ახალგაზრდობაში **ლენინს** ერთ გიმნაზიელ ამხანაგთან ჰქონდა მიმოწერა. იმ ყმაწვილს ერთი გოგონა უყვარდა, სახელად — **ტანია, ულიანოვს კი — ლენა. ამიტომ წერილებს ერთი „ტანინს“ აწერდა, მეორე — „ლენინს“.**

**სერგეი კოსტრიკოვი „კიროვი“ 1912 წელს** პროვინციულ გაზეთ **„ტერეკში“** კორესპონდენტად მუშაობის დროს გახდა. ფსევდონიმს საფუძვლად ძველი მხედართმთავრის კიროსის სახელი დაედო.

საინტერესოა ფსევდონიმი **„ტროცკის“** წარმოშობა. მე-19 საუკუნის დასასრულს — **მე-20 საუკუნის დასაწყისში** ახალგაზრდა **ლეიბა ბრონშტეინი** ოდესის ციხეში თავის პირველ ვადას იხდიდა. მას ძალიან მკაცრი ზედამხედველი ჰყავდა, გვარად **ტროცკი.** გათავისუფლების წინ პატიმარი დაემუქრა მას: **„დადგება დღე, ბატონო ზედამხედველო, და თქვენი გვარი მთელ მსოფლიოში დაიქუხებს.“** მან ეს დაპირება შეასრულა. დაიქუხა! თანაც ისე, რომ საბრალო ზედამხედველი, ალბათ, იძულებული გახდა, უკრაინული გვარი **ტროცკი** ებრაულ ბრონშტეინზე გამოეცვალა.

გენერალისიმუსი
2023 წლის 29 მაისი. № 28 (196)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ტორესა მოსი ტაროზე მოსვით!

*2023 წლის 26 მაისს ქართველი საზოგადოება ფრიად უცნაური და ანომალიური მოვლენის მომსწრე გახდა. იმ დროს, როცა მთელი საქართველო ედუარდ შევარდნაძის მიერ გადმოჩოჩებულ საქართველოს დამოუკიდებლობას ზეიმობდა, პარტია „ლელო“ რუსთაველის პროსპექტზე ევროკავშირის დროშას მოაპორწიალებდა — აქაოდა, „ქართულმა ოცნებამ“ ევროპულ გზას გადაუხვია და მათი ცისფერი ალამიც გადამალაო!*





**„მთავარი არხის“ სტუდიაში ტორესა მოსი პორნოლექსს კითხულობს, ლაშა ბუღაძეს უხარია!**

## 26 მაისი პორნოლექსის თანხლებით

ამას ურცხვად ამტკიცებდა **მამუკა ხაზარაძე,** რომელმაც 1989 წლის 18 თებერვალს სწორედ 26 მაისს დაბადებულ მერაბ კოსტავაზე აღმართა ხელი და მაშინდელი „გეპეის“ პირველი კორპუსის წინ საქართველოს ეროვნულ გმირს სკამის გადაჭრილი ფეხებით შეიარაღებული ზონდერ-კომკავშირელები მიუქსია. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ იგივე ყაჩაღ-ბანკირი **მამუკა ხაზარაძე ჰუტა წერეთელთან და ბადრი ჯაფარიძესთან** ერთად სასამართლომ „ხანდაზმულ თაღლითად“ კარგა ხნის წინათ ცნო.

ევროკავშირის დროშების სიხალვათეს მამუკა ხაზარაძის პარტიული თანამეცხედრე, ამერიკული აგენტურის სამჭედლოს — „საიას“ ყოფილი შეფი, ქუთაისელი **ანა ნაცვლიშვილიც** აპროტესტებდა, რომლის მამამაც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის უნიკალური მანქანა-დანადგარები სტამბოლის ბაზრის გზას გაუყენა. სხვათაშორის, „ლელოს“ მსგავსად, პოლიციას გზის გახსნასა და პარადზე შევარდნას სთხოვდა **ელისო რურუაც** — აქაოდა, ევროპაში მიმეჩქარებაო!

სწორედ ამ ევროალტყინების ჟამს სოციალურ ქსელებში გაუთავებლად ტრიალებდა **მამუკა ხაზარაძის „უბორნიის პოეტის“ ტორესა მოსის,** ანუ იმავე **ვახტანგ მოსიაშვილის** მიერ **ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“** სტუდიაში **ტუალეტის მჯღაბნელ ლაშა ბუღაძისა** და **ნენე კვინიკაძის** თანდასწრებით არნახული პათოსით წაკითხული **ვინმე ზაზა კოშკაძის** პორნოლექსი, რომელსაც **„გენიოსი“** ჰქვია:

*„მამაჩემი გენიოსია... მისი სიტყვები ყოველთვის ახერხებდნენ ნახვრეტების დადებას ჩემზე.*

*როცა მე კარატეზე მივედი, მან მითხრა — **შენ რა ჩემი ყ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** კარატისტი ხარ, შვილო? კარატისტები იყვნენ ჩემ დროს, ჯარში, შაოლინელ ბერებს ერეოდნენ... და ჩემში მოკვდა კარატისტი!*

*როცა მე მუსიკაზე მივედი, მან მითხრა — **შენ რა ჩემი ყ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** მუსიკოსი ხარ, შვილო? მუსიკოსები იყვნენ ჩემ დროს, ბარებში სვამდნენ და „პრიბალტიკელ“ ნაშებს **ტყ....ნენ (ცენზურა ჩვენია. რედ.)** და ლექსებს უძღვნიდნენ. და ჩემში მოკვდა მუსიკოსი!*

*როცა მე ლექსების წერა დავიწყე, მან მითხრა — **შენ რა ჩემი ყ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** პოეტი ხარ, შვილო? პოეტები იბეჭდებოდნენ ჩემ დროს ლიტგაზეთებში და სამშობლო უყვარდათ... და ჩემში მოკვდა პოეტი!*

*როცა **მე ყ...ზე (ცენზურა ჩვენია. რედ.)** დავიკიდე ყველაფერი და გავლოთდი და დედა **მომტ...ნა (ცენზურა ჩვენია. რედ.)**, მან მითხრა — **შენ რა ჩემი ყ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** ლოთი ხარ, შვილო? ლოთები იყვნენ ჩემ დროს, დუქნებს ხატავდნენ და სახლი არ ჰქონდათ... და ჩემში მოკვდა ლოთი!*

*როცა მე ხატვა დავიწყე, მან მითხრა — **შენ რა ჩემი ყ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** მხატვარი ხარ, შვილო? შეეშვი ამ ცანცარობას და ისწავლე რამე ხელობა, რომ ლუკმა-პურის ფული იშოვო... და ჩემში მოკვდა მხატვარი!*

*როცა მე მეწაღეობა ვისწავლე, რომ მე ლუკმა-პურის ფული მეშოვა, მან მითხრა — **შენ რა ჩემი ყ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** მეწაღე ხარ, შვილო? ამ ფეხსაცმელს მაიმუნიც კი არ ჩაიცვამს სირცხვილით... და ჩემში მოკვდა მეწაღე!*

*როცა მე ფილტვის კიბოთი ვკვდებოდი, მან მითხრა — **შენ რა ჩემი ყ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** ავადმყოფი ხარ, შვილო? ავადმყოფები იყვნენ ჩემ დროს, ციხეებში ზეზეურად ლპებოდნენ და მაინც არ ნებდებოდნენ ცხოვრებას... და ჩემში მოკვდა ავადმყოფი!*

*ის გენიოსია, ცოცხალი და მარად მართალი გენიოსი, რომელმაც ყოველთვის იცოდა, რა მინდა მე!“*

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, „მთავარი არხის“ სტუდიაში ისეთი ამბავი იყო, **ლაშა ბუღაძეც** და **ტორესა მოსიც** სულ **ყ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** გარშემო ტრიალებდნენ, რასაც ახალგაზრდა თანაწამყვანმა, ქალბატონმა **ნენე კვინიკაძემ** ვეღარ გაუძლო, ნერვიულობისგან ოფლმა დაასხა და გასაგრილებლად გაზეთი დაინიავა.

**ტორესა მოსის მამას მალხაზ მოსიაშვილს,** რომელიც თელავის რკინა-ბეტონის ქარხანაში პარტკომი იყო, მთელი ქალაქი **„ტორესას“** ეძახდა. სწორედ ეს სახელი მიიწება თიკუნად მისმა შვილმა და ასე გახდა **ვახტანგ მოსიაშვილი „ტორესა მოსი“... პარტკომი მალხაზ მოსიაშვილი, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, წამალდამოკიდებული იყო, არეულობის წლებში მღვდლად ეკურთხა და „მამა გიორგი“ გახდა, თუმცა, მაცხოვარზე წინ მაინც ნარკოტიკების სიყვარული დააყენა.** ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამას გვაფიქრებინებს ამ ოცდაორი თუ ოცდასამი წლის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ბიუროს ხელმძღვანელის, **ვინმე სისაურის** განცხადება, რომელმაც თქვა — **დავაპატიმრეთ მამა გიორგი მოსიაშვილი, რომელიც პანკისის ხეობაში ნაყიდ ჰეროინს ნაკურთხი სანთლის ალზე, კოვზზე ხარშავდაო!**

რაც შეეხება **ბუღაძეს,** მასტურბატორ **ლაშა ბუღაძეზე** ამჯერად განგებ არრას ვიტყვით, რადგან **ბუღაძეც, რატი ამაღლობელიც და მთელი ის სამყაყეთი, რასაც მამუკა ხაზარაძის პრემია „საბა“, „უბორნიის პოეტები“ და „ტუალეტის მჯღაბნელები“ ჰქვია, დიდი ხანია, არათუ ტაროზე, არამედ პაატა შამუგიას „ტინკი-ვინკიზე“ არიან მოსმულები!**



**მამუკა ხაზარაძისა და მისი თანაპარტიელების დროშებიანი მსვლელობა რუსთაველის გამზირზე. 2023 წლის 26 მაისი**



**„ლელოს“ მიერ შოთა რუსთაველის ძეგლთან გაშლილი უზარმაზარი დროშები**

წინამდებარე წერილს იმით დავასრულებთ, რომ

**მამუკა ხაზარაძისა და მისთანა თაღლითების გასაგონად ვიტყვით – რაც უფრო ახლოს დგანან ტორესა მოსისნაირები ყ...სთან (ცენზურა ჩვენია. რედ.), მით უფრო შორს ხართ თქვენ ევროპისაგან!**

*დიტო ჩუბინიძე*

# გვარამიას რიცხვი

*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში არსებობს უნივერსალური მუდმივები, რომლებიც კონკრეტული პიროვნებების სახელობით რიცხვებად არის ცნობილი. მაგალითად, ფიზიკაში გვხვდება ავოგადროს რიცხვი, რაც უკავშირდება იტალიელ მეცნიერ ამადეო ავოგადროს, რომელმაც 1811 წელს პირველმა წარმოადგინა თეორია ნივთიერებაში მოლეკულათა რაოდენობის შესახებ. ასევე არსებობს ინგლისელი ფიზიკოსისა და ქიმიკოსის მაიკლ ფარადეის სახელთან დაკავშირებული მუდმივა — ფარადეის რიცხვი, რომელიც ელემენტარული ელექტრული მუხტის ავოგადროს რიცხვზე ნამრავლის ტოლია.*




**გვარამიას რიცხვი მთელი ნაცხროვისა და ნეოლიბერალური სექტის ერთმანეთზე ნამრავლის ტოლია!**

მაშ, რა არის და საიდან გამომდინარეობს **გვარამიას რიცხვი?**

მოგახსენებთ!

საერთაშორისო ორგანიზაცია **„ფრიდომ ჰაუსის“** ანგარიშში, რომელიც გასულ კვირას გამოქვეყნდა, წერია, რომ საქართველოში დამოუკიდებელი მედიის რეიტინგი **3,50 ქულიდან 3,25 ქულამდე შემცირდა,** რაც, თურმე, „ჟურნალისტების მიმართ ძალადობისა და შევიწროების მრავალწლიანი ტენდენციის“ შედეგია.

## საინტერესოა, ჟურნალისტებზე ძალადობისა და მათი შევიწროების „მრავალწლიან ტენდენციაში“

## იგულისხმება თუ არა ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდი, როცა ჟურნალისტებზე ძალადობა და დამოუკიდებელი მედიის შევიწროება მართლაც ყოველდღიური მოვლენა იყო?

მაგალითად, მოიაზრებს თუ არა **„ფრიდომ ჰაუსი“** ჟურნალისტებზე ძალადობისა და დამოუკიდებელი მედიის შევიწროების „მრავალწლიან ტენდენციაში“ **2007 წლის 10 აგვისტოს თბილისის ცენტრში დატრიალებულ ამბავს, როცა სააკაშვილის რეჟიმის სადამსჯელო რაზმები გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობას დილაბნელზე შეესივნენ და „ასავალ-დასავალის“ რედაქციასთან ერთად ათობით მედიასაშუალების ოფისი დაარბიეს? ან 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმის შეჭრა თუ იგულისხმება თავისუფალი მედიის შევიწროების „მრავალწლიან ტენდენციაში“?**

მოიცადეთ, **„ფრიდომ ჰაუსი“** იქნებ უფრო შორიდან იწყებს ჟურნალისტებზე ძალადობისა და დამოუკიდებელი მედიის შევიწროების „მრავალწლიანი ტენდენციის“ ათვლას... ვთქვათ, გულისხმობს **2004 წელს ტელეკომპანია „იბერიის“ დარბევასა და დახურვას ან 2005 წელს იმერეთის გუბერნატორ აკაკი ბობოხიძის მიერ ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილის ცემას ტელეკომპანია „რიონის“ ოფისში...** არა? მაშ, არც უფრო მერმინდელი, მაგალითად, 2012 წლის ამბებია ნაგულისხმევი, როცა სააკაშვილის რეჟიმის ჩაფრები სოფელ-სოფელ სახლების სახურავებზე დაძვრებოდნენ და **ბიძინა ივანიშვილის კომპანია „გლობალ ტივის“** მიერ უსასყიდლოდ დამონტაჟებულ სატელიტურ ანტენებს აპატიმრებდნენ, რათა მოსახლეობას ოპოზიციური ტელეარხების ყურების საშუალება არ ჰქონოდა? მედიის შევიწროების „მრავალწლიან ტენდენციაში“ არც ის არის ნაანგარიშევი, სააკაშვილის რეჟიმმა თბილისის სამარშრუტო ტაქსებში **ოპოზიციური რადიო „უცნობის“** ჩართვა რომ აკრძალა?

**აბა, საიდან იწყებს „ფრიდომ ჰაუსი“ ჟურნალისტებზე ძალადობისა და დამოუკიდებელი მედიის შევიწროების „მრავალწლიანი ტენდენციის“ ათვლას?**

**დროის რა პერიოდი იგულისხმება „მრავალწლიანში“?**

**„ფრიდომ ჰაუსის“** ანგარიშით რამდენია ეს **„მრავალი წელი“** — 2, 3, 7, 15 თუ 25?

ნუ იტყვით და, საქართველოში მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიის — **„მთავარი არხის“** გენერალური დირექტორის **ნიკა გვარამიას** დაპატიმრებას გაუუარესებია. კი, ასე წერია „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშში. საერთაშორისო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ გვარამიას გასამართლება ხელისუფლებისადმი კრიტიკული ხმის ჩახშობის მცდელობად აღიქმება.

**ამ აღქმებით ხომ ტვინი წაიღეს და გული გააწყალეს!**

**ე.ი. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ფაქტებს და არაფერს ნიშნავს ობიექტური გარემოებები, მხოლოდ აღქმებია მთავარი!**

**მერე რა, რომ გვარამიამ** სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა და წინასწარი განზრახვით, სრულიად გამიზნულად და შეგნებულად, **7 მილიონი ლარის ფინანსური ზიანი მიაყენა ნაცრეჟიმის მიერ მიტაცებულ ტელეკომპა-**

# გვარამიას

## კვირგვინოსნები



**თაკო ჩარკვიანი**
*პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი*

ერთი დიდი აქცია დაიკიდება საკიდზე, **სერიოზულად ვემზადებით,** მტერია კარზე მომდგარი.

„პალიტრანიუსი“



**დავით ჭიჭინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნის“ ლიდერი*

მაშინ, როდესაც **მთავარი მიზანი ხალხის გამდიდრება და ყველაფრის ხელმისაწვდომობა უნდა იყოს,** იმ ფულით, რომელიც, წესით, ეკონომიკას უნდა მოხმარდეს, **მევახშეები სარგებლობენ.**

„ინტერპრესნიუსი“



**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*

ვხედავთ, **რა ოპერატიულად იგებენ ოპოზიციის წარმომადგენლები, ვინ ჩამოდის, სად ჩერდება...** უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ **არის მეხუთე კოლონა, რომელიც რუსეთის ინტერესებზე მუშაობს.**

„პირველი არხი“



**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*

ნაცმოძრაობის მიერ მოწყობილ 26 მაისს, **როცა გვამებს სახურავებზე ყრიდნენ,** ამ მანქურთების წკმუტუნი არ გამიგია.

„იმედინიუსი“



**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*

საქართველოს ხელისუფლება 2008 წელს აკეთებდა ყველაფერს, რომ **მომხდარიყო კონსოლიდირება პუტინის წინააღმდეგ,** სამწუხაროდ, მაშინ დასავლეთს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია.

„პირველი არხი“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

ჩემს მისიას ვხედავ, რომ **დავეხმარო რუსეთისგან გათავისუფლებაში ქართველ ხალხს,** ამის შემდეგ თუ შემეძლება, დავბრუნდე ჩემს სახლში, უკრაინაში და **დავეხმარო ზელენსკის ქვეყნის აღორძინებაში.**

„პირველი არხი“

# 0,25 ქულა! – ასე განსაზღვრა „ფრიდომ ჰაუსმა“ ნიკა გვარამიას პოლიტიკური წონა და ჟურნალისტური ფასი!

# მუდმივა

**ნია „რუსთავი-2“-ს,** სანამ იგი ქართული სასამართლოს მიერ გამოტანილი და სტრასბურგის სასამართლოს მიერ დამოწმებული განაჩენით კანონიერ მფლობელს დაუბრუნდებოდა!

**მერე რა, რომ გვარამია** ჩვეულებრივი კრიმინალია და გამოძიებისა და სასამართლოს მიერ უტყუარად დამტკიცებული კონკრეტული კანონდარღვევის გამო იხდის სასჯელს!

აქ ფაქტი და მოცემულობა კი არა, ნაცმოძრაობის, ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციების, ევროპარლამენტარებისა და „ფრიდომ ჰაუსის“ აღქმაა მთავარი!

**„ფრიდომ ჰაუსი“** თავის ანგარიშში წერს — **ევროპარლამენტმა 2022 წლის ივნისში მიღებული რეზოლუციით გვარამიას განაჩენი დაგმოო!**

აჰ, დიდი ამბავი მომხდარა!

ასე, ევროპარლამენტმა თავის რეზოლუციაში არამხოლოდ გვარამიას განაჩენი დაგმო, არამედ ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელი **დავით ქეზერაშვილიც** გამოაცხადა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური დევნის მსხვერპლად. მართალია, მთელმა საქართველომ იცის და თვით ნაციონალური მოძრაობის ერთი ნაწილიც ვერ უარყოფს, რომ კეზერაშვილი ქართველი ბიზნესმენების გატყავებისა და ქართული ჯარის გაძარცვის ხარჯზე გამდიდრებული კრიმინალია, მაგრამ ზოგიერთი ევროპარლამენტარისა და საერთაშორისო ორგანიზაციის აღქმით, იგი პოლიტიკურად დევნილი მედიამფლობელი ბრძანდება.

მას შემდეგაც კი, რაც მსოფლიოს ყველაზე გავლენიანმა მედიასაშუალებამ — **„ბიბისიმ“ „ფორმულას“ დამფუძნებელი და მფლობელი ქეზერაშვილი** ე.წ. ქოლცენტრების თაღლითური სქემით ევროპელი პენსიონერებისათვის მილიარდი ევროს მოპარვაში ამხილა, ზოგიერთი ევროპარლამენტარისა და საერთაშორისო ორგანიზაციის აღქმით, იგი მაინც პოლიტიკურად დევნილ მედიამფლობელად რჩება.

აი, ამგვარ აღქმებსა და წარმოდგენებს ეფუძნება **„ფრიდომ ჰაუსის“** ანგარიშიც, რომლის თანახმადაც საქართველოში დამოუკიდებელი მედიის რეიტინგმა **0,25 ქულით** ჩამოიკლო.







ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელი დავით ქეზერაშვილი, ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მეწილეები – გიორგი (ჟორიკა) რურუა, ზაზა ოქუაშვილი



ტელეკომპანია „ტვ პირველის“ მეპატრონე ავთანდილ (ჭუტა) წერეთელი და „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე სასამართლო პროცესზე ჯგუფურ თაღლითობაში ბრალდებულთა სტატუსით

ისე, კაცმა რომ თქვას, **„ფრიდომ ჰაუსის“** ამ კვლევაში ლოგიკისა და სამართლიანობის მარცვალიც შეგვიძლია, აღმოვაჩინოთ, რადგან **გვარამიას, როგორც ოპოზიციური ტელეარხის დირექტორის, ჟურნალისტისა და პოლიტიკური აქტორის მნიშვნელობა, სულ რაღაც, 0,25 ქულით არის შეფასებული.**

დიახ,

**თუ „ფრიდომ ჰაუსი“ ანგარიშობს, რომ „მთავარი არხის“ დირექტორ გვარამიას სისხლის სამართალში მიცემამ ქართული მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი, სულ რაღაც, 0,25 ქულით შეამცირა, გამოდის, გვარამია, სულ რაღაც, 0,25-ქულიანი მედიამენეჯერი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი ყოფილა!**

აღსანიშნავია, რომ „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშში ქართული მედიის დამოუკიდებლობის რეიტინგის **0,25 ქულით შემცირების მიზეზად 2021 წლის 5 ივლისს ე.წ. ლგბტ მარშის მოწინააღმდეგეთა მხრიდან ჟურნალისტებზე ფიზიკური თავდასხმა და „ტვ პირველის“ ოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების საქმეც არის დასახელებული.** საერთაშორისო ორგანიზაციას სრულებითაც არ აინტერესებს ის ფაქტი, რომ 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე თავდასხმისათვის სახელმწიფომ 27 პირი ჩასვა ციხეში, ხოლო **ლექსო ლაშქარავა,** გამოძიებისა და ექსპერტიზის დასკვნით, აქციაზე მიყენებულმა ფიზიკურმა დაზიანებებმა კი არა, ნარკოტიკის ზედმეტმა დოზამ იმსხვერპლა.

**„ფრიდომ ჰაუსი“ აქაც აღქმებით ხელმძღვანელობს და ფაქტებს აინუნში არ აგდებს!**

**არადა, ფაქტები სრულიად საპირისპირო რამეს ღაღადებენ!**

ფაქტები გვეუბნებიან, რომ ისეთ სისხლის სამართლის დამნაშავესა და საერთაშორისო მასშტაბის თაღლითობაში მხილებულ კრიმინალსაც კი, როგორიც **დავით ქეზერაშვილია,** საშუალება აქვს, საქართველოში საკუთარ ტელევიზიას ფლობდეს!

ფაქტები გვამცნობენ, რომ **ოპოზიციური პარტია „ლელოს“ ლიდერებთან — მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძესთან ერთად ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებულ ავთანდილ (ჭუტა) წერეთელსაც** კი არავინ უზღუდავს ოპოზიციურ ტელეარხ „ტვ პირველის“ ფლობას!

ფაქტები მეტყველებენ, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე **ნიკა გვარამიას,** კრიმინალური სამყაროს ცნობილ წარმომადგენელ **ჟორიკა რურუას** და ხელისუფლებასთან მკვეთრად დაპირისპირებულ ბიზნესმენ **ზაზა ოქუაშვილსაც** კი არავინ უშლის ნაციონალური მოძრაობის პარტიული ტელევიზიის — „მთავარი არხის“ მეწილეობას!

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, **„ფრიდომ ჰაუსი“** თვლის, რომ საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხი დაკლებული და შემცირებულია!

მართალია, სულ რაღაც, **0,25 ქულით,** მაგრამ მაინც დაკლებული და შემცირებული!

თუმცა, **„ფრიდომ ჰაუსის“** ანგარიშის გამოქვეყნება იმად მაინც ღირდა, რომ **ნიკა გვარამიას** პოლიტიკური და ჟურნალისტური წონა გაგვეგო: **0.25!**

**0.25! – ეს არის გვარამიას რიცხვი – უნივერსალური მუდმივა, რომელიც ნაცმოძრაობის, ნაცმოძრაობასთან დაკავშირებული მედია-საშუალებებისა და ნაცმოძრაობაზე ჩაბმული არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიან პოლიტიკურ წონასა და მორალურ ფასს გამოსახავს!**

**გვარამიას რიცხვი მთელი ნაცხროვისა და ნეოლიბერალური სექტის ერთმანეთზე ნამრავლის ტოლია!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



არ უნდა გავაბრაზოთ ადამიანები, რომ **მანქანების დაწვაზე** გადავიდნენ.

ვიდრე **სალომე ზურაბიშვილი** არ გადავა ქმედებაზე, **არ გაათავისუფლებს ნიკა გვარამიას,** მე მას ჩავთვლი ერთი მსახიობის თეატრის წარმომადგენლად.

„იმედინიუსი“

**ლევან ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*



საპარლამენტო **ოპოზიცია სამარცხვინოდ იქცევა.** პარლამენტაროზანას თამაშობენ. თუ ახლა **ქარდავას ხუთეულმა** ივარგა, ცოტა ხნის წინ **სამნიძის სამეულმა** გამოიჩინა თავი. დღეის მდგომარეობით, **„ესენგესა“** და **ევრაზიის კავშირის** წევრები უფრო გავხდებით, ვიდრე **ევროკავშირის** სტატუსის მქონენი.

„ახალი თაობა“

**თინა ხიდაშელი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**საქართველოს ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება!** ქართულმა ოპოზიციამ დეკემბრამდე უნდა აჩვენოს, რომ ერთობა სახეზეა და ბრძოლისუნარიანია, თუმცა, **ნიშანწყალი არ ეტყობათ, ქაოსში არიან, იმის ჩვენებით, ვის უფრო დიდი რქები აქვს.**

„პალიტრანიუსი“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ბიძინა** გამოვა უკრაინის დროშით, უკან ექნება **ზელენსკის** სურათი და დაგმობს **ღარიბაშვილს** და ამ ხელისუფლებას.

ის **ახალ გუნდს** ქმნის: ეს არის **სერგეენკო, ყიფიანი, კუჭავა** — არ არსებობს, ივანიშვილს **„მარქაფა“ პროექტი** არ ჰქონდეს.

„პალიტრანიუსი“

*დასაწყისი იხ. „ა–დ", 2023 წ. №11-15,16-17, 18-19, 20-21,22-24*



# იგორ კვესელავა:

# საერთაშორისო მაფიის მიერ დადებული პირობა ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების შემდეგაც სრულდება და ზვიად გამსახურდიას მკვლელობას შეგნებულად არ ხსნიან!

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს პირველი პრეზიდენტის სამშობლოდან ჩერნიეთში განდევნის დეტალებს იხსენებს და მიიჩნევს, რომ 1993 წლის სექტემბერში, სოხუმის დაცემამდე სამი დღით ადრე, ზვიად გამსახურდია საქართველოში არ უნდა დაბრუნებულიყო:***

— ჩემს ხელთ არსებული მასალებით მტკიცდება, რომ თბილისის ომის დროს შევარდნაძის სურვილი იყო ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია და ამით ყველაფრის დასრულება. ტექნიკურად ამის გაკეთება შესაძლებელი გახლდათ, მაგრამ არის გარემოებები, რაც მსგავსი თავდასხმის მოწყობას ხელს უშლის. აი, მაგალითად, ცნობილია, რომ ულამაზესი საბჭოთა მსახიობი **ოლგა ჩეხოვა,** რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოში გაიზარდა და ქმარიც საქართველოში გაიცნო, ლავრენტი ბერიას ჯაშუში იყო და ადოლფ ჰიტლერს მუხლებზე ეჯდა, მაგრამ მიუხედავად სიახლოვისა, ფიურერის ლიკვიდაცია ვერ მოახერხა. იგივე **გია უჩავა,** რომელიც თბილისის ომის დროს პუტჩისტებმა ალმოდებული უზენაესი საბჭოს შენობაში, როგორც ჯაშუში, ისე შეაგზავნეს, ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციას ადვილად მოახერხებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქვეყნის გადამტრიალებლებს და, მათ შორის, შევარდნაძეს, მაინც ეშინოდათ ხალხის ქუჩაში გამოსვლის!

ზვიადი რომ მთავრობის სასახლეში მოეკლათ, ამას მოჰყვებოდა ათეულათასობით ადამიანის საშინელი პროტესტი, რაც შესაძლოა, ბანდიტებისა და მათ დამქაშთა ოჯახების წევრებზე ნადირობაში გადაზრდილიყო... მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ სისხლიანი გადატრიალების დამამთავრებელ ეტაპზე ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის ბრძანება გაცემული იყო. სწორედ ამიტომ დაედევნენ ჩემ მიერ არაერთხელ ნახსენები პირები თბილისიდან გასულ პრეზიდენტს ავტომატების კაკანით, რათა მოეკლათ და შევარდნაძისთვის ესიამოვნებინათ! მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობისთვის არ დაისჯებოდნენ, რადგან გარანტიები ჰქონდათ!

**— ეს გარანტიები ვისგან ჰქონდათ?**

— ცხადია, შევარდნაძისგან! თავის მხრივ, შევარდნაძესაც რომ არ ჰქონოდა საერთაშორისო გარანტიები, ამ საქმეში არავითარ შემთხვევაში არ გაერეოდა. მან ეს გარანტიები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, პირადი მეგობრის **ჯეიმს ბეიკერისგან** მიიღო. თქვენს სადოქტორო დისერტაციაში, რომლის ხელმძღვანელიც მე ვიყავი, ძალიან კარგად არის გამოკვეთილი და სათანადოდ გახლავთ შესწავლილი ის ისტორია, რომელიც 1991 წლის ოქტომბერში გერმანიის ერთ პატარა ქალაქში გამართულ ბანკეტს ეხება. ამ ბანკეტზე, რომელიც შევარდნაძემ გამართა და რომელზეც მსოფლიოს მაშინდელი ბოსები და გავლენიანი მილიარდერები იყვნენ მიწვეული, შევარდნაძეს უკვე ადიდგრძელებდნენ როგორც „საქართველოს პრეზიდენტს". დიდი ალბათობით, სწორედ იქ გადაწყდა საბოლოოდ ზვიად გამსახურდიას ბედი, ხოლო შევარდნაძემ მიიღო გარანტიები, რომ პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაციის შემთხვევაშიც კი მას ხელს არავინ ახლებდა! როგორც ვხედავთ, საერთაშორისო მაფიის მიერ დადებული პირობა შევარდნაძის გარდაცვალების შემდეგაც სრულდება და ზვიად გამსახურდიას მკვლელობას შეგნებულად არ ხსნიან!

**— თქვენ წინა ინტერვიუში გაიხსენეთ 1992 წლის 7 იანვარს, ქრისტეშობის დღესასწაულზე, გამართული ლხინი, როცა მღვდელმთავრები ერთმანეთს ზვიად გამსახურდიას დამხობასა და ქვეყნიდან განდევნას ულოცავდნენ! სად გაიმართა ეს ლხინი, საპატრიარქოში თუ მარტყოფის რეზიდენციაში?**

— ეს ლხინი გაიმართა საპატრიარქოში და, ჩვენდა სამარცხვინოდ, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქები ერთმანეთს ქრისტეშობასა კი არა, ზვიადის დამხობასა და განდევნას ულოცავდნენ! პატრიარქსაც მიულოცეს ზვიად გამსახურდიას დამხობა...

**— მაინც რა ფორმით მიულოცეს?**

— ეს ძალიან მძიმე და საჩოთირო თემაა, მაგრამ სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას — ბანკეტზე მყოფი მღვდელმთავრები ილია მეორეს სიხარულით ამცნობდნენ, რომ მისი ვედრება უფალმა შეისმინა და ზვიად გამსახურდია სწორედ მისი ლოცვით დაემხო და განიდევნა! დიახ, ეს პირდაპირ იყო ნათქვამი და ამ ყველაფერს დეტალურად იხსენებს კაცი, ვინც საპატრიარქოში ამას შეესწრო. ეს პიროვნება გახლავთ **მამა ვახტანგ მარგიანი,** რომელმაც ნანახი და მოსმენილი ქაღალდზეც გადაიტანა. უფრო მეტიც, წინა ღამით, 6 იანვარს, ვიდრე საპატრიარქოში ის გახმაურებული ბანკეტი შედგებოდა, სიონის საკათედრო ტაძარში საშობაო წირვა-ლოცვა გაიმართა. მასში მონაწილე მღვდელმსახურები კმაყოფილებასა და სიხარულს ვერ მალავდნენ ზვიად გამსახურდიას დამხობის გამო. ამიტომაც არის ამდენი პრობლემა საქართველოს ეკლესიაში... დღეს, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოხუცდა და ჯანმრთელობაც შერყეული აქვს, მღვდელმთავრები, ფაქტობრივად, პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობენ და წარმოადგენენ სხვადასხვა




## კვირგვინოსნები

**ზურაბ აზარაშვილი**
*ჯანდაცვის მინისტრი*



**რესპუბლიკური საავადმყოფო** რამდენიმე წელიწადში ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინფრასტრუქტურის, **მაღალი დონისა და შესაძლებლობების სამედიცინო კომპლექსი გახდება. ბედიანში ოთხი მცირე ზომის ფსიქიატრიული დაწესებულება** გვექნება და ბენეფიციარები ახალ დაწესებულებაში გადანაწილდებიან, **ორი ფსიქიატრიული** დაწესებულების აშენება იგეგმება კახეთშიც.

„პირველი არხი"

**დავით ვადაჭკორია**
*„ნეოგენის" კლინიკური დირექტორი, ნარკოლოგი*



**უკვე იმდენი ახალი ჯგუფის ნარკოტიკებია, შეიძლება იატაკქვეშა ლაბორატორიებიც არსებობდეს.** „ამფეტამინის" ჯგუფის ნარკოტიკების გავრცელებამ არამარტო თბილისში, დასავლეთ საქართველოშიც მოიკიდა ფეხი. **უფრო მეტად გაახალგაზრდავდა მომხმარებლის ასაკი და ძალიან გაიზარდა მომხმარებელი ქალების რიცხვი.** 16, 17, 18 წლის ახალგაზრდებს უკვე სერიოზული დამოკიდებულება აქვთ.

„კვირის პალიტრა"

**ემზარ საბანაძე**
*იურისტი, ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო კვლევითი ცენტრის დამფუძნებელი*



თბილისში **5-6 ადგილია, სადაც ნარკოტიკების რეალიზაცია ხდება — ლოტკინის ტყე, ზღვის ტერიტორია** და ა.შ. დიდი ალბათობით, მავანი შეთანხმებულია ნარკორეალიზატორებთან, რადგან შეუძლებელია საქართველოში ნარკორეალიზაცია ისე, რომ შსს-ს ამაზე ინფორმაცია არ ჰქონდეს. **დღეს პირდაპირ თბილისის სკვერებში, მოედნებზე ყიდიან ნარკოტიკებს** და არ მჯერა, რომ პოლიციამ ეს არ იცის. ჩანს, ვიღაც ამით ხეირობს.

„კვირის პალიტრა"

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*



10 წელიწადში **უმუშევართა რიცხვი საქართველოში 324 000-დან 175 000-მდე ჩამოვიდა,** რაც 21-ე საუკუნეში რეკორდული რიცხვია.

„იმედინიუსი"

# „ბანკეტზე მყოფი მღვდელმთავრები ილია მეორეს სიხარულით ამცნობდნენ, რომ მისი ვედრება უფალმა შეისმინა და ზვიად გამსახურდია სწორედ მისი ლოცვით დაემხო და განიდევნა!“

დასებს.

**— ძალიან საინტერესოა ერევნიდან ზვიად გამსახურდიას ჩეჩნეთში გადაფრენის რამდენიმე დეტალი. ცნობილია, რომ სომხეთის პრეზიდენტი ლეონ ტერ-პეტროსიანი ზვიად გამსახურდიას არც თვითმფრინავს აძლევდა და არც ჩეჩნეთში უშვებდა, რატომ?**

— ეს არ იყო სომხეთის ხელისუფლებისა და პრეზიდენტ პეტროსიანის ბრალი, **ეს ელცინის რუსეთის მიერ გაცემული ბრძანების შედეგი იყო,** რომლის ძალითაც ზვიად გამსახურდიასთვის ქვეყნის დატოვების საშუალება არ უნდა მიეცათ. აი, ასეთ ვითარებაში მეტად გაბედული და მამულიშვილური ნაბიჯი გადადგა სოხუმის აეროპორტის უფროსმა, მარტვილელმა **ზაურ ხაინდრავამ,** რომელსაც პირადად ვიცნობდი. სატვირთო თვითმფრინავი „ტუ-134“, რომელიც ასრულებდა რეისს — **„სოხუმი-ერევანი-გროზნო-სოხუმი“,** სწორედ ზაურ ხაინდრავას ძალისხმევით ჩაფრინდა სოხუმიდან გროზნოში და თითქოსდა ტვირთი ჩაიტანა. ამ რეისისთვის აფხაზეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენებმა — **ქარდავამ და წურწუმიამ** 22 ათასი მანეთი გადაიხადეს. 1992 წლის 15 იანვარს ამ თვითმფრინავმა ერევნიდან გროზნოში ზვიად გამსახურდია ჩაიყვანა, მაგრამ მანამდე მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრა სოხუმში **ბორჩა ბახიასა და ვლადისლავ არძინბას** შორის... ბახიამ არძინბას უთხრა — პრეზიდენტი სომხეთიდან სოხუმში უნდა ჩამოვიდესო! ამ წინადადებამ არძინბა საგონებელში ჩააგდო და განუცხადა — თუ ეს მოხდება, მაშინ სამხედრო საბჭოს შეიარაღებული ძალები სოხუმში შემოვლენ და ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებითო!

ცხადია, არძინბას უფლება არ ჰქონდა, საქართველოს პრეზიდენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება აეკრძალა, თუმცა, იმაზეც მიანიშნებდა, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. პარალელურად, 12 იანვარს გროზნოში **ჯოხარ დუდაევს** შეხვდნენ **მერაბ ჩუხუა, გივი ქობალია, ზაურ ლომაია და ნუგზარ მოლოდინაშვილი,** რათა ზვიად გამსახურდია სომხეთიდან დასავლეთ საქართველოში გადაფრენილიყო!

**— ანუ ზვიად გამსახურდიას არ უნდოდა ჩეჩნეთში ჩასვლა?**

— დიახ, შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ თავიდან არ იდგა საკითხი ზვიად გამსახურდიას პირდაპირ გროზნოში ჩაფრენის შესახებ. პრეზიდენტს საქართველოს დატოვება არ სურდა, მაგრამ, რაკი სოხუმში მისი ჩაფრენა ვერ მოხერხდა, ბოლოს ერთადერთი ვარიანტიღა რჩებოდა — ჩეჩნეთი! საქვეყნოდ ცნობილია, რომ დიდმა პატრიოტმა და საამაყო მამულიშვილმა, მფრინავმა **ზაურ ბედიამ,** რომელიც „ტუ-134“-ს მართავდა, 1992 წლის 15 იანვარს ზვიად გამსახურდია ერევნიდან გროზნოში ჩაიყვანა, სადაც მან 1993 წლის 24 სექტემბრამდე დაჰყო. თვითმფრინავი იმ დღესვე გამოემგზავრა სოხუმისკენ, სადაც მას მინვოდის თავზე ორი „სუ-27“ აედევნა და აიძულა, დაბალ სიმაღლეზე ეფრინა. აი, ასეთ სიტუაციაში, როცა როსტოვის სადისპეტჩეროდანაც კი კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ თვითმფრინავი დაესვა, ზაურ ბედიამ სასწაულებრივად მოახერხა საქართველოს საზღვრებში შემოსვლა და ღამით სოხუმში თვითმფრინავი უსაფრთხოდ დასვა. ზაურ ბედიას გარდა ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ: **ოთარ შენგელია, გალაქტიონ ნემსაძე, ვალოდია არუთინოვი...**

ამასობაში ხმა დაირხა, რომ ზვიად გამსახურდია სოხუმში ჩამოდიოდა...

## დაახლოებით 30 ათასმა კაცმა თვალის

## დახამხამებაში მოიყარა თავი სოხუმის აეროპორტში, რომელიც აფხაზეთის მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და აფხაზეთის ერთ-ერთმა

## ჩამბარებელმა გივი ლომინაძემ ჩააბნელა და შუქები გამოართვევინა, რათა თვითმფრინავს ორიენტაცია დაეკარგა, მინას დანარცხებოდა და ზვიადი მომკვდარიყო,

ანუ გივი ლომინაძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზე ხელი, ფაქტობრივად, მოწერილი ჰქონდა!

ქართველმა პატრიოტებმა — **ზვიად ნადარეიშვილმა, მურად გოგუამ** და სხვებმა, კასრებიდან ბენზინი გადმოღვარეს, აეროპორტის საფრენ ბილიკზე ცეცხლის ნიშნულები გააკეთეს და **ზაურ ბედიამ** თვითმფრინავი ასე დასვა. ბიზნესმენმა **გივი ქობალიამ,** რომელსაც ჩეჩნური ქუდი ეხურა და პალტო ეცვა, ბრწყინვალედ შეასრულა ზვიად გამსახურდიას როლი და ტრაპიდან ხელის ქნევით ხალხს მიესალმა, როგორც ზვიადი... თბილისში მოკალათებული პუტჩისტები საგონებელში ჩავარდნენ. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატები და თვით **არძინბაც** კი რამდენიმე დღის განმავლობაში გაგულისებული იყვნენ და **ბორჩა ბახიასთან** საუბარში საყვედურს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ის ბლოკავდა მათ შეხვედრას **ზვიად გამსახურდიასთან,** რომელიც თითქოსდა სტალინის აგარაკზე ცხოვრობდა. არადა, სინამდვილეში ზვიადი ამ დროს იყო ჩეჩნეთში... მოკლედ, ეს იყო გასაიდუმლოებული სპეცოპერაცია, რომლის შესახებაც ბევრმა არაფერი იცოდა... სხვათაშორის, **გივი ქობალიას** ჩეჩნურმა ქუდმა, რომელიც სოხუმის აეროპორტში ეხურა, ეკლესიაში მოკალათებულ ბევრ უსინდისოსა და უზნეოს საღერღელი აუშალა, უკადრებელი ეკადრა და გამოეცხადებინა, რომ თითქოს ზვიად გამსახურდიამ ისლამი მიიღო!

**— თბილისშიც არ იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი სპექტაკლი იყო?**

— არ იცოდნენ, რადგან სამხედრო საბჭოს ერთგულმა ძაღლმა, ტელედიქტორმა **ციური ბაჯელიძემ,** რომელიც დღეს, თუ არ ვცდები, ამერიკაშია გადახვეწილი, მაშინდელ საინფორმაციო პროგრამა „მაცნეში“ ხმის კანკალითა და ლამის ტირილით გამოაცხადა — **ზვიად გამსახურდია სოხუმში ჩამოფრინდაო!** სხვათაშორის, **ზაურ ბედია** რამდენჯერმე შეხვდა **ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევს** და დღემდე დარწმუნებით აცხადებს, რომ პრეზიდენტი სამშობლოში დაბრუნებაზე დევნილობის პირველივე წუთიდან ფიქრობდა. გულახდილად რომ ვთქვათ, ზვიად გამსახურდიას გროზნოში წასვლა და დარჩენა არ სურდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა!

**— მავანი აცხადებს, რომ 1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია გურამ აბსანძემ და სხვა პირებმა გროზნოდან საქართველოში მოტყუებით ჩამოიყვანეს. რამდენად სამართლიანია ეს ბრალდება?**

— მე და **გურამ აბსანძე** სახელმწიფო კანცელარიის შენობაში ერთ სართულზე ვმუშაობდით და ამ საკითხებზე ბევრჯერ გვისაუბრია... იცით, რა მოხდა სამეგრელოში, როცა პრეზიდენტს, შევარდნაძის ბრძანებით, ფეხდაფეხ დასდევდნენ? ყველამ თავისი თავის გადარჩენაზე დაიწყო ფიქრი, რათა ქუჩის მათხოვრებად და ბომჟებად არ დარჩენილიყვნენ. არადა, ზვიად გამსახურდია საქართველოში დაბრუნებას გამუდმებით ლამობდა. სხვათაშორის, ეს იყო მესამე შედეგიანი ცდა, თორემ მანამდე პრეზიდენტმა ორჯერ უშედეგოდ სცადა საქართველოში ჩამოსვლა. რაც შეეხება 1993 წლის 24 სექტემბერს, როცა ის გროზნოდან სენაკის აეროპორტში ჩამოფრინდა, ამ საკითხზე მისაუბრია თუნდაც იმავე **ზაურ ბედიასთან,** რომელიც ახლაც აცხადებს, რომ იმ პერიოდში საქართველოში ზვიადის ჩამოსვლა არ შეიძლებოდა! ის ფიქრობს, რომ ეს იყო შევარდნაძის მიერ მოფიქრებული ხრიკი, რაშიც ნაწილობრივ ვეთანხმები!

**— შევარდნაძეს 1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნება რაში აწყობდა?**

— როცა აფხაზეთს აბარებდა და სოხუმი უკანასკნელ საათებს ითვლიდა, შევარდნაძემ გადაწყვიტა, აფხაზეთის დაკარგვა ზვიად გამსახურდიასთვის დაებრალებინა და ყველაფერი გააკეთა, რათა 1993 წლის 24 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე სამი დღით ადრე, იგი გროზნოდან საქართველოში ჩამოსულიყო! გავიხსენოთ დაცემული და ჩაბარებული სოხუმიდან თბილისში დაბრუნებული შევარდნაძე, რომელსაც ტაშით შეხვდნენ. ტაშს სწორედ იმ ზვიადის პირადი მტრები უკრავდნენ, რომელიც გროზნოდან სენაკის აეროპორტში ჩამოფრინდა... როგორც ჩანს, შევარდნაძემ ესეც კი გათვალა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




*გივი ლომინაძე და ედუარდ შევარდნაძე*

## ქვირგვინოსნები

**დემნა გვასალია**
*დიზაინერი*



სხვების ჩაცმაზე უფრო ბევრს ვფიქრობ, ვიდრე საკუთარზე. ჩემთვის მთავარია, კომფორტულად ვიყო. **ძალიან მიყვარს ძველი ტანსაცმელი და, ზოგადად, ძველებური რაღაცები.** 2021 წელს პარიზში „სუპერ პრესტიჟულ“ რესტორანში, სადაც მდიდარი ხალხი სმოკინგებით დადის, ჩემი შეშვება არ უნდოდათ, მაგრამ, **როცა გაიგეს, რომ შიგნით ჩამოკიდებული მიქელანჯელოს შეძენაც შემიძლია, უცებ საპატიო სტუმარი გავხდი.** სოციუმი იმდენად დაცემულია, რომ ჩაცმულობით განგსჯიან, შეგიძლია თუ არ „პრესტიჟულ“ რესტორანში ივახშმო.

„ახალი თაობა“

**გიორგი კეკელიძე**
*საზოგადოება „ბანკები და [illegible]*



არ გავხსნათ საეჭვო ბმულები! **თუ რომელიმე ონლაინბანკის გვერდზე გთავაზობენ შესვლას, დააკვირდით ბოქლომს, ის დახურული უნდა იყოს.** საერთოდ, ჯობს, ჩვენ თვითონ ავკრიფოთ სახელწოდება და **არ გადავიდეთ შემოთავაზებულ ბმულზე.** არ გავცეთ პირადი ინფორმაცია, რამდენადაც სანდოდ არ უნდა გვეჩვენებოდეს შემოთავაზება! **ფულს ვერ მოგპარავენ, თუ ბარათის ნომერს არ მიაწვდით.** სმს-კოდებიც, რომლებიც მოგვივა ვერიფიკაციისთვის, არავითარ შემთხვევაში არავის არ უნდა მივაწოდოთ!

„ქვირის პალიტრა“

**გიორგი აბესაძე**
*პოეტი*



თუ ვინმე იტყვის, რომ **არაფერს ვაკეთებთ** რამის შესაცვლელად, ვუპასუხებ — არ ვიცი, რა არის **„არაფრის კეთება“.** ის, რომ საქართველო დაუსრულებელი აქცია გახდა, სადაც დროშებს არ ვაფრიალებ, მაშინ ვუპასუხებ, დიახ — **არაფერს ვაკეთებ-მეთქი.** სინამდვილეში, ყოველდღე დილის 7 საათზე ვიღვიძებ და **იმისთვის, რომ ჩემმა შვილებმა იმაზე უკეთ იცხოვრონ, ვიდრე მე ვცხოვრობდი, კატორღული შრომა მიწევს.**

„ქვირის პალიტრა“



# მსხვილი ნაწლავის კიბო ბუასილში არ უნდა აგვერიოს!

## კახა საბახტარიშვილი:

## ბუასილსა და სწორი ნაწლავის კიბოს შესაძლოა, ტყუპი დაავადებები ვუწოდოთ!

***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი კაცობრიობის მოურჩენელი სენის — კიბოს წარმოშობისა და სპეციფიკის შესახებ საგაზეთო საუბარს აგრძელებს და მიიჩნევს, რომ სიმსივნის დროულად გამოცნობა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მყარი საფუძველია:***

— სიმსივნეებს შორის სივერაგის ნიშნით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული **მსხვილი ნაწლავის სიმსივნეა.** ამას განაპირობებს არამხოლოდ ის სტატისტიკა, რომ წელიწადში მსოფლიოში დაახლოებით 10 მილიონზე მეტი ადამიანი სწორედ მსხვილი ნაწლავის კიბოთი იღუპება, არამედ ამ დაავადების უაღრესად საშიში თავისებურება. საქმე ის გახლავთ, რომ **მსხვილი ნაწლავის სიმსივნე შესაძლოა, 15-20 წლის განმავლობაშიც კი მიმდინარეობდეს, მაგრამ ყოველგვარი სიმპტომის გარეშე,** ხოლო, როდესაც ადამიანი რაღაც დისკომფორტს იგრძნობს და ექიმს მიაკითხავს, დაავადება უკვე იმდენად საშიშ სტადიაშია, მკურნალობას, ფაქტობრივად, აღარ ექვემდებარება!

**— რა არის წლების განმავლობაში მსხვილი ნაწლავის კიბოს უსიმპტომოდ მიმდინარეობის მიზეზი?**

— ყველაფერი მსხვილ ნაწლავში პოლიპების გაჩენით იწყება, რომლებიც პაციენტს დისკომფორტს არ უქმნის და შესაძლოა, მსხვილი ნაწლავის ინსტრუმენტალური დათვალიერების დროს სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც აღმოაჩნდეს. რაკი საქართველოში არ არსებობს იმის კულტურა, რომ 40-50 წლის შემდეგ **კოლონოსკოპია,** ანუ მსხვილი ნაწლავის დათვალიერება წელიწადში ერთხელ ყველამ უნდა ჩაიტაროს, ბუნებრივია, პოლიპები, რომლებიც შესაძლოა, მსხვილ ნაწლავში ჰქონდეს, დროულად ვერ იქნება აღმოჩენილი და მოცილებული. სწორედ ამის გამო დროთა განმავლობაში ისინი აუცილებლად გადაიზრდება სიმსივნეში. ზოგიერთს პოლიპი კიბოდ 5 წელიწადში გადაექცევა, ზოგს — ათში, ზოგს კი ამისათვის 15-20 წელი სჭირდება. ეს დამოკიდებულია ორგანიზმის იმუნიტეტზე... პოლიპი განიცდის დაწყლულებას და როცა განავალში პირველი სისხლი გამოჩნდება, შესაძლოა, უკვე საქმე გვქონდეს სწორი ნაწლავის შორსწასულ კიბოსთან.

**— სისხლდენას ბუასილიც იწვევს და როგორ უნდა გავარჩიოთ — საქმე სწორი ნაწლავის კიბოსთან გვაქვს თუ ბუასილთან?**

— ბუასილსა და სწორი ნაწლავის კიბოს შესაძლოა, ტყუპი დაავადებები ვუწოდოთ! მათი საერთო ნიშნებია:

*1. კუჭის მოქმედების შემდეგ ფეკალურ მასაში სისხლი; 2. პენეზმები, ანუ კუჭში გასვლის ხშირი მოთხოვნილება ანდა პირიქით — ძლიერი შეკრულობა; 3. კუჭის მოქმედების შემდეგ ნაწლავის არასრული დაცლის შეგრძნება; 4. უცხო სხეულის შეგრძნება სწორ ნაწლავში; 5. სისხლნაკლებობა, ანუ ანემია; 6. განავალში ლორწო.*

მიუხედავად იმისა, რომ ბუასილსა და სწორი ნაწლავის კიბოს შორის ამდენი მსგავსებაა, განსხვავებაც თვალში საცემია. კერძოდ, ბუასილის დროს სისხლი ღია ალისფერია, რადგან ბუასილის კვანძები, სულ რაღაც, 2-3 სანტიმეტრით არის დაშორებული უკანა ტანიდან, ხოლო სწორი ნაწლავისა და, საერთოდ, მსხვილი ნაწლავების კიბოს დროს სისხლი მუქია, რადგან ის უფრო შორი მანძილიდან მოდის, გზაში იჟანგება და ფერს იცვლის.

ბუასილის დროს სისხლდენა უფრო დეფეკაციის პროცესის შემდეგ იწყება, ხოლო კიბოს შემთხვევაში სისხლდენა მცირე გაჭინთვასაც კი სდევს. როგორც ბუასილის, ისე სწორი ნაწლავის კიბოს დროს ორგანიზმი სისხლს კარგავს, მაგრამ სიმსივნის შემთხვევაში ანემია ბევრად უფრო ძლიერად არის გამოხატული და, რაც მთავარია, ახლავს სისუსტე და წონის არამოტივირებული კარგვა. არცერთი ეს ნიშანი ბუასილისთვის დამახასიათებელი არ არის! **ნებისმიერ შემთხვევაში გვახსოვდეს: განავალში სისხლი გამოჩნდება თუ არა, მაშინვე უნდა მივმართოთ ექიმს!**

შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ ადამიანს მსხვილი ნაწლავის კიბო ჰქონდეს და განავალში სისხლი ვერ შენიშნოს. როგორც წესი, ეს მაშინ ხდება, როცა სიმსივნური ქსოვილი მცირე ზომისაა და მსხვილი ნაწლავის ზედა ნაწილშია ლოკალიზებული. ყველა საეჭვო შემთხვევაში, განავალში სისხლს ვნახავთ თუ არა, ფარულ სისხლდენაზე ტესტი უნდა ჩავიტაროთ! თუმცა, ისევ და ისევ ვიმეორებ: **მსხვილი ნაწლავის კიბოს გამოსარიცხად ყველაზე უტყუარი მაინც კოლონოსკოპიაა!**

**— არსებობს თუ არა ბრმა ნაწლავის კიბო?**

— ბრმა ნაწლავის კიბო არსებობს და ის მსხვილი ნაწლავის კიბოებს შორის 20 პროცენტს იკავებს! გამოთქმა — **„ბრმა ნაწლავმა შეტევა მომცა და ამოვიჭერი!“** — აბსურდია... ბრმა ნაწლავი მსხვილი ნაწლავის დასაწყისია. იქვე არსებობს **ჭიანაწლავი,** რომელსაც **აპენდიქსი** ეწოდება. იგი საჭმლის მონელებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, მაგრამ, როდესაც მისი ანთება იწყება, სწორედ მას ამოჭრიან ხოლმე.

ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით, რომელიც შესაძლოა, ბევრმა არ იცის... დიდი ხნის განმავლობაში აპენდიქსის როლის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ და რუდიმენტად, ანუ უსარგებლო ორგანოდ მიაჩნდათ. უფრო მეტიც, 1903 წელს უდიდესმა რუსმა ფიზიოლოგმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა **ილია მეჩნიკოვმა** გამოაქვეყნა ნაშრომი **„ეტიუდები ადამიანის ბუნების შესახებ“.** რადგან მსხვილი ნაწლავის ფუნქციები მაშინ ჯერ კიდევ შეუსწავლელი გახლდათ, მეჩნიკოვმა მიიჩნია, რომ მსხვილი ნაწლავი საერთოდ უსარგებლო რუდიმენტი იყო, მასში მხოლოდ დუღილის პროცესები მიმდინარეობდა და ადამიანის დაბერებას აჩქარებდა.

**ილია მეჩნიკოვი** ქირურგებს მოუწოდებდა, მსხვილი ნაწლავი ამოეჭრათ, ხოლო ეს იდეა ოცი წლის შემდეგ ინგლისელმა ქირურგმა **უილიამ ლეინმა** აიტაცა და ათასზე მეტ ადამიანს მსხვილი ნაწლავი ამოაჭრა. **ბევრი ფიქრობდა, რომ მსხვილი ნაწლავის ამოჭრით გაახალგაზრდავდებოდა და კიბოს პროფილაქტიკასაც მოახდენდა, ამიტომ ადამიანები რიგში ეწერებოდნენ...** დრომ აჩვენა ამ თეორიის აბსურდულობა, თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდეც კი ახალდაბადებულ ჩვილს აპენდიქსს აჭრიდნენ. ეს პრაქტიკა იაპონიაშიც დანერგეს, ოღონდ ოპერაციას 3 წლამდე ასაკის ბავშვებს უკეთებდნენ. **მხოლოდ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დამტკიცდა, რომ აპენდიქსი არანაირი რუდიმენტული და უსარგებლო ორგანო არ არის.** ჭიანაწლავში, ანუ აპენდიქსში დიდი რაოდენობით ლიმფური ქსოვილებია, ის, პრაქტიკულად, **მეორე „გლანდი“, ანუ ნუშურა ჯირკვალია,** სადაც გამომუშავებული იმუნური უჯრედები, ანუ ლიმფოციტები ნებისმიერ ინფექციურ აგენტს და სიმსივნურ უჯრედებს ებრძვიან. ასე რომ, **ე.წ. ბრმა ნაწლავის ამოჭრით იმუნიტეტს ვაქვეითებთ და კიბოს საწინააღმდეგო დაცვას ვამცირებთ!** მართალია, აპენდიციტის დროს ჭიანაწლავის მოცილება აუცილებელი ხდება და ადამიანი გამოჯანმრთელდება, მაგრამ მისი იმუნური სისტემა ქვეითდება.



ნობელის პრემიის ლაურეატი, რუსი ფიზიოლოგი ილია მეჩნიკოვი

> **„მეჩნიკოვმა მიიჩნია, რომ მსხვილი ნაწლავი საერთოდ უსარგებლო რუდიმენტი იყო, მასში მხოლოდ დუღილის პროცესები მიმდინარეობდა და ადამიანის დაბერებას აჩქარებდა!“**

**— რამდენად მნიშვნელოვანია სწორი კვება კიბოს პროფილაქტიკის მიზნით და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მსხვილი ნაწლავის კიბოს თავიდან ასაცილებლად?**

— უკვე დამტკიცებულად ითვლება, რომ,

**ვინც წითელი ხორცით სისტემატურად იკვებება, სოსისს, ძეხვეულსა და შებოლილ ხორც-პროდუქტებს ხშირად მიირთმევს, ხოლო უხეში ბოჭკოებით მდიდარ მწვანილს იშვიათად ეკარება, დიდი ალბათობით, მსხვილი ნაწლავის კიბოს რისკ-ჯგუფშია!**

შემთხვევითი არ არის, რომ **ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში მართალია, ზემოხსენებულ წითელ ხორცსა და მისგან წარმოებულ პროდუქტებს ხშირად მიირთმევენ, მაგრამ ამავდროულად დღეში მინიმუმ 1,5 კილოგრამ მწვანილსაც ჭამენ.** არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ ქვეყნებში სუფრა **ზეითუნის ზეთისა და ძმრის გარეშე** წარმოუდგენელია. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ **„კარდიომაგნილის“** მოხმარება მსხვილი ნაწლავის სიმსივნისგან 60 პროცენტით გვიცავს!

**— სად გულის ცნობილი პრეპარატი „კარდიომაგნილი“ და სად მსხვილი ნაწლავის კიბო?**

— სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხზე ჯერჯერობით მეცნიერული კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა, ჩემი პირადი მოსაზრებით, რაკი პოლიპი ყოველთვის ტუტე გარემოში ვითარდება, „კარდიომაგნილში“ შემავალი აცეტილსალიცილის მჟავა და მაგნიუმი მას ჩამოყალიბების საშუალებას არ აძლევს. ეს თუნდაც იმ ფაქტითაც მტკიცდება, რომ ჰომეოპათიურ მედიცინაში თითქმის ორასი წელიწადია, პოლიპების საწინააღმდეგოდ გამოიყენება ჰომეოპათიური წესით დამზადებული აზოტმჟავას ნიტრატი, რომლითაც ჩემს პრაქტიკაში უამრავი პოლიპი გამინადგურებია. პოლიპების დაუძინებელი მტერია ჰომეოპათიური წესით მომზადებული მცენარე **ტუიაც.**

**— არაერთგზის გვითქვამს, რომ ღვიძლი ერთადერთი**




> **„ე.წ. ბრმა ნაწლავის ამოჭრით იმუნიტეტს ვაქვეითებთ და კიბოს საწინააღმდეგო დაცვას ვამცირებთ!“**




# „კარდიომაგნილის“ მოხმარება მსხვილი ნაწლავის სიმსივნისგან 60 პროცენტით გვიცავს!“

**ორგანოა, რომელსაც რეგენერაციის, ანუ განახლების უნარი აქვს და მისი ერთი მერვედი ნაწილიც რომ გადარჩეს, თავს აღიდგენს. რატომ ემართება ასეთ სიცოცხლისუნარიან ორგანოს კიბო?**

— ღვიძლის განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობის შესახებ ჯერ კიდევ ამირანის მითიდან არის ცნობილი. მოგეხსენებათ, ამირანი ღმერთმა კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვა და ღვიძლს ყოველდღე ყვავ-ყორანი უკორტნიდა... ღვიძლს 500 ფუნქცია აქვს და ყოველ ერთ წუთში მასში ერთდროულად რამდენიმე მილიონი ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს. **ღვიძლის კიბო იმით არის საშიში, რომ მსხვილი ნაწლავისა და ფილტვის კიბოს მსგავსად, ფაქტობრივად, უმტკივნეულოდ მიმდინარეობს, რადგან ღვიძლს ტკივილის უნარი არა აქვს.** თუ ღვიძლის არეში ტკივილი დაიწყო, მაშინ ღვიძლის დაზიანების პროცესი შორსწასულია.

ღვიძლის კიბოს წინარე სტადია ღვიძლის ანთებითი პროცესი, ანუ ჰეპატიტია, რომელიც სხვადასხვა ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული, მაგრამ უმთავრესი B და C ჰეპატიტის ვირუსია. ისინი აზიანებენ ღვიძლის ქსოვილს და იწვევენ ქრონიკულ ანთებას. ამის შედეგად ღვიძლის უჯრედები, ანუ ჰეპატოციტები გადაგვარდება, წარმოიქმნება უხეში, ფიბროზული ქსოვილი, რის შედეგადაც შესაძლოა, განვითარდეს ღვიძლის ციროზი, რომლის ღვიძლის კიბოში გადაზრდის ალბათობა ძალიან მაღალია.

საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის, ანუ მოსპობის პროგრამის ამოქმედებით დღევანდელმა ხელისუფლებამ გააკეთა საშვილიშვილო საქმე და უცილობელი სიკვდილისგან იხსნა ათეულათასობით ადამიანი. უახლოეს მომავალში საქართველოში C ჰეპატიტი საბოლოოდ დამარცხდება. თუმცა, ბევრი, ვინც ამ პროგრამით განიკურნა, არასწორად მიიჩნევს, რომ ვირუსის დამარცხების კვალდაკვალ, სრულიად ჯანმრთელია და აღარაფერი ემუქრება. **გვახსოვდეს — C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამამ და იმ ძვირადღირებულმა მკურნალობამ მართალია, საშიში ვირუსი მოსპო, მაგრამ, რაც ვირუსმა ღვიძლში უკვე შეუქცევადად დააზიანა, მასზე ეს მკურნალობა არ მოქმედებს! აქედან გამომდინარე, ყველა, ვინც C ჰეპატიტი დაამარცხა, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს, რათა ღვიძლის ციროზის ან კიბოს საწყისი ნიშნები არ გამოეპაროს!**

**— მაინც რაში გამოიხატება ღვიძლის კიბოს ნაადრევი ნიშნები?**

— ეს ძალიან ვრცელი თემაა და ამის შესახებ მომდევნო ინტერვიუში ვისაუბროთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## «ვინც C ჰეპატიტი დაამარცხა, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს, რათა ღვიძლის ციროზის ან კიბოს საწყისი ნიშნები არ გამოეპაროს!»



# კობა კუსიანი: ჯანმოს სესიაზე ახალი პანდემია დაგვიანონსეს!



***ჯერ ბოლომდე არ მიყუჩებულა კოვიდპანდემიის ისტერია, ბოლომდე არ განელებულა მოსახლეობის გაბრიყვებით გამოწვეული რისხვა იმის გამო, რომ ადამიანებს ორგანიზმში „ვაქცინად“ წოდებული ექსპერიმენტული სითხის შეშხაპუნებას აიძულებდნენ და აი, სულ ახლახან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) ახალი პანდემიის გავრცელება დააანონსა. თანაც, „ივარაუდეს“, რომ ის კიდევ უფრო მეტად მომაკვდინებელი იქნება, ვიდრე „კოვიდ-19“. რასთან გვაქვს საქმე — რეალურ საფრთხესთან თუ მორიგ აფერასთან? ვესაუბრებით იურისტსა და უფლებადამცველს, ამერიკის ბიოლაბორატორიებისა და ბიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ მოძრაობა „ანტილაბ-საქართველოს“ დამფუძნებელს კობა კუსიანს:***

— მიმდინარე წლის 22 მაისს ჟენევაში ჯანმოს 75-ე ასამბლეის სესია გაიმართა. სესიაზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მმართველმა ორგანომ განსაზღვრა როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური ორწლიანი გეგმა. ჯანმოს დირექტორმა **ტედროს ადანომ გებრეიესუსმა** განაცხადა ახალი პანდემიის საფრთხის შესახებ. ეს უკვე იწვევს საფუძვლიან ეჭვებს, რადგან რატომღაც მათ წინასწარ „იციან“ ყველაფერი, ორწლიანი გეგმაც უკვე შემუშავებული აქვთ და ფინანსებიც გამოყოფილია!

**— საიდან შეიძლება წინასწარ იცოდნენ, სად და როგორი პროცენტით გავრცელდება ვირუსი?**

— უფრო მეტსაც მოგახსენებთ: ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში წავაწყდი ინფორმაციას, რომ **კორონავირუსის პანდემია ჯერ კიდევ 1981 წელს იწინასწარმეტყველეს, ანუ თითქმის 40 წლით ადრე, ვიდრე კაცობრიობას თავს მოახვევდნენ.** გამოდის, ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და საბოლოოდ სისრულეში მოიყვანეს. **დინ კუნცის** კალამს ეკუთვნის რომანი The Eyes of Darkness, რომელიც ითარგმნება ამგვარად — **„ბნელეთის თვალები“.** ამ თრილერში მოგვითხრობენ ადამიანის მიერ ჩინეთის ქალაქ ვუჰანში შექმნილ სასიკვდილო ვირუსზე, სწორედ იმ ვუჰანში, საიდანაც რეალურად გავრცელდა კორონაპანდემია. საინტერესო წინასწარმეტყველებაა, ალბათ, დამეთანხმებით!

**— თქვენი აზრით, ეს დამთხვევა შემთხვევითი არ არის?**

— ეს არათუ დამთხვევაა, არამედ გახლავთ მოსახლეობის შემცირების, უფრო სწორად, პლანეტის მოსახლეობის ნაწილის განადგურების მიზნით **ანგლოსაქსური მსოფლიო მთავრობის მიერ შეგნებულად და მიზანმიმართულად შემუშავებული გეგმა,** რომელიც საზოგადოებამდე მათივე აგენტურას მიაქვს. ბიოლოგიური ომი ხომ ბევრად ეფექტურია ატომურ ომთან შედარებით, რადგან მსხვერპლი გაცილებით მეტია, ხოლო ბიოლოგიური იარაღის გამომყენებელი საიმედოდ შე-




ნიღბული რჩება.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: ამერიკელმა ექსტრასენსმა **სილვია ბრაუნმა** კორონაპანდემიის აფეთქება ჯერ კიდევ 2008 წელს დაწერილ თავის წიგნში **„დღეთა დასასრული“** იწინასწარმეტყველა. **ექსტრასენსი 12 წლით ადრე წერდა პნევმონიის მსგავს გლობალურ პანდემიაზე, რომელიც გავრცელდებოდა 2020 წელს...** ეს ყველაფერი გლობალური შეთქმულების ნაწილია და ადამიანების დასტრესვას, მოსახლეობაში პანიკის დათესვას ემსახურება.

მართლაც, როდესაც „კოვიდ-19“-ის პანდემიის სტატისტიკურ რეალურ მონაცემებს გადავხედე, აღმოჩნდა, რომ დაღუპულთა ოფიციალური რაოდენობა არ აღემატებოდა 7 მილიონს, რა ციფრიც მნიშვნელოვნად ნაკლებია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ შესაბამის მაჩვენებელზე, სადაც პანდემიის მსხვერპლად **20 მილიონი (!) ადამიანია** მითითებული! მსოფლიოში ფინანსური კრიზისი და ომები მძვინვარებს. ამას ემატება სასურსათო კრიზისი, ბუნებრივი კატაკლიზმები, რაც დამანგრევლად მოქმედებს ადამიანების ფსიქოლოგიაზე. ახლა უკვე ახალ პანდემიას გვიანონსებენ... გაუძლებენ კი ამ ყველაფერს ადამიანები?!

**— იქნებ ვაქცინაცია მართლაც გამოსავალი იყო პანდემიის შესაჩერებლად? მოსახლეობის ნაწილი ხომ ნებაყოფილობით აიცრა და გამორიცხავთ, რომ სწორედ ამის გამო ჩაქრა პანდემია?**

— შედეგით ვიმსჯელოთ —

### რაც პანდემია შეწყდა, არავის გამოუცხადებია კორონავირუსით გარდაცვლილთა სტატისტიკური მონაცემები. თანაც, როგორც კი უკრაინაში ომი დაიწყო, პანდემია ისე ანაზდად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

ეს ჩვენი „სამი მუშკეტერიც“ შეთქმულებივით დუმან, არადა, ხომ გახსოვთ, სხვადასხვა ტელევიზიით ყოველდღიურად როგორ გვამცნობდნენ დაღუპულთა რაოდენობას; ან, თუნდაც, საეჭვოდ არ მიგაჩნიათ **ამირან გამყრელიძის** გადადგომა? ის არ იყო, ქუჩა-ქუჩა, სოფელ-სოფელ რომ დადიოდა და ამ ფაიზერის ვაქცინას „ტენიდა“ ხალხს... **ვინმემ გააკონტროლა, რა შედეგები მოჰყვა ამ კამპანიას? არადა, ფაიზერით აცრის გარეშე მგზავრებს თვითმფრინავის ბორტზე არ უშვებდნენ!**

**— მოსახლეობის ნაწილი ნებაყოფილობით აიცრა, მაგრამ დიდი ნაწილი აცრის გადაწყვეტილებამდე შანტაჟითა და სანქციების შიშით მიიყვანეს — რასაც დღეს ძალიან მწარედ ნანობს!**

— ვინ მოთვლის, რამდენმა უარი განაცხადა მაშინ ვაქცინაციაზე და, სამსახურის დატოვებაც კი მოუწია ამის გამო... განა ეს ყველაფერი არ არის მიმანიშნებელი და საბაბი სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად?

### დღეს უკვე ცნობილია, მსოფლიოს მასშტაბით ფაიზერით ვაქცინაციის ნეგატიური შედეგები. არა მარტო ფაიზერი, საქართველოში შემოტანილი ყველა ვაქცინა იყო ექსპერიმენტული, ადამიანები კი არ იცრებოდნენ, არამედ, პრაქტიკულად, ექსპერიმენტში იღებდნენ მონაწილეობას, რომლის მოსალოდნელი შედეგი წინასწარ არავინ იცოდა!

**იმასაც კი უმალავდნენ ადამიანებს, რომ ექსპერიმენტში მონაწილეობა ნებაყოფილობითია, ბოლოს კი ფინანსური სარგებელიც დაუწესეს აცრის სანაცვლოდ და ამ ანკესს, სამწუხაროდ, მრავალი ადამიანი წამოეგო!** იმედია, კაცობრიობა ამჯერად მაინც აუღებს ალღოს მოვლენებს და საერთაშორისო თაღლითებს ახალი აფერის განხორციელების საშუალებას არ მისცემს!




**„ამერიკელმა ექსტრასენსმა სილვია ბრაუნმა კორონაპანდემიის აფეთქება ჯერ კიდევ 2008 წელს დაწერილ თავის წიგნში „დღეთა დასასრული“ იწინასწარმეტყველა!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!




რეპორტაჟი პოლიტიკის ხუხულიდან

დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-24

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.***



## გია ხუხაშვილი: შემატყობინეს, ბადრი პატარკაციშვილი აპირებს შენს ლიკვიდაციასო!

**გია ხუხაშვილი** ძალიან კმაყოფილი იყო, რომ 2007 წლის 2 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე ჩატარებულ მრავალათასიან საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, **ბადრი პატარკაციშვილი** მეორე დღესვე გაემგზავრა საქართველოდან — თავი აარიდა გამწარებული სააკაშვილის ხელისუფლების გარდაუვალ შურისძიებასო!

მემუარისტი იხსენებს, რომ რამდენიმე დღეში **ბადრი პატარკაციშვილი** დაუკავშირდა და უთხრა — ისრაელში ვარ, ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ეილათში და იქნებ ჩამოხვიდეო! ხუხაშვილიც 6 ნოემბერს გაფრინდა ეილათში:

***„ამ, შეიძლება ითქვას, ზღაპრულ კურორტზე ჩავედი, ჩემთვის დაჯავშნილ ნომერში მოვეწყვე, თავი მოვიწესრიგე, გავარკვიე, რომელ პენტჰაუზში იყო ბადრი და მისკენ გავემართე. მისი რეზიდენციის მიგნება არ გამჭირვებია, რადგან დერეფნის ბოლოს შორიდანვე მოვკარი თვალი ორ, სავარაუდოდ, ადგილობრივ ახალგაზრდა დაცვის თანამშრომელს, რომლებიც კართან იდგნენ. იქვე, დერეფანში, შევამჩნიე შუახნის, სანდომიანი, საკურორტოდ გამოწყობილი მამაკაცი, რომელმაც კეთილი სახით გამიღიმა, მაგრამ, როგორც კი ჩავუარე, ფოტოაპარატი მოიმარჯვა და დაიწყო ინტენსიურად ჩაჩხაკუნება. ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ ბადრის ნომერში არ შევედი და კარი არ მიიხურა. სავარაუდოდ, ეს ფოტომასალა იმავე დღეს ჰქონდათ ქართულ სპეცსამსახურებს.***

***ნომერში კიდევ ერთი მოულოდნელობა დამხვდა — იქ ბადრისთან ერთად იყო ბორის ბერეზოვსკიც“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 78).*

სამწუხაროდ, **ხუხაშვილი** ამის შემდეგ ერთი სიტყვითაც არ ახსენებს, რაზე ბჭობდნენ **პატარკაციშვილი და ბერეზოვსკი.** მემუარისტი მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ბადრისთან ერთად ეილათში იმყოფებოდა **პუტინის** მიერ დევნილი **ბორის ბერეზოვსკიც,** რომელიც მაშინ ლონდონში იყო დაფუძნებული და, ალბათ, სწორედ იქიდან ჩამოვიდა... ასე დადგა ავადსახსენებელი 7 ნოემბერიც!

მემუარისტი იხსენებს, როგორ მძიმედ განიცადა ხალხის იმდღევანდელი დარბევა ჯერ რუსთაველის გამზირზე, შემდეგ — რიყეზე, საღამოს კი — „ტელეიმედზე“ შტურმი...

**ხუხაშვილის გადმოცემით, ის დაუკავშირდა მეუღლეს თბილისში და გააფრთხილა, სახლიდან არ გასულიყო გარეთ და თინეიჯერი შვილიც არსად გაეშვა! მეუღლემაც, თავის მხრივ, სთხოვა, ჯერჯერობით არ დაბრუნებულიყო საქართველოში, რადგან დარწმუნებული იყო, რომ აქ დააპატიმრებდნენ.**

რაც შეეხება **პატარკაციშვილს,** მემუარისტი ასე აღწერს მის რეაქციებს:

***„ბადრი ძალიან დაძაბული და აღშფოთებული, მაგრამ მაქსიმალურად მობილიზებული იყო. იმ საღამოს საუბრებიდან ჩემთვის სრულიად აშკარა გახდა, რომ მისთვის რუბიკონი გადალახულია და საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, ღიად ჩაერთოს ქართულ პოლიტიკაში.***

***სასწრაფოდ დაიწყეს ბადრის თვითმფრინავის მომზადება და იმავე ღამით გავემგზავრეთ ლონდონში. ბადრიც მთხოვდა თვითმფრინავში, რომ საქართველოში არ დავბრუნებულიყავი და მასთან დავრჩენილიყავი. მე ვუპასუხე, რომ ვერ მივატოვებდი ოჯახს და მეგობრებს და მყარად მქონდა გადაწყვეტილი თბილისში დაბრუნება“*** *(იქვე, გვ. 80).*

**ხუხაშვილის** თქმით, ის 8 ნოემბერს დაბრუნდა ლონდონიდან თბილისში, ოღონდ ჯერ ბაქოში ჩაფრინდა, ასე ვთქვათ, კვალის ასარევად. თუმცა, მისდა გასაკვირად, თბილისის აეროპორტში ის არ დაუკავებიათ. თუმცა, მეორე დღეს, ანუ 9 ნოემბერს, სახლიდან გამოსვლისთანავე, სიურპრიზი მოუწყვეს:




ბორის ბერეზოვსკი და ბადრი პატარკაციშვილი

***„შინიდან გამოვედი და მანქანისკენ გავემართე. იმ დროს ჩვენი სახლი არ გვქონდა და ბინას ვქირაობდით ყიფშიძის ქუჩის დასაწყისში. მანქანა იქვე, ბენზინგასამართ სადგურთან მეყენა. როგორც კი მანქანას მივუახლოვდი, თავზე დამადგა შავ კოსტიუმებში გამოწყობილი ორი ბრგე ახალგაზრდა. გამომიწოდეს უწყება, მითხრეს, რომ გენერალურ პროკურატურაში ვიყავი დაბარებული დაკითხვაზე და მათ უნდა გავყოლოდი. უწყება ჩავიბარე და ვუთხარი, რომ თვითონ მივიდოდი, რაზეც კატეგორიული უარი მივიღე. მცირე შელაპარაკების შემდეგ ხელი მომკიდეს და ძალით, როგორც იტყვიან, „ჩამტენეს“ მანქანაში“*** *(იქვე, გვ. 82).*

პროკურატურაში **ხუხაშვილს** უთხრეს, რომ ის დაიკითხებოდა მოწმის სტატუსით, სახელმწიფო გადატრიალების მომზადების ბრალდებით აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე!

**ხუხაშვილმა** მოითხოვა სატელეფონო ზარი, რათა მეგობრებს დაკავშირებოდა და ადვოკატი აეყვანა. მეგობრები დაუკავშირდნენ **ეკა ბესელიას,** რომელმაც იტვირთა ხუხაშვილის ადვოკატობა...

მემუარისტი ასე იხსენებს დაკითხვის პროცესს:

***„ეს იყო ძალიან უცნაური დაკითხვის პროცესი — განყენებული კითხვებით და უსასრულო პაუზებით სავსე. საკუთრივ საქმესთან დაკავშირებით ჩვენების ტექსტი ორ-სამ გვერდს თუ შეადგენდა და ძირითადად იმას შეეხებოდა, თუ სად და როგორ გავიცანი ბადრი, რაზე ვსაუბრობდით და სად ვიმყოფებოდი ბოლო დღეების განმავლობაში...***

***სრულიად ცხადი ხდება, რომ დაკითხვას აბსოლუტურად ფორმალური ხასიათი აქვს და, უბრალოდ, დროს წელავენ, რადგან ელოდებიან ჩემს მომავალ ბედთან დაკავშირებით ვიღაც მესამე პირის გადაწყვეტილებას, რომელიც გარედან ადევნებს თვალს ამ პროცესს. უკვე კარგა გვარიანად მოსაღამოვებული იყო, როცა თავაზიანად გამომაცილეს, პროკურატურის ჭიშკართან შეკრებილი ჟურნალისტების დასანახად ჩამომართვეს ხელი და გამოვედი...“*** *(იქვე, გვ. 84).*

თუმცა, მეორე დღეს, 10 ნოემბერს, ქავთარაძის ქუჩაზე, ბაზრობაზე მისულ **ხუხაშვილს,** მისი თქმით, სამი მანქანით აედევნენ და ნამდვილი ტრილერი მოუწყვეს:

***„ერთი წინ ჩამიდგა, ერთი — გვერდით და ერთი — უკან და საკმაოდ ახლოს. აგრესიულად ამედევნენ. მე სახლისკენ გავემართე, თან გზიდან მეუღლეს დავურეკე, ავუხსენი საქმის ვითარება. ვუთხარი, რომ, თუ სახლამდე ვერ მივაღწიე, ე.ი. დამაპატიმრეს...***

***მელანო ქუჩაში იყო გამოსული და გარეთ მელოდებოდა. უბრალოდ, ისხდნენ მანქანებში და თვალს მადევნებდნენ“*** *(იქვე, გვ. 84).*

როგორც მემუარისტი ყვება, მან სახლში ვერ მოისვენა და სპეციალურად ჩავიდა იქვე, მაღაზიაში, რათა ეკითხა ადევნებულთათვის, რას ნიშნავდა მათი საქციელი:

***„მაღაზიაში ორი მათგანი შემომყვა. დაკვირვებით მადევნებდნენ თვალს, რას ვაკეთებდი, რას ვყიდულობდი. ერთ-ერთთან მივედი და ვკითხე, რა მიზნით დამყვებოდნენ და რა უნდოდათ. მიპასუხა, რომ მეშლებოდა და სინამდვილეში თავის საქმეზე იყო შემოსული...***

***დავურეკე პროკურატურის გამომძიებელს, რომელთანაც დაკითხვაზე ვიყავი. ვკითხე, რა ხდებოდა. მან მიპასუხა, რომ ჩემთან არავითარი პრეტენზია არა აქვთ და წარმოდგენა არა აქვს, რა ხდება“*** *(იქვე, გვ. 85).*

მემუარისტი იხსენებს, რომ ვითარების გასარკვევად დაუკავშირდა სააკაშვილის მმართველი პარტიის ერთ-ერთ დეპუტატს, რომელთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

ორი დღის შემდეგ ამ დეპუტატმა დაურეკა და მასთან სახლში მისვლა სთხოვა:

***„ძალიან მხიარულად შემხვდა. საერთოდ, კარგი ადამიანია და როდესაც რაიმე პრობლემას გადაუწყვეტს ვინმეს, ეს ეამაყება და ძალიან კმაყოფილია.***

***მეუბნება, რომ ესაუბრა გენერალური პროკურორის მოადგილეს და მან დაუდასტურა, რომ ჩემ მიმართ პრეტენზიები მოხსნილია და ყველაფერი კარგად არის...***

***მე ცოტა შევცბი, რადგან სულ სხვა რამეს ველოდი...***

***ვუთხარი, რომ ამის შესახებ ვიცოდი და პრობლემა სულ სხვა რამე იყო. გავახედე ეზოს გარეთ და დავანახე ჩემი „ესკორტი“..***

***აქ უკვე ის შეცბა, სახე შეეცვალა და სევდიანად ჩაილაპარაკა, რომ ახლა მასაც დაიბარებდნენ...***

***მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმის მაგივრად, რომ მე დავემშვიდებინე და გავერკვიე, თვითონ გახდა ჩემი დასაწყნარებელი...“*** *(იქვე, გვ. 86).*

ასე გრძელდებოდა კვირები:

***„მივხვდი, რომ აზრი არ ჰქონდა რაიმეს გარკვევის მცდელობებს და, რასაც ჰქვია, „დავწყნარდი“.***

***თუმცა, დროდადრო „მაწვდიდნენ ინფორმაციას“, რომ სპეცსამსახურები კი არ მითვალთვალებდნენ, არამედ მიცავდნენ, რადგან, მათი ინფორმაციით, ბადრი აპირებდა ჩემს ლიკვიდაციას, ხელისუფლებისთვის დაბრალებას და ამ ტალღაზე რაღაც პროცესის აგორებას“*** *(იქვე, გვ. 87).*

როგორც ხუხაშვილი ამბობს, მას ეს არც მაშინ და არც შემდგომში — არასოდეს დაუჯერებია!

თუმცა, ერთიც არის — სააკაშვილის პათოლოგიური რეჟიმის კანიბალიზმიდან გამომდინარე, არც ის იყო გამორიცხული, ხუხაშვილი მართლაც მოეკლათ და ეს სწორედ ბადრი პატარკაციშვილისათვის დაებრალებინათ — აი, მეგობარიც კი გაწირა ახალი საპროტესტო ტალღის ასაგორებლადო!

მითუმეტეს, 7 ნოემბრის რბევის შემდეგ სააკაშვილის გადადგომის კვალობაზე, ქვეყანა ისედაც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების აბსოლუტურად ისტერიული წინასაარჩევნო კამპანიისაგან იყო აძაგძაგებული.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



*2023 წლის 27 მაისს საგარეო საქმეთა სამინისტროში დიასპორის დღისადმი გამართულ შეხვედრაზე სალომე ზურაბიშვილმა პირიდან გველ-ბაყაყი კიდევ ერთხელ ამოუშვა, ყველანაირი ეტიკეტი უგულებელყო და ისევე, როგორც 26 მაისს, საქართველოს ხელისუფლება ლანძღა!*

# ორიოდე სიტყვა კაზლოვის „შეშლილის" თარგმნაზე და სალომე შეშლილის ნათქვამზედა

## თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის" ცუდად თარგმნის გამო საქართველოში დიდი ომი ატყდა... აატეხინებენ თუ არა საქართველოში ომს სალომე შეშლილს, მაგასაც ვნახავთ!

ამჯერად **„მადამ პლეზიდენტმა"** პროტოკოლის სამსახური ამოიღო მიზანში და ქოში უკუღმა ყარა — **როგორ გაბედა თავდაცვის მინისტრმა, რომ ჯერ პრემიერ-მინისტრს მიესალმა, ხოლო მერე — მეო!** ანუ **ჯუანშერ ბურჭულაძეს** პირველად ჩემთვის უნდა ეთქვა გამარჯობაო!

სალომემ თუ სამგლემ სიტყვასიტყვით ასეთი რამ განაცხადა — **„ეს არ არის, რომ მე ასე მინდა, სკამი იქ დამიდევ, კი აქ გადადექი, მე ჩაიჩოჩე, ჩამოიჩოჩე და ეს არ არის შეურაცხყოფა პრეზიდენტის, ეს არის დარღვევა პროტოკოლის!"**

ამის შემდეგ **ზურაბიშვილი** რუსეთში მცხოვრებ ქართველებს სწვდა და სიტყვაში ღვარძლი და სამსალა გაურია —

*„დღევანდელ დღეს ძნელი დასათვლელი არის თუ რიცხოვნად თუ რამდენს წარმოადგენს ჩვენი დიასპორა. ეგერ იყო ნათქვამი, რომ 1 მილიონი არის რუსეთი, აღარ არის 1 მილიონი რუსეთში, ეს კარგად ვიცით. დაახლოებით ნახევარ მილიონი თუ არის და ისენიც ნახევრად ქართველები, ნახევრად რუსები, მაგრამ ეს ათვლა ძალიან რთული არის..."*

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს მთავრობის პროტოკოლის სამსახურის უფროსს **დავით ზანთარიას** ძვირფასი დეიდაჩემის ეზო-კარიდან, არსენას ქუჩიდან ვიცნობ, როგორც ღირსეულ ოჯახიშვილს, განათლებულ და ვაჟკაც ახალგაზრდას, რომელიც ამ უსამართლო შენიშვნებს არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებს. რაც შეეხება **მადამ სალომეს** ჩიქორთულს, რომელსაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით, ეგვიპტური იეროგლიფების გამშიფრავი **ჟან ფრანსუა შამპოლიონიც** რომ გაცოცხლდეს, ისიც კი ვერ დაადგენს, სინამდვილეში რა ენაზე მეტყველებს **სალომე ზურაბიშვილი.** მიუხედავად ამისა, ჩვენმა ახალგაზრდა პრემიერმა შეუძლებელი შეძლო, ქალბატონი პრეზიდენტის მუცლის გვრემის მიზეზი ზუსტად გამოიცნო და ამ სამარცხვინო დედაკაცს, რომელიც ოცდაათი წელიწადია, საქართველოს მტრების სამსახურშია, საკადრისი პასუხი გასცა.

მართალია, **ირაკლი ღარიბაშვილის** გამოსვლის დროს **ზურაბიშვილი** დარბაზში აღარ იმყოფებოდა და როგორც ერთხელ ჟურნალისტების წინაშე თავად განაცხადა, იქიდან ადრიანად **„გააჯ...ა" (ცენზურა ჩვენია. რედ.)**, მაგრამ პრემიერ-მინისტრის პასუხი მართლაცდა ღირსეული იყო:

*„ძალიან უხერხული და შეურაცხმყოფელია ყოველგვარი საუბარი იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში დიასპორის რამდენი წარმომადგენელი ცხოვრობს. ჩემთვის შეურაცხმყოფელია, ჩვენს დიასპორას ვუწოდო ნახევრად რუსი, ნახევრად ქართველი და ასევე შეურაცხმყოფელი იქნებოდა, ალბათ, ქალბატონი პრეზიდენტისთვის, რომ მისთვის ეწოდებინა ვინმეს ნახევრად ფრანგი, როდესაც იგი ავირჩიეთ საქართველოს პრეზიდენტად!"*

ახლა მივუბრუნდეთ **„მადამ პლეზიდენტის"** ჩიქორთულს!

სულმნათი **ილია ჭავჭავაძე** ჯერ კიდევ 23 წლისა იყო, როცა 1861 წლის 5 ნოემბერს მუშაობა დაასრულა ცნობილ პუბლიცისტურ წერილზე — **„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის" თარგმნაზედა."** წერილის ბოლოში, სრულიად ახალგაზრდა ილიამ „თერგდალეულთა" ეროვნული პროგრამა ჩადო, რასაც საქართველოს ისტორიაში უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული პროცესი — **„მამათა და შვილთა ბრძოლა"** მოჰყვა.

თავდაპირველად სწორედ ამ წერილში გამოიკვეთა ილიასეული მაქსიმის ღვთაებრივი კონტურები — **„მამული, ენა და სარწმუნოება"**: ***„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას!"***

სწორედ აქ ამბობს საქართველოს მომავალი უგვირგვინო მეფე — **თავადმა რევაზ შალვას ძე ერისთავმა** წირპლიანი **კაზლოვის პოემა „შეშლილი"** ისეთი ქართულით თარგმნა, ნაღველას გაგიხეთქავსო! მეტი დამაჯერებლობისთვის ერის დიდი მოამაგე ამასაც წერს — **რევაზ შალვას ძე ერისთავის ენა ისეთივე გაუგებარია, როგორც ეს აბდაუბდა სიტყვები — „ხელი გავიქნიე ფეხი"-ო...**

მიუხედავად ზემოთქმულისა, ვფიქრობთ, **„მადამ პლეზიდენტის" ქართული რევაზ შალვას ძე ერისთავის ქართულთან** მოსატანიც კი არ არის. ამ ქალმა ამდენი ხნის განმავლობაში არათუ ქართული, არამედ ჭკუაც ვერ ისწავლა და საქართველოს ღალატი არა და არ მოიშალა. თუმცა, **ყველაზე მეტი უჭკუობა, ალბათ, მაინც ჩვენმა საზოგადოებამ გამოავლინა, რომელმაც სალომე ზურაბიშვილს არათუ სამშობლოს ღალატი აპატია, არამედ პრეზიდენტად აირჩია.** ამჯერად საქართველოს სწორედ ის უბედურება სჭირს, რის შესახებაც დიდი ილია ჯერ კიდევ 1861 წლის ნოემბერში გვაფრთხილებდა — „დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს!"

დიახ, **„დაუდევნელობაა"** სწორედ ის, რომ ჭკუა ვერ ვისწავლეთ და **სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც **მერაბ მამარდაშვილთან ერთად** ფრანგულ „ლე მონდში" საქართველოს პირველ პრეზიდენტს ცილს სწამებდა — ზვიად გამსახურდიამ ოსებს ერთ ბავშვზე მეტის გაჩენა აუკრძალაო! — თავზე დავისვით, ხოლო **მამარდაშვილს** რუსთაველზე ძეგლი დავუდგით...




პუტინი კაზლოვის **პოემა „შეშლილს"** არა, მაგრამ სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებასა და ბოლოდროინდელ ბჟუტურს, ალბათ, ნამდვილად გულისხმობდა, როცა გაკვირვებით თქვა — **საქართველოში, მგონი, „შეიშალნენო"!**

სხვათაშორის, **რევაზ შალვას ძე ერისთავი,** რომელიც დიდი **ნიკოლოზ ბარათაშვილის დის ეკატერინე ბარათაშვილის მეუღლე** გახლდათ და გორის მაზრის როტმისტრი იყო, 23 წლის ილიას შეაგონებდა — ჩვენმა წინაპრებმა საუნჯედ ზრდილობაც დაგვიტოვესო!

ილია **რევაზ ერისთავთან** მართალი იყო, მაგრამ ერის დიდი ქურუმი საბოლოოდ თავადაც იმ პირწვეტიანი კალმის მსხვერპლი შეიქნა, რომელიც „შეშლილის" მთარგმნელს მოუქნია...

**სალომე ზურაბიშვილი** არც რევაზ შალვას ძე ერისთავია, არც ილია და არც კაზლოვის „შეშლილი", **ის ამერიკელებმა შეშალეს, როცა შვილები ბაიდენის ადმინისტრაციაში დაუსაქმეს და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის ლობირება და დაგეგმილი სისხლიანი გადატრიალების გამართლება დაავალეს!**

რამდენად შეძლებს ის ამ დავალების შესრულებას, უცნობია!

**კაზლოვის „შეშლილის" ცუდად თარგმნის გამო საქართველოში დიდი ომი ატყდა...**

**აატეხინებენ თუ არა საქართველოში ომს სალომე შეშლილს, მაგასაც ვნახავთ!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**ლაშა ბექაური**
*ოლიმპიური ჩემპიონი, ძიუდოისტი*

**ქართველობა რთულია...** ვიომებ იქ, სადაც ჩემს სამშობლოს დავჭირდები.

„რეზონანსი"



**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*

ფაქტია, რომ **ნაციონალური მოძრაობის გემი ტორტმანებს და იძირება** და ამიტომ გასაკვირი არ არის, გემიდან თუ ხტებიან. **არჩევნების წინ უფრო მეტი სენსაციური ამბავი გველოდება.**

„რეზონანსი"



**ცუცა კაპანაძე**
*მსახიობი*

დღეს უამრავი საშუალება არსებობს და **თუ შვილი გინდა, გეყოლება,** მაგრამ ჩემს ასაკში ნამდვილად არ გადავდგამ ამ ნაბიჯს. არც უმაგისობას ვგრძნობ, ძმისშვილები, ძმის შვილიშვილები მყავს და უამრავი ბავშვი — სტუდიაში. ხომ გაგიგიათ — **მასწავლებელი ზოგჯერ უშვილოა, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელიო.**

„თბილისელები"



**ბესიკ კალანდაძე**
*მომღერალი*

საყიდლებზე სულ მე დავდივარ. **სახლში კიტრს და პომიდორს რომ მოვიტან, არ არსებობს, მაცივარში გაურეცხავი შევალაგო.** ასევე ვრეცხავ არაჟნის კოლოფებს და მაცივარში ისე ვდებ. **ერთი ვინმემ გაბედოს და გაურეცხავი შედგას!** მე რომ ქინძს ვყიდულობ, ისეთს, არ ვიცი, ვინ შეარჩევს.

„სარკე"



**ზალიკო სულაკაური**
*კარიკატურისტი*

სააბაზანოს კარზე მაქვს დახატული კარიკატურა. **მაშინ მოდური იყო სააბაზანოში სელფის გადაღება** და მეც დავხატე, ვითომ სელფის ვიღებთ მე და ჩემი მეორე ნახევარი ნინაჩკა.

„კვირის პალიტრა"



დღესდღეობით მეცნიერებისათვის ცნობილია ძილის 100-ზე მეტი ანომალია და მოშლილობა — მსუბუქით დაწყებული და სიცოცხლისათვის საშიშით დამთავრებული. ადამიანები, რომლებსაც ცუდად სძინავთ, გამუდმებით განიცდიან ძილის მოთხოვნილებას, გაძნელებული აქვთ სუნთქვა და ხშირად ისე უჭირთ ყურადღების კონცენტრირება, რომ ვინმეს შეიძლება სულელი, არასერიოზული ადამიანები ეგონოთ. ძალიან ხშირად ცუდ ძილს შედეგად მოსდევს წარუმატებლობა პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში — ტრავმები, ავარიები, უბედური შემთხვევები.

# ჯანსაღი სამკურნალო ძილი

**არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ძილი ერთგვარი პასიური პროცესი, უსარგებლოდ დაკარგული დროა —** ასეთი აზრი უაღრესად მცდარია. თუ არ დავიძინეთ, დავიღუპებით. ადამიანი საჭმლის გარეშე **30 დღე-ღამეს** ძლებს, წყლის გარეშე — **10 დღე-ღამეს,** ხოლო ძილის გარეშე, სულ რაღაც, **5 დღე-ღამეს,** უკვე მეოთხე დღეს ეწყება ჰალუცინაციები, ფსიქიკური დარღვევები. ადამიანს უნდა ეძინოს, სულ ცოტა, **6-8 საათი,** ხოლო იმათ, ვინც შემოქმედებით, მეცნიერულ საქმიანობას, სიცოცხლის რისკთან დაკავშირებულ სამუშაოს ეწევა — **8-9 საათი.** ჩვენი ძილი მხოლოდ უმოქმედობა როდია, ეს მეტად რთულად ორგანიზებული, აქტიური პროცესია. მას რამდენიმე სტადია აქვს.

**პირველი სტადია** არის ნელი ძილის ფაზა. ამ სტადიის დროს ჩვენი გაღვიძება ადვილია. ნელი ძილი ძილის ხანგრძლივობის მხოლოდ **5 პროცენტს** მოიცავს და სწორედ ამ ფაზაშია შესაძლებელი ძილში სწავლება. **მშვიდი ძილის მეორე ფაზაში** ტვინის რიტმები ნელდება. თვალები გარეშე გამღიზიანებლებზე აღარ რეაგირებს. **მესამე ფაზაში** ნელდება ორგანიზმის ყველა სისტემის მოქმედება და **მეოთხე ფაზაში** — ღრმა სიმშვიდის მდგომარეობაში გადადიხართ, როცა თქვენი გრძნობის ორგანოები აღარ რეაგირებს გარეშე გამღიზიანებლებზე. სწორედ ამ დროს ვისვენებთ, ვიკრებთ სიფხიზლის დროს დახარჯულ ენერგიას. ორგანიზმი აქტიურად ახდენს **ნუკლეინის მჟავების, ცილების სინთეზირებას, ხდება ზრდის ჰორმონის მძლავრი გამოყოფა. ძილის სწორედ ამ სტადიაში იზრდებიან ბავშვები, უფროსებს კი ძილი კურნავს.** ეს მეტად მნიშვნელოვანი სტადია, როგორც წესი, საათზე ცოტა მეტხანს გრძელდება. შემდეგ იმავე სტადიებს გაივლით პირუკუ მიმართულებით, ოღონდ არა გაღვიძებისკენ, არამედ აქტიური მდგომარეობისკენ, ანუ როგორც მას უწოდებენ — **პარადოქსული ძილისკენ.** ამ სტადიაში ხდება ტვინის პროცესების არნახული აქტივაცია — ძლიერდება სისხლის მიწოდება, ხდება ტემპერატურის მომატება, ნეირონების სისტემათა უმძლავრესი მუშაობა. ითვლება, რომ **პარადოქსული ძილი** ერთგვარად ადამიანის ყველა სასიცოცხლო სისტემის ტესტია. ეს ყველაზე საინტერესო სტადია გახლავთ — ამ დროს ვხედავთ სიზმრებს, გვინათდება გონება, განვიცდით შთაგონებას...

სიზმარი ცხოვრების სირთულეებისაგან ადამიანის ფსიქოლოგიური დაცვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. პარადოქსული ძილის ათი წუთის შემდეგ კვლავ ღრმა ძილს ვეძლევით. ციკლი დაახლოებით 90 წუთს გრძელდება და მეორდება. სპეციალისტების აზრით, **ტვინს, შესაძლო სტრესული სიტუაციებისათვის რომ მოემზადოს და სიფხიზლის პერიოდისათვის „დავალება“ შეიმუშაოს, სულ ცოტა, 8 საათი სჭირდება.** შეერთებული შტატების ჯანსაღი ძილის კვლევითი ცენტრის პროფესორმა **თომას როტმა** დაადგინა, რომ ჩვეულებრივზე ერთი საათით ხანგრძლივი ძილი ადამიანის აღქმის უნარს და ყურადღებას 25 პროცენტით ზრდის!

**უმეტეს შემთხვევაში ცივილიზაციამ ისეთ რიტმში მოგვაქცია, რომ ორგანიზმის მოთხოვნილების მიხედვით კი არ გვძინავს, არამედ იმდენ ხანს, რამდენის საშუალებასაც ჩვენი სამუშაო გვაძლევს და ეს უკვალოდ არ ქრება. ნაადრევი დაბერება, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, უამრავი ქრონიკული დაავადება — ეს ყველაფერი ადამიანის ბუნებაზე, სრულფასოვანი ძილისადმი მის მოთხოვნილებაზე ძალადობის შედეგია.** ზოგჯერ უძილობა შეიძლება რომელიმე დაავადების სიმპტომი იყოს. თუ მოუსვენარი ძილი გაქვთ, ყოველ შემთხვევაში, მიმართეთ **ენდოკრინოლოგს,** შესაძლოა, **ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა გემუქრებათ. ინფარქტი, ინსულტი, ჰორმონული დარღვევები, კუჭის, მხედველობის პრობლემები, კანის გაუხეშება, თმის ცვენა, სხვადასხვაგვარი ნევროზები ხშირად არასრულფასოვანი ძილით არის გამოწვეული.**

ყველაზე საშიში ის გახლავთ, რომ ეს უკვე ბავშვებშიც ვრცელდება... აქედან გამოსავალი ერთადერთია — გამოვნახოთ დრო და კომფორტული პირობები შევიქმნათ ძილისთვის, რაც ჩვენი ჯანმრთელობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, მითუმეტეს, რომ ბუნებამ მოულოდნელი საჩუქარი გვიძღვნა — შეგვიძლია **„ძილი დავიმატოთ“.** ძილის ბუნება იმგვარია, რომ იგი შეიძლება წყვეტილიც იყოს. **მაგალითად, ლეონარდო და ვინჩის დღე-ღამეში საათნახევარი ეძინა, ყოველ 4 საათში — 15 წუთი.** თუ ღამის ან კვირის განმავლობაში ძილი დაგვაკლდა, ძილის საჭირო საათები შეგვიძლია დავიმატოთ უქმე დღეებში ან, თუ ეს შესაძლებელია, დღის განმავლობაში.

დღესდღეობით საკმაოდ ბევრი ადამიანი ჩივის, რომ დაძინება უჭირს. ძილზე გარეშე პირობები მოქმედებს — **შუქი, ხმაური, ტემპერატურა** და მრავალი სხვა. მოუხერხებელ პირობებში ძილის ხარისხი ღრმა ძილის ფაზის ხარჯზე ქვეითდება.

ძილის ნაკლებობა დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმის **ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. იწვევს გაღიზიანებას, ადამიანი ნერვიული ხდება, უქვეითდება შრომისა და სტრესთან ბრძოლის უნარი. გარდა ამისა, ქვეითდება სიამოვნების განცდის უნარი ყველა ასპექტში. ადამიანი აგრესიული და თავშეუკავებელი ხდება.** მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყველაზე მეტად ჩხუბის და აყალმაყალის მოთავეები, საცობებში და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში, ქრონიკულად გამოუძინებელი ადამიანები არიან.

თავის ტკივილის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: **მაღალი წნევა, შაკიკი, ზოგიერთი მედიკამენტის უკუჩვენება, გადაღლა, სტრესი.** თუ ჩამოთვლილი მიზეზებიდან არცერთი არ გახასიათებთ და თავი მაინც გტკივათ, განსაკუთრებით, დილის საათებში, მაშინ მიზეზი **ძილის ნაკლებობა იქნება.**

როდესაც ადამიანს საჭიროზე ნაკლები ან პირიქით, მეტი სძინავს, ორგანიზმი სირთულეებს განიცდის გლუკოზის გადამუშავებასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება ინსულინრეზისტენტულობა და II ტიპის დიაბეტი გამოიწვიოს.

## ალცჰაიმერის დაავადება

***2013 წელს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ძილის უკმარისობა შესაძლებელია გახდეს ალცჰაიმერის დაავადების და მისი პროგრესირების მიზეზი.***

ძილი თავის ტვინისთვის აუცილებელია, რომ მან შეძლოს „ტვინის ნარჩენებისგან“, ანუ ე. წ. ნაგვისგან გათავისუფლება, რომელსაც ტვინში დაგროვება და ჭკუასუსტობის გამოწვევა შეუძლია. ექსპერიმენტში 70 ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 53-91 წელი იყო. ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ იმ ადამიანებს, ვისაც უძილობა აწუხებდა, ტვინში დიდი რაოდენობით ბეტა ამილოიდი ჰქონდა. ეს შენაერთი კი როგორც ცნობილია, ალცჰაიმერის დაავადების ძირითადი მიზეზია.

## სიმსუქნე და დიაბეტი

***დიაბეტის ერთ-ერთი მიზეზი რომ უძილობაა, უკვე დიდი ხნის მანძილზე ცნობილია. მაგრამ ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს კავშირის მექანიზმი უძილობასა და დიაბეტს შორის. როგორც გაირკვა, უძილობა წონის მატებას იწვევს და უკვე სიმსუქნე ხდება დიაბეტის წარმოქმნის მიზეზი.***

## საინტერესო ფაქტები

### ჯანსაღი ძილი საუკეთესო დიეტაა

***ჩიკაგოს უნივერსიტეტის მედიცინის პროფესორმა ევა ვან კაუტერმა ჩაატარა გამოკვლევა, რომლის შედეგადაც დადასტურდა, რომ ძილის ნაკლებობა გავლენას ახდენს ჰორმონულ ბალანსზე ორგანიზმში. ძილის დარღვევა აისახება ლეპტინისა და გრელინის თანაფარდობაზე. ამ ჰორმონებიდან პირველი ორგანიზმს „აცნობებს“, რომ ტვინს არ სჭირდება დიდი რაოდენობით საკვები, მეორე კი პირიქით — აძლიერებს შიმშილის გრძნობას. ცდების დროს ადამიანებს ორი კვირა აკლდათ ძილი. მათ ორგანიზმში ლეპტინის დონე 18 პროცენტით შემცირდა, ხოლო გრელინის დონე 28 პროცენტით გაიზარდა. ცდის მონაწილეებში შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ ბოსტნეულს, ხილსა და რძის პროდუქტებს ერჩივნათ ტკბილი და სახამებლიანი საკვები (ნამცხვარი, ღვეზელი). კაუტერს მიაჩნია, რომ ძილის ნაკლებობით შეწუხებული ტვინი გამოსაკვებად „ეძებს“ მარტივ ნახშირწყლებს. ამ გამოკვლევამ დაადასტურა, რომ სტატისტიკურად ის ადამიანები, რომლებსაც ნაკლები სძინავთ, მეტს იწონიან.***



### ქალებს საფრთხე ემუქრებათ

***ამერიკის Brigham Woman's Hospital-ის მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ დღე-ღამეში 8 საათზე ნაკლები ხნით ძილი მეტად მავნებელია ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით, ქალის ორგანიზმისათვის. გამოკვლევა 10 წელი მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობდნენ მედდების სკოლის კურსდამთავრებულნი. ეს სწორედ ერთ-ერთი იმ პროფესიათაგანია, რომელიც ადამიანს არ აძლევს საშუალებას, მკაცრად დაიცვას ძილის რეჟიმი. დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით, სპეციალისტებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ძილის ნაკლებობა იწვევს წნევის მომატებას, ნეგატიურად მოქმედებს ჰორმონულ ფონზე და არღვევს სისხლში გლუკოზის დონეს. ქალებს, რომლებსაც დღე-ღამეში 5 საათზე მეტი არ სძინავთ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები საშუალოდ 40 პროცენტით უფრო ხშირად უვითარდებათ, ვიდრე იმათ, ვისაც 8 საათი სძინავს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გულისათვის სრულფასოვან ძილს არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სწორ კვებასა და ფიზიკურ ვარჯიშს.***

# მცენარეები,

## ნარინჯისფერი ჰერბერა

**ეს მზიური ყვავილი არა მხოლოდ შესანიშნავად ასუფთავებს ჰაერს, არამედ ინტერიერსაც ალამაზებს. ამის გარდა, ჰერბერა აუმჯობესებს ძილს: მცენარე ისრუტავს არა მხოლოდ ტოქსიკურ ნივთიერება ბენზოლს, არამედ ჩვენ მიერ გამოყოფილ ნახშირორჟანგსაც და მის ნაცვლად გამოყოფს ჟანგბადს.**



## კვირგვინოსნები

**ქეთი ფარესაშვილი**
*მომღერალი*



ჩვენს ქვეყანაში ბევრი მღერის კარგად. ამის ნიჭი ნამდვილად გვაქვს, მაგრამ **ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებელია, ყველა დადგეს სცენაზე.** ისიც, ვისაც მონაცემები არა აქვს, ხშირად ისე პიარდება, თითქოს ბადალი არ ჰყავდეს.

„სარკე“

**მაღონა კოიძე**
*გადაცემა „სახალხო კონტროლის“ წამყვანი*



ძალიან მინდა, **ჩემმა შვილმა ცოლი მოიყვანოს.** ვეუბნები, ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი საძინებლის კარი რომ გააღო და იქ კუსკუსა გოგონა დაგხვდეს, **იცოდე, რომ შენი ცოლია,** ბოლო-ბოლო მე მოგიყვან-მეთქი!

„თბილისელები“

**ეკო ფანგანი**
*ტელეწამყვანი*



**არ არსებობს ქვეყნად რამე, რასაც მე ვერ გავაკეთებ.**

„თბილისელები“

**ბორის ბედია**
*მომღერალი*



ადრე მეგონა, რომ **ლამაზ სხეულში ლამაზი სულია,** თურმე, მწარედ ვცდებოდი.

„თბილისელები“

**დაკო ნათელაშვილი**
*შალვა ნათელაშვილის ქალიშვილი*



მე **ვამაყობ მამაჩემით** და მისი ღვაწლით ქვეყნის წინაშე.

„თბილისელები“



## წყლულოვანი კოლიტი

*2014 წ. მასაჩუსეტსის ცენტრალური საავადმყოფოს მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ წყლულოვანი კოლიტი, რომლის დროსაც წყლულები კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ვითარდება, ძილის ნაკლებობით არის გამოწვეული. იგივე დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები კრონის დაავადებასთან დაკავშირებითაც. თუმცა, ამ შემთხვევაში დაავადება შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ძილის ნაკლებობით, ისე ჭარბი ძილით. როგორც კვლევის ავტორები ამბობენ, საკმარისი რაოდენობით ძილი აუცილებელია, რომ საჭმლის მომნელებელი სისტემის ანთებითი პროცესის შეკავება მოხდეს, რომელიც, თავის მხრივ, აქ ხსენებული ორი დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს.*

## თვითმკვლელობა

*სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერები 10 წლის მანძილზე იკვლევდნენ უძილობის პრობლემის მქონე ადამიანებს. ექსპერიმენტში საშუალო ასაკის 420 ადამიანი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, დაკვირვების ჯგუფიდან 20 ადამიანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის, ვინც მუდმივად უძილობას განიცდის, 1, 4-ჯერ უფრო ხშირად ხდება სუიციდის მსხვერპლი, ვიდრე დეპრესიით დაავადებული ადამიანი.*



## პრობლემები წონასთან დაკავშირებით

ხანგრძლივი ძილის დროს ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესი ნელდება. მასში დაუხარჯავი ენერგიის აკუმულირება ხდება და ის ცხიმებად გარდაიქმნება. საბოლოო ჯამში, საქმე შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ჭარბი წონა პრობლემად გექცეთ.

## წელის ტკივილი

ხანგრძლივი ძილი შეიძლება წელის ტკივილის მიზეზი გახდეს. ეს იმიტომ ხდება, რომ ხანგრძლივი წოლის დროს წელის კუნთები სუსტდება.

პრობლემის მოგვარება დაბალი ინტენსივობის ფიზიკური ვარჯიშით და დასვენების დღეებში სუფთა ჰაერზე სეირნობით ან ძუნძულით (სირბილი არა) შეიძლება. თუ სპორტთან აქტიური შეხება გაქვთ, მსგავსი პრობლემა არ შეგაწუხებთ.

## ძილის მოწესრიგების ხალხური მეთოდები

წნევიანი ადამიანებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ღამის ძილის სრულფასოვნება და დასვენება. მიღებულია, რომ ასეთი ტიპის დასვენებისათვის საჭიროა, სულ ცოტა, 9-10 საათი. ძალიან კარგ შედეგს იძლევა ძილის ნორმალური წარმართვისათვის საძინებელში საწოლთან ისეთი მცენარეებისაგან გაკეთებული ბუკეტი, როგორებიცაა:

1. **ორკბილა;**
2. **ავშანი;**
3. **ნემსიწვერა;**
4. **ლავანდი.**

ასევე კარგ შედეგს იძლევა ამ მცენარეებისაგად დამზადებული არომატული ზეთის დაწვეთება საძინებელ ბალიშზე. კარგ შედეგს იძლევა ასევე ისეთ ბალიშზე დაძინება, რომელიც გავსებულია სვიის გირჩებით.



● ვიღებთ **ძიძოს** ახალი, ნედლი მცენარის ყვავილიდან ზედა (ახალგაზრდა) წვეროს ნაწილს — **3 ჩაის კოვზს,** ვასხამთ მასზე **3 ჩაის ჭიქა ნადუღ ცივ წყალს** და თავდახურულს ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე **4-5 საათი,** რის შემდეგაც ვწურავთ მარლაში.

**მიღება: ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში 2-3-ჯერ.**

აღნიშნული ნაყენი შეიძლება გამოვიყენოთ შაკიკის, ჰიპერტონიის, ნევრასთენიის და ასევე გადაჭარბებული აღგზნებადობის დროსაც.

● ყოველდღე 2-3-ჯერ ჭამის წინ საკვებად ვიღებთ **2 სუფრის კოვზ ყვავტყემალას ახალ, ნედლ ნაყოფებს.**

აღნიშნული მეთოდით ასევე შეიძლება ვუმკურნალოთ მომატებულ აღგზნებადობას, დაქვეითებულ სქესობრივ ფუნქციას, ინფარქტსა და ინსულტს.

● ძილის მოწესრიგებისათვის კარგ შედეგს იძლევა სვიის ნაყენი: ვიღებთ 2,5 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ სვიის გირჩებს, ვასხამთ 0.5 ჩაის ჭიქა სპირტს და ვაყოვნებთ სიბნელეში 7-10 დღე, დროგამოშვებით ვანჯღრევთ.

**მიღება: ძილის წინ — 1 ჩ/კ.**

## პროსტატის კიბო

**2013 დასრულდა 7-წლიანი კვლევა, რომელშიც 66-დან 93 წლამდე ასაკის 2425 მამაკაცი მონაწილეობდა. მეცნიერებმა ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად დაადგინეს, რომ პროსტატის კიბოთი დაავადების რისკი 61% მაღალია იმ მამაკაცებისთვის, ვისაც პრობლემები აქვთ ძილთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ორგანიზმში ძილის პროცესს ჰორმონი მელატონინი არეგულირებს. გარდა ამისა, ამ ჰორმონის დიდი რაოდენობით არსებობა სიმსივნის ზრდას აფერხებს. ორგანიზმში ასეთი მნიშვნელოვანი ჰორმონის გამოსამუშავებლად საჭიროა სიბნელე. თუ ადამიანს უძილობა აწუხებს და დიდ დროს ხელოვნურად განათებულ ოთახში ატარებს, მის ორგანიზმში მელატონინის გამომუშავება ვერ მოხდება, რაც, თავის მხრივ, ამცირებს სიმსივნის ზრდის შეფერხების ტემპს და საბოლოო ჯამში მისი აგრესიული ზრდის მიზეზი ხდება.**

## გულ-სისხლძარღვთა დაავადებები

**გადაღლა და უძილობა დადებითად რომ არ მოქმედებს გულის ფუნქციონირებაზე, ყველასთვის ცნობილია და სწორედ ეს საკითხი იყო განხილული ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების (ESC) შეხვედრაზე. სხდომაზე წარმოდგენილი იყო 25-დან 64 წლის ასაკის 657 მამაკაცზე 14-წლიანი დაკვირვების შედეგები. აღმოჩნდა, რომ მათ შორის, ვინც გულის შეტევა გადაიტანა, 2/3 უძილობა აწუხებდა. გარდა ამისა, დადგინდა, რომ ქრონიკული უძილობის შემთხვევაში, ინფარქტის რისკის ალბათობა — 2, 6-ჯერ, ხოლო ინსულტის რისკი 1, 5-4-ჯერ იზრდება.**

# რომლებიც ძილს უწყობენ ხელს

**ნიმი არაჩვეულებრივად წმენდს ჰაერს. გარდა ამისა, ის მოქმედებს როგორც ნატურალური პესტიციდი და იცავს ოთახს კოღოსგან. იმისათვის, რომ გაზარდოთ ნიმი სახლის პირობებში, ცოტა შრომა მოგიწევთ: მას სჭირდება კარგი ნიადაგი და ბევრი შუქი.**




**ის ცნობილია არა მხოლოდ თავისი სამკურნალო თვისებებით, არამედ ხელს უწყობს მშვიდ ძილს, ვინაიდან ღამე გამოყოფს ჟანგბადის დიდ რაოდენობას. ალოე უპრეტენზიო მცენარეა და არ ითხოვს ხშირ მორწყვას.**




**ორქიდეის დიდ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ ღამე გამოყოფს ჟანგბადის დიდ რაოდენობას და წმენდს ჰაერს ქსილოლისგან — მავნე ნივთიერებისგან, რომელიც შედის საღებავების შემადგენლობაში. ეს მცენარე არ მოგანიჭებთ ბევრ საზრუნავს: რაც ნაკლებად მოუვლით მას, მით უკეთესი. მთავარია, ყვავილს დღის განმავლობაში ჰქონდეს საკმარისი მზე.**




## კვირგვინოსნები

**რუსა მორჩილაძე**
*კომპოზიტორი*



ქართულ **სიმღერას და ცეკვას მოაქვს კაცობა.** ვინც ქართულ სიმღერაზე გაიზარდა, იმათში არაკაცი არ მინახავს.

„სარკე“

**ნუგზარ კვაშალი**
*მომღერალი*



ერთი ამერიკელი მეგობარი მყავს, **დაგროვებითი პენსიის პროგრამაში** იყო ჩართული და **17 ათასი დოლარი** აქვს პენსია, მე — **365 ლარი.** ვისაც ერთი დღე არ უშრომია, ისიც ჩემდენს იღებს.

„სარკე“

**ქეთი წიკლაური**
*თემურ წიკლაურის შვილი*



ახლა მოდაშია, ყველა ფილოსოფოსობს, **არ იფიქროთ წარსულზე, არ იყოთ მიბმული მასზე.** დიახ, თუ წარსულში ვინმეს მიმართ გაქვს წყენა, ეს არ უნდა გაიხსენო, მაგრამ **წარსულის გარეშე როგორ შეიძლება, მომავალს უყურო,** რადგან ყველანი წარსულიდან მოვდივართ?!

„სარკე“

**დავით კვირცხალია**
*მსახიობი*



2008 წელს ძალიან შემეშინდა, **როდესაც თავს აგრესორები დაგვესხნენ.** სარკინიგზო ხიდის აფეთქების დროს ჩემი ქალიშვილი აჭარიდან მოდიოდა მანქანით მარტო და სანამ ჩამოვიდა, ძალიან ვინერვიულე. **ამაზე დიდი განცდა არ ვიცი. თავდახრილი ვევედრებოდი ღმერთს, რომ ყველაფერი მშვიდობით დამთავრებულიყო.** ღმერთმა ქნას, ასეთი რამ არასდროს განმეორდეს ჩემს ქვეყანაში.

„თბილისელები“

**სოფო ბედია**
*მომღერალი*



თუ მამაკაცი შეურაცხყოფაზე გადადის, **ჭკუა მეკეტება** და საკადრის პასუხს ვცემ!

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი:
# ზოდიაქოს ნიშნები – წყენა და საპასუხო რეაქციები

*— განაწყენებისას როგორი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს, ზოგადად, ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენელს? ამ ჩამონათვალში გულღია სასწორი რატომ იკავებს ბოლო მე-12 ადგილს ანდა გონიერი ქალწული, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ჯერ სიტუაციას გააანალიზებს და შემდეგ იმოქმედებს — მეთერთმეტეს? ცეცხლოვან მშვილდოსანს ყველაზე მეტად რა გაანაწყენებს და ვისკენ მიმართავს თავის ისრებს? როგორ რეაგირებს კრიტიკასა და უკმეხობაზე იმპულსური ვერძი, რით განსხვავდება ამ მხრივ ქალი და მამაკაცი და რას ვერ ამოიცნობთ წინასწარ? საღად მოაზროვნე ღრიანკალი კარგად რას მიხვდება, რის შესაბამისად იმოქმედებს ანდა რას დაელოდება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი** გვესაუბრება.*

— ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ადრეც გვისაუბრია. როგორც აღნიშნეთ, ურთიერთობების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა კაცობრიობის განვითარება, მასვე უნდა ვუმადლოდეთ, რომ ადამიანმა მეტყველება, წერა-კითხვა ისწავლა, გუნდურად მოქმედების, გამარჯვებისა და ლიდერობის სურვილი გაუჩნდა. ინფორმაციისა და დაგროვილი გამოცდილების გადაცემის უნარიც ურთიერთობის განვითარების დამსახურებაა, მაგრამ ურთიერთობა სხვადასხვაგვარ ემოციასაც იწვევს. ადამიანებს, სამწუხაროდ, გვახასიათებს დაცინვა, სარკასტული გამონათქვამები, კრიტიკა და ა.შ. რაც, ძირითადად, უარყოფით ემოციებს, ზოგ შემთხვევაში კი დიდ გულისტკივილსა და დარდს იწვევს...

— აგატა კრისტი წერდა: **„ჭკვიან ადამიანებს არ სწყინთ, მათ დასკვნები გამოაქვთ“.** ეს ფრაზა ძალიან ლამაზად ჟღერს და არ შეიძლება, არ დაეთანხმო, თუმცა, **ემოციათა უმეტესობა გონებას არ ექვემდებარება. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე წყენას ეხება. მით უფრო, თუ უსაფუძვლოდ და უსამართლოდ გაწყენინეს.** თუ ამ საკითხს ასტროლოგიური თვალთახედვით განვიხილავთ, შეგვიძლია, ზოგადად, დავახასიათოთ ამგვარ სიტუაციაში მოხვედრილი ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელთა რეაქცია, ემოცია, განცდა და მისი სიძლიერე თუ ხანგრძლივობა. ამჯერად ტრადიციას დავარღვევთ და დასახელებას ბოლო ადგილზე გასული ზოდიაქოს ნიშნიდან დავიწყებთ. **მე-12** (ანუ ბოლო) **საპატიო ადგილი სასწორს ეკუთვნის. ის არავისზე წყენას გულში არ იტოვებს, რამეთუ საკმაოდ გულღიაა და მაშინვე დაუბრუნებს სამაგიეროს იმას, ვისგანაც მისი მისამართით ნეგატივი მოედინება.** ამგვარად, **სასწორს** ძალუძს გაბრაზება ან გაბუტვა, მაგრამ არასოდეს ეს მის გულში ღრმად არ ჩაიბუდებს და განცდის საგანი არ გახდება. მაშინაც კი, როცა **სასწორი** დროულად ვერ პასუხობს ოპონენტს, ყოველთვის მოიძებნება გვერდით ადამიანი (მეუღლე, მეგობარი, კოლეგა, მეზობელი), ვისაც გულისტკივილს გაუზიარებს, უარყოფითი შეგრძნებისაგან დაიცლება და კვლავ ჩვეულ დადებით განწყობას დაიბრუნებს. **მე-11 ადგილი თამამად შეგვიძლია ქალწულს მივაკუთვნოთ.** ამ ნიშნის წარმომადგენლები ძალიან გონიერნი და საღად მოაზროვნენი არიან, მაგრამ წვრილმანზე დაკვირვების უნარი და ემოციურობა ახასიათებთ. **ქალწულსაც,** როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, უჩნდება პროტესტის გრძნობა კრიტიკასა თუ სარკაზმზე და, შესაძლოა, გული ეტკინოს და გაბრაზდეს, თუმცა, **ის შეეცდება, გრძნობები მოთოკოს, რათა საერთო მდგომარეობას ზიანი არ მიაყენოს. ნებისმიერ შემთხვევაში, ჯერ სიტუაციას გააანალიზებს, დასკვნას გამოიტანს და თუ გული უსამართლოდ ატკინეს, დაიმახსოვრებს იმ ადამიანს, ვინც აწყენინა და ერთხელ „შავ სიაში“ შეიყვანს.** შემდგომ კი არანაირი თავის მართლება მდგომარეობას არ გამოასწორებს და გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებს, ამიტომ თავიდან მისი გულის მოგება მეტად რთული იქნება. **მე-10 ადგილს კი მშვილდოსანი იკავებს. ამ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლები ხშირად უფრო გონებას ეყრდნობიან და ემოციებს არ აჰყვებიან, თუმცა, არის რაღაც, რასაც უპასუხოდ ვერ დატოვებენ. მშვილდოსანი** ვერ იტანს სიტყვიერ კბენას, სარკასტულად, ვითომ ხუმრობით დაცინვას, მტკივნეულ ან სუსტ ადგილზე ფეხის დაბიჯებას. ამგვარი ქმედება მეტად გულს ატკენს მას და მოთმინებიდან გამოიყვანს. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე ძნელად თუ წარმოიდგენს, რაოდენ ძლიერ მეტოქესთან ექნება საქმე, რამეთუ მას არამარტო მაშინვე უპასუხებს, არამედ კიდევ დიდხანს დაუნდობლად შურს იძიებს. ამგვარად, **ცეცხლოვან მშვილდოსანთან,** ამ მიმართებით, მეტი სიფრთხილე გმართებთ, რადგან მისი ისრები მუდამ მიზანში ზუსტად ხვდება. **მე-9 ადგილი კი ვერძს უნდა დავუთმოთ.** ნიშანდობლივია, რომ **მამაკაცი-ვერძი კრიტიკასა და უკმეხობაზე ნაკლებად რეაგირებს. ქალბატონები უფრო მგრძნობიარენი არიან, თუმცა, მხოლოდ ზოგიერთი რეპლიკა გააბრაზებთ და გაიბუტებიან.** ნიშანდობლივია ისიც, რომ ლოგიკურად ამის ამოცნობა ძნელია, რადგან ზოგჯერ, მეტად საწყენ სიტყვებს, შესაძლოა, ყურადღება არ მიაქციონ. რაიმე წვრილმანზე კი აფეთქდნენ, სერიოზული აყალ-მაყალი მოაწყონ და ხმამაღალი ყვირილით, მუქარით, მაგიდაზე მუშტის ბრახუნით უპასუხონ. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ **ვერძის ნიშნით დაბადებული, რამდენადაც ადვილად აფეთქდება, იმდენადვე ადვილად წყნარდება და წყენა აღარავის ახსოვს. მე-8 ადგილს კი ამ ჩამონათვალში ღრიანკალი იკავებს. იგი საღად აზროვნებს და ამიტომ კარგად ხვდება, თუ რა არის ნათქვამი იმპულსურად, დაუფიქრებლად და რა გააზრებულად და მისი გულის სატკენად.** შესაბამისად, თუ ვინმე მასზე მიზანმიმართულად სიტყვიერ თავდასხმას შეეცდება, შესაძლოა, საპასუხოდ **ღრიანკალის** მხრიდან თავს ძლიერი ქარიშხალი დაატყდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ **ღრიანკალი** ხშირად საკუთარი ემოციების შესაბამისად მოქმედებს, ამიტომ გულისტკენას არავის აპატიებს. მაგრამ, შესაძლოა, მაშინვე სამაგიერო არ გადაუხადოს, უფრო ხელსაყრელ მომენტს დაელოდოს, როცა სრულად იძიებს შურს ძველ წყენაზე განურჩევლად იმისა, იყო ეს შეურაცხმყოფელი გამონათქვამი, სიტყვიერი ცინიზმი თუ ბოროტი ხუმრობა.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 29 მაისი – 4 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
მეტად ამაღლებული განწყობა გექნებათ, ამიტომ ნებისმიერი ცვლილება თუ რეორგანიზაცია სწრაფად და დადებითად განხორციელდება. ამის მიუხედავად, ეცადეთ, კანონი არ დაარღვიოთ და ავანტიურას მოერიდოთ, იურიდიულ საკითხებში გარკვევა და საბუთების მოწესრიგება ბევრ დროს წაგართმევთ, ამიტომ სანდო ადამიანს მიმართეთ დახმარებისთვის. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

**კურო** (21.04-20.05)
პროფესიული წინსვლისთვის ხელსაყრელი პერიოდია, შესაძლოა, მომგებიანი წინადადებები მიიღოთ. ჩანაფიქრი თამამად განახორციელეთ, რათა მომავალში მშვიდად იყოთ. ახალგაცნობილი ადამიანების მიერ შემოთავაზებულ ცდუნებებს ნუ აჰყვებით. პირად ცხოვრებაშიც რადიკალურ ცვლილებებს ნუ დაიწყებთ და მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა მშვიდად ჩაივლის.

**ტყუპი** (21.05-22.06)
თქვენი ამტანობა გაიზრდება და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ. გაზრდილი ინტუიციის წყალობით, იოლად შეძლებთ შესაძლო საფრთხის წარმართვას. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კი თავად მოგიწევთ ზრუნვა. პირად ცხოვრებაში სიმშვიდე დაისადგურებს, თუმცა, შესაძლოა, აუცილებელი გახდეს შვილების მიმართ დათმობის დაშვება. მოგზაურობა და გადაადგილებები კი დადებითად ჩაივლის.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
არსებული მდგომარეობით უკმაყოფილება, შესაძლოა, თქვენი გაღიზიანების, მღელვარებისა და კონფლიქტის მიზეზი გახდეს. ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას, გაუაზრებლად მოქმედებასა და გადამოწმების გარეშე ინფორმაციის გამოყენებას მოერიდეთ. უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად სასურველია, ემოციები აკონტროლოთ. ახალი საქმიანობის დაწყების ალბათობა არსებობს. ქალაქგარეთ ბუნების წიაღში გატარებული დრო კი დადებითად აისახება ჯანმრთელობასა და სულიერ მდგომარეობაზე.

**ლომი** (23.07-23.08)
სასიკეთო კვირაა. შეხვედრები დადებითად წარიმართება. სარფიანი მოლაპარაკებები და ხელშეკრულებები ხელს შეუწყობს შემოსავლის ზრდას. ახალ სასიყვარულო ურთიერთობაში კი გაურკვევლობა დაისადგურებს. სამაგიეროდ, კარგი პერიოდია ოჯახური საქმეებისთვის, სანათესაო თუ ძველი კავშირების აღსადგენად. ბავშვის ჩასახვის ალბათობაც არსებობს. კომფორტული და ჰარმონიული გარემო განწყობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ახალი გეგმებისა და მიზნების ჩამოყალიბებისთვის კარგი დროა, თუმცა, მოქმედება ნაადრევია. უნდობი იქნებით გარშემო მყოფების მიმართ და არც თავად იქნებით მათთან გულწრფელი. დროებით ახალსა და ძვირადღირებულს ნურაფერს შეიძენთ. სიამოვნების მიღებისკენ ლტოლვა იმდენად დიდი იქნება, რომ მუშაობა გაგიჭირდებათ და, შესაძლოა, შეყვარებულთანაც პრობლემა შეიქმნას. სასურველია, საბუთებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ.

## 29 მაისი – 4 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
სამოქმედო გეგმის დასახვისთვის და რეალური ნაბიჯების გადასადგმელად კარგი დროა. მეტი აქტიურობით სწრაფად მიაღწევთ წარმატებას როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერაში. შემოსავლების რაოდენობა გაიზრდება. მყარი ჯანმრთელობა დადებითი განწყობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. მოგზაურობა სასიკეთო შედეგს მოიტანს, ხოლო ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, ახალი სასიყვარულო კავშირის ჩასახვის საწინდარი გახდეს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ყველაფერი დაგაინტერესებთ, რაც სიყვარულს, გაფართოებასა და განახლებას დაუკავშირდება. ახალი კავშირების დამყარებისას ზედმეტად ნურავის მიენდობით, შესაძლოა, როგორც სამსახურის, ისე პირადი პრობლემების მოსაგვარებლად კვალიფიციური დახმარება დაგჭირდეთ. იმპულსურ მოქმედებას მოერიდეთ, რათა ახლობლებს გული არ ატკინოთ. ნათესავებთან მჭიდრო კავშირი ურთიერთობების განმტკიცებაში დაგეხმარებათ. მოგზაურობა და დასვენება დადებითად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ცხოვრების ტემპი გაიზრდება, ვალდებულებები მოიმატებს, გადაადგილებები და ადამიანებთან ურთიერთობაც ხშირად მოგიწევთ, რაც დამღლელი მოგეჩვენებათ. ნაყოფიერი მუშაობისთვის ეცადეთ, დროდადრო განმარტოვდეთ. პარტნიორებთან ურთიერთობისას ყოველი სიტყვა გაიაზრეთ, რათა უხერხულ სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მოთმინება გამოიჩინეთ, შესაძლოა, პარტნიორის შეცვლის სურვილი გაგიჩნდეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საქმესთან და ბიზნესთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებისა თუ პოზიციის დაცვისას სიჯიუტესა და უხეშობას ნუ გამოიჩენთ. ეცადეთ, მიღებული ინფორმაცია დროულად შეისწავლოთ და დროულად გააანალიზოთ, რათა რეაგირება მოასწროთ. საქმეში დახმარებისთვის ნათესავებსა და ახლო მეგობრებს მიმართეთ. შესაძლოა, სადმე გამგზავრება მოგიწიოთ, რაც თქვენს ავტორიტეტს აამაღლებს. ახალ შესაძლებლობებსაც დაგანახებთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
სასიკეთო პერიოდია როგორც კარიერისთვის, ისე პირადი ცხოვრებისთვის. ენერგიული იქნებით, რის შედეგადაც შეგიძლიათ, პროფესიულ საქმეში მცირეოდენი რისკიც დაუშვათ. არსებული სიტუაცია სამსახურში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და თქვენი პოზიციის გასამყარებლად გამოიყენეთ. შეყვარებულზე ნუ გაბრაზდებით, რადგან ეს თქვენს ურთიერთობას გააუარესებს, ხოლო სიტუაციას გაამწვავებს.

**თევზები** (19.02-20.03)
ახალი ინტერესისა და ფარული ნიჭის გამჟღავნების პერიოდია. საიდუმლო კავშირებსა და გაურკვეველი ხასიათის სამუშაოს ერიდეთ. მხოლოდ აუცილებელი საქმეები და მოვალეობები შეასრულეთ. გარშემო მყოფთა კრიტიკას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ამავდროულად, საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებას ნუ მოაკლებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატების მიღწევა გაგიჭირდებათ. ფინანსების გამო კი შესაძლოა, მშობლებთან ან მეუღლესთან უსიამოვნება მოგივიდეთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 31 მაისი, 1, 3, და 4 ივნისი

**5 მაისი – მთვარის დაბნელება, სავსემთვარეობა;**
**19 მაისი – ახალმთვარეობა, პიკი – 19.56 სთ.**




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

*574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90*

**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 29 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.31 საათზე, ჩადის 20.26 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.50) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 14.18 საათზე, ჩადის 30 მაისს 02.34 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 14.45 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.46 საათიდან 18.51 საათამდე. **ტენდენციები:** დღე მშვიდად გაატარეთ, დაისვენეთ, ჩაიტარეთ გამაჯანსაღებელი პროცედურები. კარგი დღეა პარტნიორთან რაიმე საკითხის მოგვარებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, აუდიტისთვის, მედიკამენტებისა და ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთების შესაძენად, ვაჭრობისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, სარისკო ქმედებანი, წყლის ტრანსპორტით მოგზაურობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ქორწინება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი, თირკმლები. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, აქატი, მალაქიტი, ლაზურიტი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 30 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.30 საათზე, ჩადის 20.27 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 15.22 საათზე, ჩადის 31 მაისს 02.54 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 16.03 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ბავშვებს მეტი დრო დაუთმეთ. ეცადეთ, კრიზისული სიტუაცია სწრაფად გადაწყვიტოთ და სულიერი თუ მატერიალური ფასეულობანი ერთმანეთს ოპტიმალურად შეუთავსოთ. შედეგიანი იქნება კბილების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურები, წერტილოვანი მასაჟი ხელებზე, ტერფებზე და თირკმლების მერიდიანზე. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, თანამშრომლობისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად. არ არის სასურველი ბევრი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 31 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.30 საათზე, ჩადის 20.28 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 16.27 საათზე, ჩადის 1 ივნისს 03.13 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 17.25 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ სახლსა და საოჯახო საქმეს. საქმიანობისას სიფრთხილე გამოავლინეთ. ემოციები აკონტროლეთ. თქვენი გეგმების სისწორე და სიმყარე შემოწმდება. ურთიერთობისას იმატებს შური, ზედაპირულობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ხელოვნების ნიმუშების, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის, მასაჟისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, კბილების სამკურნალოდ, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი ბევრი სითხის, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ტოპაზი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.29 საათზე, ჩადის 20.29 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.53) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 17.39 საათზე, ჩადის 2 ივნისს 03.35 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 18.42 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოთმინება გამოავლინეთ. პროვოკაციას მოერიდეთ. ზედმეტად პირდაპირი, უკომპრომისო ნუ იქნებით. დაიოკეთ აგრესია, ზედმეტი სიამაყე, სარკაზმი. წარსული გააანალიზეთ, ეფექტური იქნება ყელ-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. მეტი იმოძრავეთ. კარგი დღეა მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, მანქანის შესაძენად, გამოძიებისთვის, სამხედრო წვრთნებისთვის, თვითშემეცნებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი სხივური თერაპია, სადაზღვევო და სოცუზრუნველყოფის ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ქრიზოპრაზი, ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 2 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.29 საათზე, ჩადის 20.30 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 18.49 საათზე, ჩადის 3 ივნისს 04.00 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 20.24 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს დასვენება და შრომა გაათანაბრეთ. შესაძლებელია ზედმეტი ნივთებისგან და მოძველებული უსარგებლო ურთიერთობებისგან გათავისუფლება. ეფექტური იქნება ყელ-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა, მასაჟი, კოსმეტიკური პროცედურები. კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისთვის, მანქანისა და ცხოველების შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, გეგმების დასახვისთვის, რეცხვა-რემონტისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, სადაზღვევო და სოცუზრუნველყოფის ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სხივური თერაპია, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, ინტიმური კონტაქტები. გამოავლინეთ მოთმინება, დაიოკეთ აგრესია. დაეყრდენით ინტუიციას. მეტი იმოძრავეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ცხვირი. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ზურმუხტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 3 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.28 საათზე, ჩადის 20.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.08) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 20.05 საათზე, ჩადის 4 მაისს 04.31 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 22.01 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.51 საათიდან 09.08 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ემოციები აკონტროლეთ. გზებზე გადაადგილებისას და საჭის მართვისას სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ. ურთიერთობისას ნუ იქნებით ზედმეტად აგრესიული, სულსწრაფი, სარკასტული. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, წვეულებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის და ვარჯიშისთვის, ტურისტული ლაშქრობებისთვის, ფილტვების, ხელებისა და მეტყველების მკურნალობისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, გარიგებებისთვის, სწავლისთვის, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, იაგუნდი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 4 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 05.28 საათზე, ჩადის 20.31 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 21.20 საათზე, ჩადის 5 ივნისს 05.11 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 23.33 საათზე. **სავსემთვარეობაა.** პიკი — 07.44 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სავსემთვარეობის გამო მაღალია აგრესიადეპრესიის გამოვლენის, კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების, ავარიების, ტრავმების, სარკაზმისა და სულსწრაფობის გამოვლენის ალბათობა. სიფრთხილე გმართებთ. სულიერი სიმშვიდე დაიცავით, პროვოკაციას, განსაკუთრებით მოულოდნელი ინფორმაციის მიღების ფონზე არ აჰყვეთ. არ არის სასურველი ფულის სესხება-გასესხება, ყიდვა-გაყიდვა, მშენებლობა, მნიშვნელოვანი და სარისკო საქმის წარმოება. სასიკეთოა ლოცვა, შენდობის თხოვნა მათ მიმართ, ვისაც აწყენინეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** გიშერი, ფირუზი, სარდიონი, აქატი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.






## საეკლესიო კალენდარი

29 მაისი. ორშაბათი. **ღირსისა თეოდორე განწმედილისა;** მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, იერუსალიმელი ეპისკოპოსისა.

✝ 30 მაისი. სამშაბათი. მოციქულისა ანდრონიკესი და წმიდისა იუნიასი; მოწამეთა: სოლოქონისა, პამფამირესი და პამფალონ მხედართა; სტეფანესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ 31 მაისი. ოთხშაბათი. **ღირსისა მამისა ჩვენისა დოდო გარეჯელისა;** წმიდათა მამათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათა.

✝ 1 ივნისი. ხუთშაბათი. **ღირსისა დავით გარეჯელისა და მოწაფისა მისისა ლუკიანესი; მამადავითობა თბილისში. წმიდისა დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი (საქართველოში შემოსვლა);** იოანე გუთელი ეპისკოპოსისა.

✝ 2 ივნისი. პარასკევი. **ამაღლების წარგზავნა. კრება მანგლისის ჯვარისა.** ღირსთა: ზაბულონისა და სოსანასი, ნინო მოციქულთა სწორის მშობელთა.

✝ 3 ივნისი. შაბათი. **სულის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.** მოციქულთა სწორთა: კონსტანტინე მეფისა და დედისა მისისა ელენე დედოფლისა; კრება ვლადიმირის ღმრთისმშობლის ხატისა.

✝ 4 ივნისი. კვირა. **სულთმოფენობა. ყოვლადწმინდა სამებობის დღესასწაული.** მრავალთა წმიდათა ქართველთა მამათა და დედათა, აჭარაში თურქთაგან წამებულთა; მოწამისა ვასილისკოსი, აფხაზეთის კომანში წამებულისა.



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია** ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს **ირაკლი კოვზანაძეს** დის —

### თამარ კოვზანაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

***პანაშვიდი:*** *ორშაბათს, 29 მაისს.* ***მისამართი:*** *ირაკლი აბაშიძის 79.* ***გამოსვენება:*** *სამშაბათს, 30 მაისს, 2 საათზე, საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან (გაზდელიანების ეკლესია)*


**გთავაზობთ მკურნალობას 100-პროცენტიანი შედეგით ხანმოკლე დროში:**

წამლები მზადდება ფუტკრის პროდუქტებით ინდივიდუალურად.

კუჭ-ნაწლავის წყლულები და ეროზიები **ნებისმიერი სირთულის,** ბუასილი, ფაღარათი, ქოლეცისტიტი, შებერილობა, პირიდან სუნი, ბრონქიტი, სქესობრივი სისუსტე, პენისის ანთება, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, კონტაქტის შიში, პროსტატიტი, ცისტიტი. **სხვადასხვა მეთოდით პაციენტის გარეშეც** — აგრესია, აკვიატება, უიმედობა, ეჭვიანობა, შებოჭილობა, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, დეპრესია, მოუსვენარი ძილი, მოზარდებში პრობლემები, ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება.

**ხალხური მედიცინის „იადაგარ დაუდის“ დირექტორი 599-498-423**



**შევიძენ**

**ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრების ნახატებს!**

**591 71 99 00**

**ფოტოსურათით**

**აგრესია, აკვიატება, დეპრესია, ეჭვიანობა, შებოჭილობა, ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, თვითმკვლელობის სურვილი, კოშმარული სიზმრები, შავი ძალების ზეწოლა, მოზარდების და ოჯახური პრობლემები.** შედეგი გარანტირებულია.

**ხალხური მედიცინის „იადაგარ დაუდის“ დირექტორი 599-498-423**


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კალკუტა; 7. უებრო; 10. რეესტრი; 11. ტოტო; 12. ნახშირი; 13. ლაღიძე; 14. ლოსიონი; 15. ლირა; 16. ტაივანი; 19. სვანტე; 20. შამათი; 23. ვუდი; 24. ტელეფონი; 26. სიონი; 28. ივ; 29. ძურლინი; 30. ზმაი; 31. ცელოფანი; 32. ბრავო. 33. ნიახური; 34. როინ; 36. ასპარეზი; 40. ლეიბი; 41. კილიტა; 44. სპა; 45. კუსტურიცა; 46. ტაქსა; 48. ჟარგონი; 49. ლივ; 50. პარტიზანი; 54. რუმბა; 55. ფინიში; 58. მაგელანი; 59. კაბუკი; 60. კაფეტერია; 61. ალიოხინი; 62. ინტიმა.

**შვეულად: 1. კონსტიტუცია; 2. ლახტი; 3. ურიკა; 4. არილი; 5. ვერსია; 6. მტრობა; 7. უილისი; 8. ბაღდადი; 9. სტერადიანი; 11. ტელევიზორი; 17. ვოევოდა; 18. ნიორაძე; 20. შიძინი; 21. მარშალი; 22. თაიგული; 25. ლილ; 26. სიბილა; 27. ოკარინა; 35. ნიაღვარი; 37. საუნა; 38. რაული; 39. ზაირა; 41. კაჟი; 42. ლარსი; 43. ტბორი; 44. სალამური; 46. ტირი; 47. ქიმია; 50. პომპა; 51. რაგბი; 52. ზუალი; 53. ნაიკი; 55. ფიფა; 56. ნატო; 57. შერი; 59. კაი.**

**პორტიშივაკისიგარაჟირაფინადირიმესამეტრიალი**
**ლარიქსილოლიტაბაკარადარიალიანაგანისანიტარი**

| უნგრელი მოჭადრაკე | რკინიგზის ყრილი, რაზეც შპალებია მოწყობილი | რიაზანოვის ფილმი | წმენდილი შაქარი | თამასუქი, რომლითაც უნდა მიიღონ ფული | სიგრძის საზომი ერთეული | ცეცხლის ანადენი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნავსადგური | იაპონური ფირმა | თამბაქოს ნაწარმი | გრძელკისერა ცხოველი | მხეცი | სამის რიგობითი სახელი | ბრუნვა |




თარაზულად: 1. ქალაქი ინდოეთში; 7. უბადლო, ვისაც ტოლი არ ჰყავს; 10. სია, აღწერა; 11. იტალიელი მსახიობი მამაკაცი; 12. მყარი საწვავი; 13. ქართველი კომპოზიტორი; 14. ერთგვარი სურნელოვანი წყალი; 15. ძველი ბერძნული სიმებიანი საკრავი; 16. ჩინეთის კუნძული; 19. კარლსონის მეგობარი ბიჭუნა ... სვანტენსონი; 20. მდგომარეობა ჭადრაკში; 23. ამერიკელი რეჟისორი ... ალენი; 24. ინგლისელი გამომგონებელი ბელის გამოგონება; 25. ტაძარი თბილისში; 28. დიზაინერი ... სენ ლორანი; 29. იტალიელი რეჟისორი; 30. სერბი პოეტი; 31. გამჭვირვალე, წყალგაუვალი შესაფუთი მასალა; 32. მოწონების აღმნიშვნელი შეძახილი; 33. მწვანილის სახეობა; 34. მეცნიერი ... მეტრეველი; 36. მოღვაწეობის არე, სარბიელი; 40. ლოგინის ნაწილი; 41. ფოლგა; 44. ჯარი, ლაშქარი (ძვ.); 45. იუგოსლავიელი რეჟისორი; 46. ძაღლის ჯიში; 48. სიტყვები, გამოთქმები, რომლებსაც ხმარობენ რაიმე პროფესიულ ჯგუფში; 49. მსახიობი ... ტაილერი; 50. ხალხის რაზმები, მონაწილენი შეიარაღებული ბრძოლისა; 54. მექსიკური წარმოშობის ცეკვა; 55. შეჯიბრების ბოლო ნაწილი; 58. პორტუგალიელი ზღვაოსანი; 59. იაპონური თეატრი; 60. ერთგვარი კაფე; 61. რუსი მოჭადრაკე; 62. სისხლძარღვთა კედლის შინაგანი გარსი.

შვეულად: 1. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 2. თამაში ქამრებით (ძვ.); 3. თვლებიანი მომცრო ხელით საზიდარი; 4. რამეზე დამდგარი მზის შუქი; 5. ამბის ერთ-ერთი ახსნა; 6. მტრად ყოფნა, შუღლი; 7. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; 8. აბრეშუმის ოთხკუთხა მანდილი; 9. სივრცითი კუთხის საზომი ერთეული; 11. რაიმე გამოსახულების მიმღები რადიოტექნიკური აპარატი; 17. ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; 18. ქართველი ბალერინა; 20. პირველი ჩინური ძეგლი, ხალხური სიმღერების კრებული; 21. სამხედრო წოდებულება, გენერლის ზევით; 22. ბუკეტი; 25. კ. გამსახურდიას ნოველა; 26. წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთში; 27. პატარა ზომის თიხის ჩასაბერი საკრავი; 35. მოვარდნილი წყალი დიდი წვიმების შედეგად; 37. ფინური აბანო; 38. ესპანელი ფეხბურთელი; 39. ქართველი მწერალი ... არსენიშვილი; 41. ძალიან მაგარი ქვა; 42. საკონტროლო გამშვები პუნქტი საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 43. დაგუბებული წყალი, გუბე; 44. ლერწმის, ხის ჩასაბერი საკრავი; 46. სასროლეთი; 47. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 50. ტუმბო; 51. სპორტის სახეობა; 52. პლანეტა სატურნის ძველი ქართული სახელი; 53. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 55. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 56. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია; 57. ამერიკელი მსახიობი და მომღერალი ქალი; 59. ვაჟა-ფშაველა — „ ... ყმა“.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ფიჭვისებრთა ოჯახის მცენარე | ნაბოკოვის რომანი | უმაღლესი ხარისხის ბროლი | თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში | სოფელი სიღნაღის რაიონში | იაპონური ავტო | რისამე სახელური |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქართული ფულის ერთეული | ორგანული ნაერთი, გამხსნელი | ბრტყლად შემწვარი ვარია | ლოკატორი | ქართული გაზეთი | ხელით სასროლი იარაღი | უმცროსი მედიცინის მუშაკი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29 ორშ. | | | | | | | | | | | | |
| 30 სამშ. | | | | | | | | | | | | |
| 31 ოთხშ. | | | | | | | | | | | | |

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.







დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 29 მაისი — 4 ივნისი №25 (1489)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


